ვიტოლდ გომბროვიჩი

ქორწინება

თარგმნა ქეთი ქანთარიამ

მონაწილე პირები:

იგნაცი (მეფე და მამა)

კატაჟინა (დედა და დედოფალი)

ჰენრიკი (ვაჟი და უფლისწული)

ვლაჯიო (მეგობარი და კარის არისტოკრატი)

მანია (მოახლე და თავადის ასული)

ლოთი

კანცლერი

კამერგერი

პოლიციის უფროსი

ეპისკოპოსი პანდულფი

მეფის მოხელეები/ მოღალატე მოხელეები

დიდებულები, ლოთები, თავადები,

ქალბატონები, მცველები, ლაქიები

პიესის იდეა

ადამიანი იმის გავლენას განიცდის, რაც ადამიანებს შორის ხდება და მისთვის არ არსებობს სხვა ღვთაებრივი, თუ არა ის, რაც ადამიანებისაგან მომდინარეობს. სწორედ ასეთია ის ,, მიწიერი ტაძარი", რომელსაც ჰენრიკი სიზმარში ხილვად ნახავს. აქ ადამიანები ერთმანეთს უკავშირდებიან ტკივილის, შიშის, კომიკურობის ან იდუმალების ფორმებით, მოულოდნელი მელოდიებით და რიტმებით, აბსურდული კავშირებით და სიტუაციებით, და როცა მათ ექვემდებარებიან, იმას

აქმნევინებენ თავს, რაც თავად შექმნეს. ამ მიწიერ ტაძარში ადამიანის სული შეიყვარებს, განადიდებს სულს პიროვნებათშორისს. ჰენრიკი თავის მამას მეფობას მიანიჭებს, რათა მამამ დალოცოს მისი ქორწინება, მაგრამ შემდეგ თავად აცხადებს თავს მეფედ და საკუთარ ქორწინებას თავად აკურთხებს, რა დროსაც ცდილობს, ქვეშევრდომები აიძულოს, ღვთაებრივი სტატუსი მიანიჭონ მას. ჰენრიკს სურს, თავად გახდეს საკუთარი თავისთვის ღმერთი. თუმცა ეს ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, ფორმის მეშვეობით ხდება: ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები, ერთმანეთთან დაკავშირებით, ერთმანეთს ცხოვრების, ყოფის, მეტყველების, ქმედების ამა თუ იმ ყაიდას ახვევენ თავს.. თითოეული მათგანი სხვას აყალიბებს, ამასთან, თავადაც განიცდის სხვის ამგვარსავე გავლენას. ამის გამო, ეს პიესა, უპირველეს ყოვლისა, ფორმის პიესაა. ხელოვნების სხვა დარგებისგან განსხვავებით, იდეების ან ადამიანური კონფლიქტის გამოსახატავად ყველაზე შესაფერისი ფორმის ძიება კი არაა მასში მთავარი, არამედ იმ მარადიული კონფლიქტის ხელახლა გააზრება, რომელიც ჩვენ გვაქვს ფორმასთან. შექსპირის პიესაში რომელიმე პერსონაჟს საკუთარ მამისათვის „ღორი“ რომ ეწოდებინა, ტრაგედიად იმას აღიქვამდნენ, რომ შვილმა მამა შეურაცხყო; მაგრამ როდესაც ეს წინამდებარე პიესაში ხდება, დრამა თვით ყვირილსა და მყვირალს შორის ვითარდება... რადგან ეს ყვირილი შეიძლება სხვადასხვანაირად ჟღერდეს, ხელს უწყობდეს პერსონაჟის განდიდებას ან, პირიქით, მის დამხობასა და სირცხვილის უფსკრულში დანთქმას. დეფორმაცია, რომელსაც უპირველეს ყოვლისა, მთავარი გმირი, ჰენრიკი განიცდის, შემდეგნაირადაა რეალიზებული. ერთის მხრივ, ჰენრიკის შინაგანი სამყარო ახდენს გარე სამყაროს დეფორმირებას: მას ესიზმრება ეს ყველაფერი, იგი „მარტოა“, ხოლო მისი გარემოცვის ადამიანები მხოლოდ სიზმრისეულნი არიან და ზოგჯერ პირდაპირ გამოხატავენ მისსავე ემოციურ მდგომარეობას. ამგვარად, თუ, მოულოდნელად, სცენაზე მოქმედება თითქოს გარყვნილობაში, პათეტიკურობაში გადადის ან იდუმალ ელფერს იძენს, თუ ადამიანი მოულოდნელად ბოროტი ხდება ან ნაღველი ეძალება, ეს მისი სულის ინტენსიური მუშაობის გამოა. მაგრამ, მეორე მხრივ, გარე სამყაროც ახდენს ჰენრიკზე გავლენას. ხანდახან, როგორც ვთქვით, ისეც ხდება, რომ დრამაში მონაწილეები მოულოდნელად იცვლიან ტონს და რაღაც მოულოდნელს ამბობენ – ჰენრიკი მათგან ხომ სწორედ ამას მოელოდა. თუმცა ხანდახან ჰენრიკის ქცევა მისთვისვეა მოულოდნელი და გაუგებარი, რადგან ისიც უნდა მოერგოს პარტნიორებს; სწორედ ისინი განაპირობებენ ჰენრიკის ქმედებისა თუ მეტყველების სტილს. მაშასადამე, საქმე გვაქვს ორმხრივ დეფორმაციასთან - იმ ორი ძალის, შინაგანისა და გარეგანის მუდმივ ბრძოლასთან, ერთმანეთს რომ ზღუდავენ. მხატვრული შემოქმედების ყოველი აქტი ასეთ ორმაგ დეფორმაციას ექვემდებარება და სწორედ ამიტომ, ჰენრიკი შთაგონების ზემოქმედების ქვეშ მყოფ მყოფ არტისტს, ხელოვანს უფრო ემსგავსება, ვიდრე ადამიანს, რომელიც სიზმარს ხედავს. აქ ყველაფერი გაშუდმებით „ქმნის თავის თავს“: ჰენრიკი ქმნის სიზმარს, სიზმარი კი – ჰენრიკს, მოქმედებაც მუდმივად იქმნის თავს, ადამიანები ერთმანეთს ძერწავენ და მოქმედება კვანძის ამოუცნობი გახსნისაკენ ასე მიიწევს. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი: მსახიობის თამაშსა და რეჟისორის სამუშაოსთან დაკავშირებული რჩევები 1) ეს ადამიანები პირდაპირ არ

გამოხატავენ თავს; ისინი ყოველთვის ხელოვნურნი არიან; ყოველთვის თამაშობენ. ამიტომაა, რომ ხელოვნება ნიღბების, ჟესტების, შეყვირებების, მიმიკების ფერხულს ჰგავს... როლი უნდა შესრულდეს „ხელოვნურად“, მაგრამ ამ ხელოვნურობამ არასოდეს უნდა დაკარგოს კავშირი ნორმალურ ადამიანურ ტონთან, რომელიც ტექსტში მაინც ისინჯება. . არსებობს ორი ელემენტი, რომელიც ამ ხელოვნურობას გამოკვეთილ ტრაგიკულობას ანიჭებს: ჰენრიკი გრძნობს, რომ მისი ფანტაზიები უბრალოდ გართობა კი არა, მასში მიმდინარე ცოცხალი სულიერი პროცესია; გრძნობს იმასაც, რომ მისი სიტყვები და ქმედებები, არსობრივად, იდუმალი და ხიფათის შემცველი ძალების მაგიას შეიცავს; გრძნობს, რომ მას ფორმა ქმნის - ის რეჟისორია. 2) ორმაგი დეფორმაცია იმას ქმნის, რასაც ვიტკევიჩი "წმინდა ფორმას" უწოდებდა. პიესის პერსონაჟები ტკბებიან თავიანთი თამაშით, საკუთარი ტანჯვითაც კი - ეს ყველაფერი მათთვის მხოლოდ ხერხია ამა თუ იმ სახით გაერთიანებისა. ერთ სიტყვას ბუნებრივად მოსდევს მეორე... ერთი სიტუაცია მეორეს წარმოქმნის... ზოგჯერ დეტალი მნიშვნელობას იფართოებს , განმეორებით წინადადებები უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს... ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ნაწარმოების „მუსიკალური ელემენტი“ კარგად იყოს ხაზგასმული. მისი „თემები“, კრეშენდო და დეკრეშენდო, პაუზები, sforzata, tutti და sola სიმფონიის პარტიტურის ტექსტის მსგავსად უნდა იყოს მოწყობილი. თითოეული მსახიობი ორკესტრში ინსტრუმენტად უნდა გრძნობდეს თავს, მოძრაობა სიტყვებს უნდა შეერწყას., სცენები და სიტუაციები შეუფერხებლად გადაედინოს ერთიმეორეში - დაე, ადამიანებმა გუნდებად გამოხატონ იდუმალი მნიშვნელობები. ჩვეულებრივი პიესის ტექსტს რომ სწავლობს, მსახიობს შეუძლია, წინადადების შინაარსისამებრ გაიაზროს, როგორ უნდა წარმოითქვას ესა თუ ის წინადადება. აქ საქმე უფრო რთულადაა: დიალოგი უფრო ხელოვნურია, ზოგჯერ უმარტივესი სიტყვებიც კი ხელოვნურად ჟღერს. მეტიც, დიალოგის ნაკადია ბევრად დინამიური: მაგალითად, როდესაც ერთი პერსონაჟი რაღაცას ჩუმად და სევდიანად წარმოთქვამს, მეორის პასუხი შეიძლება მძლავრი და ხმამაღალიც იყოს, მესამე პერსონაჟის ტექსტი კი ლექსად იქცეს და რიტმულ სტროფად იქნას წაკითხული. 3) როგორც ჰენრიკი მერყეობს სიბრძნესა და სიბრიყვეს, ღვთისმსახურებასა და შეშლილობის ფორმებს შორის, სწორედ ასევე უქმნის ხიფათს თვით პიესას სიმდარის, კომიკურობისა და იდიოტიზმის ელემენტი. ეს პერსონაჟების ენაშიც კი გამოიხატება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ლექსად მეტყველებენ. ზოგან პიესა შექსპირის მკაფიო პაროდიას ემსგავსება. დეკორაციები, კოსტიუმები და ნიღბები მარადიული თამაშის, მარადიული ბაძვის, ხელოვნურობისა და მისტიფიკაციის სამყაროს უნდა გამოხატავდეს.

პირველი მოქმედება

(დამთრგუნველი, სასოწარმკვეთი ჰეიზაჟი. ბინდბუნდში ფორმადაკარგული ეკლესია მოჩანს)

ჰენრიკი

ჩამოიხსნა საბურველი.. ეკლესია ბუნდოვანი..

ეს თაღები სასცილო.. კამარა უცნაური ..

და ეს დაღი, ბეჭედი, რომელიც სძირავს უფსკრულს სფეროთა

სფეროს შავ უფსკრულში და ქვაში, ქვაში ..

აქ ეს კარიბჭე შეუძლებელი, რომელსაც მუდამ უტრიალებს ჩემი ფიქრები

იქ უცხო ფსალმუნთა საკურთხეეველი დაღლვარჭნილი

უასაზრისობის საჭდევით დახურულ თასის

რომელიც უძრაობაში იძირება და გონებას აკარგინებს სამწყსოს მოძღვარს ..

სიცარიელე. უდაბნო. არაფერობა. მარტო ვარ

ვარ მარტო

მარტო ვარ

თუმც შეიძლება არცა ვარ მარტო, ვინ იცის, რაა ჩემთან, იქნებ

მაგალითად, იქნებ რღაც.. ვიღაც არის აქ გვერდით,გვერდით მიდგას იქნებ

რომელიმე იდიო.. იდიოტი, , ლაგამამოუდებელი, გაუთლელი, მოიდიოტო, რომელიც შეიძლება

შეეხოს.. და (შიშით) უმოძრაობა ჯობია,, ჯობს არ გავინძრეთ .. არ გავინძრეთ.. რადგან თუ

გავინძრევით .. მაშინ ისიც გაინძრევა .. და(მისი შფოთვა ემატება), ო, რამე ან ვინმე საიდანღაც

სადღაც რომ .. აჰა.. იქ რაღაც (*გამოდის ვლაჯიო)*

ვლაჯიო! ვლაჯიოა!

ვლაჯიო

ჰენრიკ!

ჰენრიკი

ვერ წარმოიდგენ, რა საშინელი სიზმარი მესისზმრა, რაღაც საზარელი, არაადამიანური

შესახედაობის ქმნილება, გაქცევა მინდოდა და არ შემეძლო!

ვლაჯიო

ის გულაში, ძილის წინ რომ მოგვართმევენ ხოლმე, ძნელი მოსანელებელია და მძიმე. მეც

მესიზმრება ხანხადახან სიზმრები..

ჰენრიკი

მაგრამ შენ სისხლისა და ხორცისგან მაინც ხარ შექმნილი. თუ შენც იმათსავით.. შენც მესიზმრები იქნება.. საიდან გაჩნდი?

ვლაჯიო

განა მე ვიცი.

ჰენრიკი

ვლაჯიო, ვლაჯიო, ვლაჯიო, ასე საზარლად ნაღვლიანი რატომ ხარ?

ვლაჯიო

თავად რატომ ხარ სევდიანი?

ჰენრიკი

არაფერია.

ვლაჯიო

მაშ, არაფერი.

ჰენრიკი

რაღაც უცნაურობაა ჩვენ თავს. სად ვართ? ვშიშობ, დაწყევილია ეს ადგილები.. ჩვენც დაწყევილები ვართ.. მაპატიე, რაღაც ხელოვნურად ვლაპარაკობ.. ბუნებრივად საუბარი არ გამომდის.. და ეს სევდა გაასკეცებული

ო, მწუხარება უსაზღვრო და უნაპირო

და რაღაც დათრგუნვილობა საზარელი, ყრუ, ბნელი

დაუფლებია ჩემს სულს. ღმერთო!

ღმერთო, ღმერთო!

ვლაჯიო *(მხნედ, ბიჭურად)*

ღმერთი რად გინდა, როცა მე აგერ გყავარ?

ხომ ხედავ, მეც შენნაირი ვარ!

ხილვებზე ფიქრი რის მომცემია

თუკი მე და შენ სისხლისა და ხორცისგან ვართ შექმნილები

და თუ შენ ჩემნაირი ხარ, მე - შენნაირი!

ჰენრიკი (*სიხარულით)*

თუ შენ ჩემნაირი ხარ, მე კი შენნაირი! ჰაჰ! სულერთია! დე იყოს ასე! რა კარგია, რომ დაიბადე, ვლაჯიო! შენთან ერთად ყოფნა სულ სხვაა. მაგრამ ..

სად ვართ? მეჩვენება, რომ მართალია.. რაღაც ისეთ ადგილას ვართ.. იქ.. იქიდან რაღაც.. (

(*.. გამოჩნდება კედლის ნაწილი, ცოტა ავეჯი.. ოთახის ნაწილიც)*

ჰენრიკი

ეს უკვე სადღაც მინახავს.

ვლაჯიო

მეც..

ჰენრიკი (*დრამატულად*):

სადღაც ხომ ვართ

სადღაც ვიმყოფებით. მაგრამ კერძოდ, სად?

ეს რა არის?

(სცენაზე ჩნდება ოთახი; სასადილო ოთახი პოლონურ სოფლის მამულში, მაგრამ თითქოს დუქნად გადაკეთებული)

ვლაჯიო (*თითქოს გარკვევა უჭირს)*

ღმერთმანი, ეს ოთახი რაღაცას მაგონებს... ცოტათი მალოშიცეს სახლის სასადილო ოთახს ჰგავს.. ჰგავს და თან არც ჰგავს. საათი. კარადა.. იქ ჩემი ოთახი იყო, არდადეგებზე სოფელში რომ ჩავდიოდი...

ჰენრიკი

ჰო, მაგრამ ახლა მალოშიცეში ხომ არ ვართ, საფრანგეთის ჩრდილოეთში ვართ, ფრონტის ხაზზე - საფრანგეთის ჩრდილოეთში ნაწილში, ფრონტის ხაზზე. და თუ აქ ვიმყოფებით, იქ ვერ ვიქნებით!

ვლაჯიო

ჰგავს და თან არ ჰგავს.. თითქოს ის სასადილო დარბაზია, მაგრამ თან რესტროანს ჰგავს ან დუქანს.. ფუნდუკს.. სამიკიტნო სახლს..

ჰენრიკი

ეს ოთახი სულ სხვა რამისთვის დაუმსგავსებიათ და ეს ყველაფერი ანორმალურია.

ვლაჯიო

ნუ სულელობ , ცხოვრებას ნუ ირთულებ,

მერე შენ რა მაგით, რომ რაღაც არაა ნორმალური,

მე და შენ ხომ დავრჩით ნორმალურები

და ის სკამებიც ნამდვილია, ხისგან თლილი, ბუფეტში კი აუცილებლად იქნება რამე კბილის გასაკრავი...

მაგრამ რატომ არავინ ჩანს? გამოგვხედეთ!

ჰენრიკი *(შიშით)*

ნუ ყვირი! მოითმინე! ყვირილი ახლა არ ივარგებს!

ვლაჯიო

ვითომ რატომ არ ივარგებს?

ეჰეი! არის აქ ვინმე? გაწყდა აქ ყველა? ეჰეი!

ჰენრიკი

სულელო! ხმა არ გაიღო!

ჩუმად! ჩუმად იყავი-მეთქი, გეუბნები! ეჰეი!

რატომ არავინ გვხვდება? ჩუმად. ეჰეი!

ეჰეჰეი!

ვლაჯიო

ეჰეი!

ჰენრიკი

ეჰეი!

ვლაჯიო

' ეჰეი!

(*შემოდის მამა - ხნიერი, უდრეკი, სკლეროტული, ეჭვებით აღვსილი..)*

ჰენრიკი

როგორც იქნა, გამოჩნდა ვიღაც .. ბოდიშს ვიხდი, აქ მგონი რესტორანია...

(მცირე დუმილის შემდეგ) რესტორანი?

მამა

მერე? რაშია საქმე?

ჰენრიკი (*მოგზაურივით*)

აქ რამე კბილის გასაკრავს იშოვის კაცი?

მამა (*მელუქნესავით*)

რატომაც არა.

ოღონდ ყვირილი არ გვინდა.

ჰენრიკი (*ვლაჯიოს*)

ეს ხმა მეცნობა.

ვლაჯიო

მამაშენს ჰგავს ძალიან.. თავს დავდებ,

ისაა კიდეც, თუმცა რა ვიცი.. არა, არ ჰგავს... რა ვიცი.. თან არც ჩანს კარგად.

ჰენრიკი

რა სულელი ხარ. მამაჩემი რომ იყოს, მე და შენ ხომ გვიცნობდა.

არა, მორჩი. მამაჩემი არ არის. დავსხდეთ.

(მამას)

ღამისსათევიც გაქვთ? აქ ღამით დარჩენაც შეიძლება?

მამა (*უხალისოდ*)

დარჩენა და ღამის გათენებაც, მაგრამ, ბატონო ჩემო, ღამის სათევი ფასიანია. გარკვეული დელიკატურობის გამოჩენაც მოგეთხოვებათ.

ჰენრიკი

აჰ, გარკვეული დელიკატურობის..

მამა (*ხმას უწევს*)

პატივისცემის გამოჩენა.. მოწიწება.

ჰენრიკი

აჰ, პატივისცემის ..

მამა (*ყვირის}*

პატივისცემის.. თავაზიანობის!

(*შემოდის დედა, ასაკოვანი ქალი, დაკონკილი, დაქანცული, და მისი ყვირილი მამის ყვირილს უერთდება*)

დედა

მოგეთხოვებათ კეთილი აღზრდა და .. თავგადასავლების გარეშე, რადგან ჩვენ ასეთ ამბებში არასოდეს გავხვეულვართ.. ეგეთი ამბები აქ არ გვჭირდება.

ვლაჯიო (*ჰენრიკს)*

ეს დედაშენია.

ჰენრიკი *(ხმამაღლა)*

თითქოს, ერთი შეხედვით, მაგრამ მთლად ცხადადაც არა. ძალიან გაურკვეველია ეს ყველაფერი მაგრამ მე

გავარკვევ!

(*ვლაჯიოს*)

ბოდიშს ვიხდი, რომ ასე ხელოვნურად ვმეტყველებ, მაგრამ ძალზე ხელოვნურ მდგომარეობაში ვარ.

(*ლამპას მაღლა სწევს*)

აქეთ მოდით, ახლოს მოდექით,

მომიახლოვდით .. ახლოს -მეთქი, ახლოს

აქ დადექით, ახლოს .. ღმერთმანი, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს

ქათმებს .. ქათმებს ვუხმობ ...

ახლოს, უფრო ახლოს.. რაღახ უხალისოდ

მიახლოვდებიან. ახლოს, რადგან, თქვენ თუ არა, მე მოგიახლოვდებით,

მე მოგიახლოვდებით, და როცა მოგიახლოვდებით,
შენც მომიახლოვდები.. აჰ, აჰ, თითქოს თევზებს...
თევზებს ვიჭერდე ანკესით. კი მაგრამ, რატომაა აქ ასეთი სიჩუმე?
მამა გამოდის ჩრდილიდან
მაგრამ ისეა შეცვლილი, კაცი ვერ იცნობს, ამიტომ ძნელად
საცნობი შეიძლება ეთქვას.
თანაც ისეა დადუმებული, ისეთი უხმო გახდა,
სულ მე მიწევს ლაპარაკი. სულ მე უნდა ვილაპარაკო
და ბოლოს ისე გამოვიდა, რომ მამაჩემის
კაპელანივით ქადაგად ვიქეცი!
ცოტა დედაჩემიც მომადგა ხომალდივით,
მაგრამ კაცმა რომ თქვას, დედაჩემს დიდად არ ჰგავს.
ჰო, შეიძლება ჯობდეს,
შევეშვათ ამას. საოცრად
დაფანტულად ისმის ჩემი ხმა. შევეშვათ ამას, მით უფრო,
რომ თავადაც გვთხოვენ, რომ შევეშვათ.

ვლაჯიო

იქნებ ისინი არც არიან ?

ჰენრიკი

ისინი არიან და თან ზუსტად ვიცი, რომ ისინი არიან,
მაგრამ რა დაემართათ და რაა მიზეზი,
რომ თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს სხვები არიან ...
იქნებ შეიშალნენ...

ვლაჯიო

გამოელაპარაკე უბრალოდ, ჰენრიშ.

ჰენრიკი

... უბრალოდ გამოლაპარაკება არ შემიძლია, რადგან ამ ყველაფერში
არის რაღაც საზეიმო, მაღალფარდოვანი და იდუმალი,
ისე, თითქოს წირვას შემოვესწრეთ!
მეცინება: რა მაღალფარდოვანი გავხდი!
მრავალმნიშვნელოვანად მესმის ჩემივე სიტყვები! ღმერთმანი, სასაცილო
მეჩვენება, რომ ასეთი სერიოზული და მაღალფარდოვანი ვარ,

მაგრამ თან ვცახცახებ, აცახცახებული კი ვაცხადებ,

რომ ვცახცახებ - და ამის გაცნობიერების შედეგად

უარესად ვცახცახებ, ხოლო უარესად რომ ვიწყებ ცახცახს,

კვლაც ვაცხადებ, უარესად რომ ვცახცახებ ... მაგრამ ვის?

ვის ესმის? ვის ესმის ჩემი ხმა..

საქმეც ეგაა, არ ვიცი, ვის - და მაშასადამე

მარტო ვარ აქ, სრულიად მარტო, რადგან თქვენ აქ არ ხართ.

არა ! არავინაა აქ! მარტო მე ვარ

ვარ მარტო, სრულიად მარტო.. ო, იტირე, იტირე

ისე, ცრემლით, რადგან მე ვარ ის, ვინც მარტოა, მე ვარ!

ვლაჯიო

ნუ ამბობ მაგას.. ასეთ რამეებს რატომ ამბობ?...

ჰენრიკი

თუმცა თუ მაინც ჩემი მშობლები არიან, რაღაცნაირად გამოველაპარაკო, რამე ვუთხრა..

მამა, დედა!

მამიკო და დედიკო! მე ვარ, ჰენრიკი!

ომიდან დავბრუნდი!

მამა (*უკმაყოფილოდ*)

შეხე, დედაკაცო.. ჰენრიკი არ ყოფილა?

დედა

ჰენრიშ! ღმერთო მაღალო!

ჰენრიკი (უხეშად)

აჰა, ალაპარაკდნენ!

დედა

ამას წინასწარ ვინ წარმოიდგენდა, თუნდ წმინდა წინათაგრძნობით აღძრული, ჩემო ოქროვ, ჩემო მზეო, ბედნიერებავ ჩემო, მე, ბებერმა, სულელმა, ვერ მოვისაზრე, ან თვალები სად მქონდა, სად მქონდა და ცრემლებმა ამომიჭამა, როგორ მეგონა, რომ ვეღარასოდეს გნახავდნენ ჩემი თვალები, ჩემო ჩიტო, ჩემო თვალისჩინო, ჩემო საუნჯევ, როგორ გაზრდილა, რამხელა კაცია უკვე, ალილუია, ალილუია! მოდი ჩემთან, გულში ჩაგიკრა, საუნჯევ, ჩიტო, მზეო, ჩემო, ჩემო ჩემო...

ჰენრიკი

მოდი, მეც ჩაგეხუტო.

დედა

ჰო, ჰო, ჩავეხუტოთ ერთმანეთს.

მამა

თუ ასეა, ჩავეხუტოთ ერთმანეთს.

დედა

მოდი, ჩაგეხუტო.

მამა

მოიცა, მოიცა.. ასე არ შეიძლება.

ჰენრიკი (*გულუბრყვილოდ*)

ეს ხომ დედაა ჩემი!

მამა

დედა თუ ვინცაა, ჯობია, შორიდან ქნა.

ჰენრიკი

მე ხომ.. შვილი ვარ მისი.

მამა

შვილი ხარ თუ ვინც ხარ, ჯობია შორიდან ქნა.. გასაგებია, რომ შვილი ხარ, მაგრამ რას გაიგებ, მა შვილს ამ ხნის განმავლობაში რა დაემართა. შენ ოღონდ ვინმეს ჩაეხუტო (*გაღიზიანებული*), მე კი არავინ ჩამეხუტება, იმიტომ, რომ ვიღაც ქლესა არ ვარ, ვიღაცეები კუთხე-კუთხე მეხუტებოდნენ, როცა გაეხარდებათ!

ჰენრიკი (ვლაჯიოს)

გაგიჟებულან ესენი.

ვლაჯიო (ჰენრიკს)

გაგიჟებულან.

მამა

ამნაირ ფამილარულ მოქცევას აქ არ დავუშვებ, იმიტომ, რომ ეგეთი რამეები მთავრდება მერე ათასი მამაძაღლობით, მერე სიფათში უნდა მოგ.. ან რამე სხვა. არანაირი პატივისცემა, არანაირი მოწიწება, ერთი მამაძაღლი მეორე მამაძაღლს უნდა.. (*ძძიმედ, სკლეროტულად მეტყველებს*) სიფათს უნაყავს, ცემს, დაუნდობლად, უღმერთოდ, ასაკს, ცოლის აქ ყოფნას ანგარიშს არ უწევს, ისეთი გაავებით იციან, რაღაც ჯოჯოხეთური...

ჰენრიკი

გაგიჟებულან.

ვლაჯიო

გაგიჟებულან.

ჰენრიკი (*ლაღად, ხმამაღლა, თეატრალურად*)

ვეღარ გაუძლეს, როგორც ჩანს,

ამდენ საშინელ და დაუსრულებელ წელს.

რას იზამ, ადვილი არ არის, შეიშალა

ქვეყნიერება, ყარს.

ვლაჯიო (*ისეთნაირადვე*)

შეიშალა და ყარს. მამების და დედების

ნახევარი მაინც გადაცდა ჭკუიდან, ვეღარ

გაუძლეს ტანჯვას, განშორებას და სნეულებებს

მე თვითონ ვიცი ბევრი ასეთი შემთხვევა.

ჰენრიკი

მეც ვიცი!

(დარცხვენილი დადუმდება) მაგრამ რაღაცნაირად უნდა მოვახერხო ამათთან საერთო ენის პოვნა.

(*ხმამაღლა, ჩვეულებრივი სასაუბრო ტონით)* თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. სიმართლე გითხრათ, თავიდან რომ დაგინახეთ, ვერც კი გიცანით.

დედა

ვერც ჩვენ.

ჰენრიკი

ვერ გიცანით, რადგან.. რადგან.. არ მოველოდი აქ თქვენს ნახვას.. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ამაზე არაა ახლა საუბარი. აბა, როგორ ცხოვრობდით?

მამა

ისე რა. შენ?

ჰენრიკი

მეც.

მამა

ჰო, რა ვქნათ**,** რა ვქნათ**...**

ჰენრიკი

ჰო, ჰო ...

(სიჩუმე ჩამოწვება)

ჰენრიკი

ვქნათ რამე, არა? არაა მოსაწონი ასე დგომა და არაფრის..

მამა

არაფრის.

დედა

არაფრის.

ჰენრიკი

არაფრის.

ვლაჯიო (*მოულოდნელად*)

მე რამეს შევჭამდი.

დედა

აბა რა, აბა რა, თორემ დავდექით, ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ და სულ გამოვსულელდი, ბუნებრივია, რაღაცას უნდა გავკრათ კბილი, რა თქმა უნდა, ახლავე.. ამწუთას მოვამზადებ რამეს.. აბა რა, რა სასაწაული დღე გვაქვს, დღესასწაული. ჰენრიში ჩამოვიდა, ჯარში ხომ არაა, რაღაცას ვიპოვი კბილის გასაკრავს, ახლავე, ახლავე, აგერ მაგიდა, აგერ სკამები, რაც რამ გვაბადია.. თავზე არაფერი გადაგვდის, მართალია, ბევრი არაფერი გვაქვს, ალილუია, ალილუია...

მამა

აბა, მოგვიძებნე, დედაკაცო, რამე კბილის გასაკრავი, გააწყე ისე, როგორც წესია და რიგი.. პატივისცემით, თავაზიანად.. აბა, სახელითა მამისათა და ძისათა, დედისათა და ძისათა, შვილო, გთხოვთ სუფრისკენ გადმოინაცვლოთ.. მაგიდისკენ გზას ხომ გამოიკვვევთ.. აგერ მაგიდა, აგერ - ჩვენ .. შენი ხელი მომეცი, შვილი, შენ კი, დედაკცო, ეს ყმაწვილი მიგაცილებს, როგორც ჩვენს ოჯახში ხდებოდა დასაბამიდან უკუნისამდე, ამინ, აბა, წავიდა!

ჰენრიკი

ძალიან კარგი.

(წყვილ-წყვილად დადიან)

დედა

მახსოვს, ოდესღაც ასე მივყავდი ქსიონძს სააღდგომო სუფრისაკენ..

ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას და სტუმრები დარბაისლურად მუსაიფობდნენ!

მამა (ძალიან ხმამაღლა)

ძველ დროში, ჩემო ბატონო, ადამიანი

კრიალა თეთრ სუფრას ეჯდა, და ზედ

წვნიანს მუხუდოსას ხვრეპდა, თითქოს

გეგონებოდა, ზარს რეკავდა ან საყვირზე უკრავდა!

ვლაჯიო

სასიამოვნოა ეს გასეირნება და სასიამოვნოა

სიტყვების ხმამაღლა აყრა პირიდან

მაგრამ ასე სიარულს თუ გავაგრძელებთ,

ჭამას როდისღა დავიწყებთ?

ჰენრიკი

ეს წინ და უკან სიარულიც რა გაუგებარი რამაა. არ ვიცი,

მე ვატარებ მამაჩემს თუ ეს მატარებს მე

ეს შეხვედრაც რა უცნაური ფორმით ხდება

მაგრამ ალბათ ზოგად ატმოსფეროს უნდა ავუწყო ფეხი...

ყველანი ერთად

ჰო, ზოგად ატმოსფეროს უნდა ავუწყო ფეხი!

ყველამ ერთმანეთს უნდა შეეწყოს ნაბიჯი და ხმა! აი მაშინ

დაიწყება კონცერტი!

ჰენრიკი

უცნაურია!

(მაგიდას მიუჯდება)

დედა

გვაპატიე, ჰენრიშ, შენც, ვლადიშ, ასე ღარიბულად რომ დაგიხვდით.. როგორღაც ვართმევთ თავს ამ წუთისოფელს, როგორც შეგვიძლია. ეს ცხენის შიგნეულის წვნიანია.

მამა

გაჩუმდი, დედაკაცო, ჩუმად იყავი, რადგან ახლა ეს არაა მთავარი. ალბათ გეჩვენება, ჰენრიკ, რომ რაღაც შევიწროვებულ მდგომარეობაში გადაგვაწყდი აქ, ამ გზისპირა ფუნდუკ-დუქანში -

ჰენრიკი

ეს დუქანი.. რაღაცას მაგონებს.

მამა

შეეშვი, თავიდან ამოიგდე.

დედა

არა.

ვლაჯიო

არა.

ჰენრიკი

არაფერს.

მამა

შეცვლილია.

დედა

ამოტრიალებულია.

ვლაჯიო

განადგურებულია.

ჰენრიკი

დეფორმირებულია.

კარგი, კარგი, კარგი. შეიშალნენ. მაგრამ თან ვერ გაგიჟდებოდნენ, იმიტომ, რომ არ არსებობენ, მე კი სიზმარს ვხედავ. და იმის საუკეთესო დასაბუთება, რომ არ არსებობენ - მხოლოდ ჩემს თავში - ისაა, რომ ამათი თანდასწრებით ვამბობ, არ არსებობენ-მეთქი - ... ოოჰ, თავო ჩემო! ამდენი ხანი თავს ველაპარაკები!

ვლაჯიო

ეგ როგორ? ამდენი ხანი თავს ელაპარაკები?

ჰენრიკი

რა მნიშვნელობა აქვს! (ჭამას იწყებს)

მამა

ეგ კოვზი გააჩერე, ჯერ მე არ მიმიტანია პირამდე ჩემი კოვზი.

ჰენრიკი

დედა, მამა - რა გამომფიტველია ასეთი სიზმრები - დედა, მამა - ჩემი საფიქრალ-სადარდებელიც თავზე საყრელად მაქვს - დედა, მამა - მეგონა, დიდი ხანია, ჩაძაღლდნენ - ესენი კიდევ თურმე ჩაძაღლდნენ კი არა, ჭკუასაც მასწავლიან ..

მამა

თავაზიანი და კეთილად აღზრდილი ხარ შენ ყმაწვილი და ამიტომ არ იკადრებ, ჭამა დაასწრო მამასა შენსა, რომელმაც გშობა...

ჰენრიკი

ჰო, და არც ოჯახს დავუბრუნდები. აღარ მყავს უკვე ოჯახი. უკვე აღარავის შვილი აღარ ვარ.

მამა (*ისე ლაპარაკობს, თითქოს ქადაგებს*)

რადგან არა არს ისეთი პატივი, სიყვარული ისეთი, როგორიც ძეს მამისა არ მართებდეს, რადგან მამა უკუნითი უკუნისამდე წმინდა არს ამინ და კურთხეულია შვილის დიდი ღვთისმომსაობით და დიდი შიშითა ძრწის შვილი სამუდამო სასჯელის წინაშე...

ჰენრიკი

მე ომის შვილი ვარ!

მამა

ხოლო ვინც მამაე მკრეხელობით ხელს აღმართავს, შესცოდავს ისეთი საზარელი დანაშაულით, ისეთი ენით გამოუთქმელი, ისეთი ჯოჯოხეთური, სატანური, არაადამიანური ცოდვით, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა საზარელი ყვირილით, გმინვით, სირცხვილით, ტანჯვით, და ღმერთისა და ბუნებისგან განკვეთილი, დაწყევილი, უკუგდებული, მიტოვებული, დაგდებული...

ჰენრიკი

ამ ბებერს მგონი ეშინია, არც ვცემო...

მამა

კარგი წვნიანია.

ჰენრიკი (ვლაჯიოს}

მამაშენის ცემა შეგიძლია?

ვლაჯიო

შენ თუ შეგიძლია, ესე იგი, მეც შემიძლია.

მამა

მარილი გადმომაწოდე.

ჰენრიკი

სინდისიც არ შეგაწუხებდა?

ვლაჯიო

მარტო რომ ვიყო, შემაწუხებდა, მაგრამ რაკი ორნი ვართ, არა, იმიტომ, რომ ეგეთ დროს ერთი მეორეს ბაძავს.

მამა

ადრე მიყვარდა ძალიან შიგნეულის წვნიანი.

ჰენრიკი (ვლაჯიოს)

ჰა ჰა ჰა, ეგ კარგი რამე თქვი. დამაჯერებლად გამოგივიდა ძალიან. მომწონს, აი ეს მესმის - ჰა ჰა ჰა, მომწონს რაცა თქვი. მაგრამ საქმე ეგ არ არის (*დაშზაფრული შფოთვით*), მაგაზე საერთოდ არ არის ახლა საუბარი. აქ სულ სხვა რამეზეა საუბარი. ჯანდაბა, აღარც ვიცი, რაზეა საუბარი, მაგრამ ყველაფერი საშინლად დამქანცველია, იმიტომ, რომ ამოტრიალებულია ყველაფერი - გესმის? - რაღაცითაა ჩაჭედილი თითქოს ყველაფერი.. და შენიღბული.. მაგრამ მეჩვენება, რომ აქ ჩვენ გარდა კიდევ არის ვიღაც, აი ახლა ვნახავ, გავარკვევ და გამოვიცნობ ყველაფერს.. (სანათის/ლაპმის შუქს ოთახის სიღრმისკენ მიმართავს; იქ **მ ა ნ კ ა** აღმოჩნდება, რომელსაც სავარძელში სძინავს)

ჰენრიკი

ეს გოგო ვინ არის?

დედა

შინამომსახურეა ეს გოგონა.

ჰენრიკი

შინა სამსახური აქვს?

დედა

მოსამსახურეა.. გვემსახურება.. მანკა, მოახლე... მანკა, რაფიდან აქედან გადმოტანე საჭმლის ნარჩენები და ლორიდან მონარჩენი ძვალი ... (მამა რაღაცას იქავებს) ისევ გეფხანება?

ჰენრიკი

A propos, რაკი ყველაფერზე ცოტ-ცოტა ვისაუბრე .. ნაცნობები ყველანი ცოცხლები არიან?

მამა

ზოგიერთები - კი.

ჰენრიკი

მითხარი, ძალიან მაინტერესებს ... მანიას რა შეემთხვა? ალბათ ეგეც გეცოდინებათ. მანიას, რომელზეც დანიშნული ვიყავი, აქ იყო ხოლმე.. არდადეგებზეც ჩამოდიოდა.. მეც აქ ვიყავი..

მამა

ვერ ვიპოვე ძვლები რაფაზე.

დედა

იქნებ ვიღაცამ დაამარილა?

მანკა (*მაგიდას უახლოვდება)*

რაფაზე არ არი.

დედა

მაშინ აქეთ მოდი! მაგრამ დიდხანს არ იჯდე...ჯერ ცოტა მიალაგე.

ჰენრიკი

რა გქვია?

მანკა

მანკა.

მამა (*ორაზროვნად*)

მანკა.

დედა (*იმავენაირად*)

მანკა.

მამა

გოგონა მოახლეა, ჰენრიკ.

დედა

შეთანხმებულები ვართ მასთან.. ყველაფერზე..

მამა

მსახურია, გომბიო. ყველანაირი სამსახური მას ევალება.

დედა

სტუმრებს ემსახურება.

მამა

მომსახურება ევალება.. ... მანკა...

დედა

მანკა...

მამა

მანკა...

ჰენრიკი *(ვლაჯიოს, ხმადაბლა, ნაღვლიანად)*

ამ ამბავზე რას ფიქრობ?

ვლაჯიო *(ჩუმად, უსიხარულოდ)*
არ ვიცი, რა გითხრა.. არ ვიცი..
ჰენრიკი (ვლაჯიოს)
მე კი კარგად ვიცი !
ვლაჯიო (ჰენრიკს)
ეს რომ მართლა მანია იყოს, ხომ გამოგვემცნაურებოდა.. არ დავავიწყდებოდით, ხომ? აბა, სახელით მიმართე.

ჰენრიკი
არა.
სახელით როგორ მივმართო, თუ უკვე ის აღა არის, ვინც ოდესღაც იყო. ოო, რა საძაგლობა ხდება აქ! მყავდა მამა დარბაისელი და დედა, საცოლე მყავდა, ახლა კი მამა თითქოს გრძნეულის ტყვეობაშია, დედა მყავს - სათაუო დედად მექცა, საცოლე გომბიოდ მიქციეს, დამიმდაბლეს და სამუდამოდაა გამოკეტილი ამ გომბიოს სახებაში... ო, საძაგლობა! სიმუხთლე! ეს არაფრობა! სიცარიელე მუხთალი.. მაგრამ რაც ყველაზე უარესია: სულერთია ჩემთვის ეს ყველაფერი .. ნახე, რა ძალდაუტანებლად ვამბობ: სულერთია.

ვლაჯიო (*ძალდაუტანებლად*)
ჩემთვისაც სულერთია!

ჰენრიკი (*ძალდაუტანებლად*)
სიმართლე გითხრა,
არც ვიცი, როგორ უნდა მეჭიროს თავი
საცოლესთან, რომელიც გომბიოდ იქცა.

ვლაჯიო
დიდი ამბავი!

ჰენრიკი
ჰო, დიდი ამბავი!
სწორედაც რომ: დიდიც არაფერი მომხდრა:

წვრილმანია ეგ ყველაფერი.

ვლაჯიო

წვრილმანი!

მილიონობით ახალგაზრდა ქალს ერგო

იგივე ბედი.

ჰენრიკი

სწორედაც რომ!

მილიონობით დაწინდულ-დანიშნული აღმოჩნდა

იმავე მდგომარეობაში, როგორშიც მე ვარ ახლა.

ვლაჯიო

მთელს მსოფლიოში!

ჰენრიკი

ვარშავაში და პეკინში!

ვლაჯიო

მაინცში და ბარსელონაში!

ჰენრიკი

პარიზში და ლონდონში!

ვლაჯიო

პულტუსკში და კიევში!

დედა

ვენეციაში და კობლენცში!

მამა

პიოტრკუვში და კრაკოვში!

ვლაჯიო

ლიუბლინში და კონსტანჩინში!

ჰენრიკი

მაშინ ვიცეკვოთ!

ყველანი ერთად (მოულოდნელად)

ჰო, ვიცეკვოთ!

ჰენრიკი

შვილი დაბრუნდა მშობლების სახლში, მაგრამ სახლი

უკვე არ არის სახლი

არც შვილია შვილი. მაშ,

ვინ სად დაბრუნდა?

მოიჭერით, ჩამოიშორეთ ყოველი მოგონება! შორს, სამუდამოდ!

ნურავინ ნუღარსად დაბრუნდება!

(*დუმილი*)

აქ ვიჯექი ხოლმე მასთან ერთად, ახლაც აქ ვზივარ - მაგრამ რა? აღარაა არაფერი, რაც იყო. გაქრა. არის რაღაც სხვა და ხვალ კიდევ უფრო სხვად გათენდება. გამეორებად აღარაფერი ღირს.

(სიჩუმე ჩამოვარდება)

ვლაჯიო

გამეორებად აღარაფერი ღირს!

ჰენრიკი (*რომანტიკულად*)

ამ სავარძელს ხედავ? აქ ვიჯექი იმ დაუვიწყარ საღამოს. აქ დედა. აქ მამა იჯდა ჩემი. ახლაც აქ ვზივარ. გახსოვთ? ის საღამო ღირსახსოვარი გახსოვთ? ერთად გატარებული უკანაასკნელი საღამო.

დედა

ოჰ, რა თქმა უნდა, მახსოვს, რა თქმა უნდა, მახსოვს, შვილო... მე ზუსტად აქ ვიჯექი, ამჟავებული რძე გვქონდა ვახშმად..

მამა

მე აქ ვიჯექი.

ვლაჯიო

მე კიდევ აქ.. ზუსტად ამ სკამზე, ფანჯარაში ვიყურებოდი და ვამბობდი, ბუზებია-მეთქი. როგორ გამახსენდა უცებ ყველაფერი!

ჰენრიკი

მე კი აქ .. (ჯდება) და პურზე კარაქს ვუსვამდი. მანია გვერდით მეჯდა.. პურზე კარაქვს.. (*ვლაჯიოს*) არ გინდა, რომ დაჯდე? დაჯე. პურზე კარაქს ვუსვამდი. და ვთქვი: შირინგმა ისევ მოიკითხა თავისი ნემსები. მერე რაზე ვსაუბრობდით, გახსოვთ ვინმეს?

მამა

მე ვამბობდი რაღაცას, კი, მაგრამ ახლა ვერ ვიხსენებ, თავიდან ამომივარდა.

დედა

შენ მეხსიერება არ გივარგა, მე კი მახსოვს ყველაფერი .. რაღაცას ამბობდი, მაგრამ რას? აჰა! გამახსენდა, - ,,სახელო”, ეს თქვი, სხვა არაფერი, მხოლოდ ,,სახელო. იმიტომ, რომ მაჯა დაგესვარა, სახელოთი გაეხახუნე სასალათეს.

მამა

ჰო, ჰო, ჰო! ,,სახელო”-მეთქი,ნამდვილად ვთქვი, დიდება უფალს. საოცარი მეხსიერება გაქვს.

ჰენრიკი

მე კიდევ მაგიდაზე თითები ავათამაშე და ვთქვი: ,,სამ თვეში ქორწილი მაქვს.”

დედა

თქვი, ნამდვილად თქვი, ჩემო ჩიტო! ეს სიტყვები წარმოთქვა სწორედ! მე კი ფინჯანი მაგიდაზე დავდგი, ხელით ბუზები მოვიგერიე და გითხარი: ,, ჰენრიშ, აბა რას ამბობ? ესე იგი, დაინიშნეთ? ეგ ხომ..” არა, მანამდე გითხარი: ,, რას ამბობ, ჰენრიშ? შაქარი მომაწოდე.”

მამა

დიახ, მე კი მაშინვე ვთქვი: ,, ამათი კარგად ყოფნისა იყოს. სატირალი აქ არაფერია. რამე დასალევი გამოიტანე, მიდი! ცოტა ზედმეტად ახალგაზრდები კი ხართ, მაგრამ რა გაეწყობა! როგორ გაწითლდა ჩვენი გოგო, ვარდივით აუწითლდა ლოყები, როგორ დაიმორცხვა, ჰა ჰა ჰა! „

დედა

მერე რაღაც გიპასუხა ამაზე.

ჰენრიკი

კი, რაღაც უპასუხა, მაგრამ აქ აღარ არის. ქორწილი ჩაშალა. დამთავრდა ყველაფერი. მორჩა. იქ იმალება, კარადასთან. არ უნდა გამოსვლა. რა გაეწყობა. სიცარიელე დამრჩა მხოლოდ. იქიდან გვიყურებს. გამოდი მანდედან, გამოდი ფეხი!

ყველანი ერთად (*მანიას გარდა*)

გამოდი!

მამა

ავადმყოფობაა ეს, ჯანდაბა და ოხრობა.

ჰენრიკი {ვლაჯიოს}

ახლა ვეღარაფერს იზამ. უკვე ჩვეულებრივი მოახლეა, გესმის?

ვლაჯიო

რაც არის, ეგ არის. მოახლეა - მოახლე იყოს.

ჰენრიკი

რასაკვირველია - მოახლეა და მოახლე იყოს.

ვლაჯიო

ძალიანაც მესმის. რაცაა, ეგაა.

ჰენრიკი

რაცაა ეგაა, კი ბატონო.

ვლაჯიო

რა, სძინავს იქ?

ჰენრიკი

სძინავს?

ვლაჯიო

ჩაის კი დალევდა ადამიანი, უცებ მომინდა..

(*მანიასკენ*) ეი, ფსსტ.. ფსსტ...

მამა

რას უფშვიტინებ? ეს ,ფსტ”-ები სულ არაა საჭირო. თუ რამე დაგჭირდათ, მე მითხარით. მაგრამ ძალიან გთხოვთ, თავს ზედმეტის უფლება არ მისცეთ, აქ დუქანი არ არის.. ოოო, ხედავთ? უკვე იწყება.. არა, უსიამოვნებებს ვერ ავუვალთ ამ გომბიოს გამო, ვისაც არ ეზარება, ყველას მისთვის დასტენა, მიჩქმეტ-მოჩქმეტა და ხელის მოცაცუნება უნდა, დაუსრულებლად, ბოლო არ უჩანს ამას. რა მოჰყვება ამას? სკანდალი და მხოლოდ სკანდალი (გაღიზიანებით, ხმამაღლა) ზედმეტები არ იყოს აქ!

დედა (*შეუყვირებს*)

იგნაცი!

მამა

თავი დამანებეთ!

დედა

თავი ხელში აიყვანე, იგნაცი!

მამა

ძალიან გთხოვთ, თავი შეიკავოთ ყოველგვარი მამაძაღლობისაგან ამ მამაძაღლურ გამამაძაღლებულ გაძაღლებულ ძაღლის გაგდებულ ადგილას!

დედა

აჰა, აიწყვიტა!

მამა

ძაღლები, ძაღლები, ძაღლები!

(სცენაზე შემოყანყალდება **ლ ო თ ი**)

ლოთი

მანკა მამაძაღლო!

მამა

გთხოვთ, გაეთრიოთ!

ლოთი

მანკა მამაძაღლო, ხორცით გამიმასპინძლდი!

მამა

მე თვითონ მოვიტან!

ჰენრიკი (*სცენის მეორე კიდეში, გამხიარულებული*)

მანკა მამაძაღლო!

მამა (*მასთან მიირბენს*)

მე თვითონ მოგართმევთ!

ლოთი

მანკა, ხორცი მოიტა!

ჰენრიკი *(აიტაცებს სიტყვას)*

მანკა მამაძაღლო!

ლოთი

ხორცი, მამაძაღლო ძუკნა!

ჰენრიკი

მამაძაღლო!

მამა

უფალო იესო ქრისტე!

ლოთი

ძუკნა!

ჰენრიკი (უმისამართოდ, ჰაერში)

ძუკნა!

ვლაჯიო

ძუკნა!

დედა (განზე)

ღმერთო, რა დავაშავე.

მამა (ლოთს)

გთხოვთ, მიბრძანდეთ აქედან! გაეთრიეთ!

ლოთი

ერთი ბოთლი არაყიც მინდა!

მამა (*ჰენრიკს*)

აქედან მიბრძანდით!

ჰენრიკი

ბოთლი არაყი!

ლოთი (*უფრო ხმამაღლა)*

ბოთლი არაყი!

ჰენრიკი (*კიდევ უფრო ხმამაღლა)*

ბოთლი არაყი!

მამა

უფალო იესო!

ლოთი

ბოთლი არაყი, მამაძაღლებო!

ჰენრიკი

ბოთლი არაყი, მამაძაღლებო !

ვლაჯიო

ბოთლი არაყი, მამაძაღლებო!

(*შემოდიან* ლ ო თ ე ბ ი)

ლოთები

რრრრიმ, რრრიმ, რრიმ!

მამა

ცოტა კეთილგონიერება გამოიჩინეთ, ბატონებო!

გვინაა, ღამეა უკვე. მანკა, ჩარაზე კარი!

ლოთები (მაგიდას მიუსხდებიან)

ინგლისური ფუნთუშა, და არაყი ჩამოასხი!

უუჰ, ბომბია, ბომბი!

ძეხვი, მანკა!

სუფთა და ორმაგი ჩამოასხი!

მანკა, ინგლისური პური! მანკა, ძეხვი, მანკა, ლორი!

მანკა, ძეხვი!

ჰენრიკი (განზე)

მანკა, ძეხვი!

ლოთები

პატარა ანტეკმა ნაყინი ჩამოატარა

ბელანიში, რახ, ჩახ, დახ!

მამა (*მანკას*)

არ მოიტანო!

ლოთი

მანკა აქ მოდი, რაღაც უნდა გითხრა, მანიუშა..

მამა

არ მიხვიდე.

ლოთი

ჩაიგდე ენა.. ოფიციანტს ვეძახი, უარს ვერ მეტყვის, უფლება არ აქვს, ბაბუაჩემო, მაგრამ შენ თუ ჩაგგვეჩრები, გამოვტყვრები და მიიღებ ჭიტლაყს, შიგ შუა ჯვარცმაში!

ჰენრიკი (*განზე*)

შიგ შუა ჯვარცმაშიო!

მამა

ერთი წამი.. ერთი წამი.. თქვენის ნებართვით. მანკა, მოართვი ამათ!

ლოთი (თვალს არ აშორებს):

შეეშინდა ჩემი.

ლოთები (*საქმიანად*):

შეეშინდა.

ჰენრიკი (*განზე*):

შეეშინდა.

ლოთი

მოკეტეთ ..

დაეწყვეთ რიგად! მარშით იარე! მარშით!

წინისაკენ, გამოდგით ფეხი!

(მარშის *გადარეული რიტმი*)

ლოთები

პატარა ანტეკმა ნაყინი ჩამოატარა

ბელანში, რახ, ჩახ, ჩახ!

რრრიმ, რრიმ, რრიმ!

(*მამას წინ გაეჯგმებიან*)

ლოთი

მოკეტეეეთ .. ძაღლო, ძაღლო ..

მამაძაღლო!

ეშინია ჩემი...

ეშინია.

მეორე ლოთი (უხალსოდ)

ეშინია.

მესამე ლოთი

შიშით კი ეშინია..

ლოთი

რაკი ჩემი ეშინია, ამის აღსანიშნავად ერთს მაგრად ვგლიჯავ. არა, პანნა მანია?

ლოთები

მიდი, გლიჯე, მიდი, გლიჯე!

ლოთი

ვგლიჯავ კიდევაც!

ლოთები

გლიჯე, გლიჯე კიდევაც!

ლოთი

ვგლიჯავ კიდევაც!

ჰენრიკი

გლიჯე კიდევაც!

ლოთი

ვგლიჯავ კიდევაც!

დედა (შიშით)

იგნაცი, მართლა გგლიჯავენ, მართლა გგლიჯავენ! '

ლოთები

გლიჯე კიდევაც !

ლოთი

ვგლიჯავ კიდევაც!

(*მამას უახლოვდებიან*)

ლოთები

გლიჯე კიდევაც!

ლოთი

ჰოდა, ვგლიჯავ კიდევაც!

(სიჩუმე ჩამოწვება)

ლოთი

ჰოდა, ვგლიჯავდი კიდევაც, მაგრამ, ჯანი გავარდეს.. ძალიან უმოძრაო

და გაყინული სიფათი აქვს.

არ უმოძრავებს. სიფათი. რაკი არ უმოძრავებს, ამიტომ არ ...

(მანიას) მანკა..

იმიტომ, რომ აქ ძალიან დიდი იატაკია!

ლოთები (*უგუნებოდ*}

სიფათი არ უმოძრავებს (მანიას მიმართავს), მანკა.

ლოთი

თან მანამდე ისეთი სიჩუმე ჩამოწვა...

ჰენრიკი (*თავისთვის, ხმამაღლა*)

ჰო, რა თქმა უნდა, სიჩუმე ჩამოწვა....

ლოთი

რრრიმ, რრიმ, რრიმ..

(ხმამაღალი მარში)

ლოთები

პატარაანტეკს დაჰქონდა ნაყინი

ბელანიში, რახ, ჩახ, ჩახ!

რრრიმ, რრიმ, რრიმ!

ლოთი

ჰოდა, გლიჯე კიდევაც!

ლოთი

ჰოდა, ვგლიჯავ კიდევაც.

ჰენრიკი (*თავისთვ*ის)

როდის დასრულდება, ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი?

ლოთი (*განზე, განსხვავებული ტონით*)

ახლავე.

ჰენრიკი (ლოთს)

ფანჯრებს მიღმა რა ხდება?

ლოთი

ძალიან დიდი მინდვრებია.

(ლოთები მამას უახლოვდებიან)

ლოთი

ჰოდა, to პირველ რიგში ამას სახეს დავულწავ, მერე ვიხმარ, ვაფრუთხებ, კარგად გავალამაზებ და ისევ ვიხმარ, იმიტომ, რომ არ მეშინია - მანკა. მაგრამ სახე ძალიან უმოძრაო აქვს! უმოძრაო სიფათში რტყმევა კი არაა საინტერესო!

პირველი ლოთი

სიფათი კი არა, მთელი სახლია.

მეორე ლოთი

ქსიონძივით სიფათი აქვს.

(სიჩუმეა)

მეოთხე ლოთი (უცებ)

ეეე, ცხვირზე ბუზი დააჯდა, ნახეთ!

ლოთი

მერე?

მეოთხე ლოთი

მერე ცხვირზე ბუზი არ უნდა დააკლა? ამ ბუზს შეარჩენ? ხომ ვარ მართალი, ქალბატონო მანია?

ლოთი

ბუზიო, ამის დედა ვატირე, ბუზიო, ამის დედა ვატირე, ბუზიო..

(*შეშდება*)

მამა (*ხმადაბლა*}

არ გაბედო ..

ჰენრიკი (*განზე, დრამატულად*)

ო, ო, ალაპარაკდა!

მამა (*ხმადაბლა*)

არ გაბედო, იმიტომ, რომ ამას ვერ გადავიტან

ვერ გადავიტან

ამას ვერ მოვინელებ

ვერ მოვინელებ, იმიტომ, რომ ვერ მოვინებელებ

ამის გადატანა არ შემიძლია !

ხოლო მე თუ ეს ვერ გადავიტანე, მაშინ.. მაშინ..

აღარც ვიცი, მაშინ რა...

ლოთი (*ფამილარულად*)

აი, ვგლიჯავ ახლა მაგას, მანკა, ვგლიჯავ მაგას!

ლოთები (*ფამილარულად*)

გლიჯე მერე მაგას, გლიჯე მაგას!

მამა (*ყვირის*}

ღორებო!

შორს ჩემგან, თორეეემ!

ერთი გაბედოს, მომეკაროს თქვენგან ვინმე, რაღაც საშინელებას დავაწევ,

მითქვამს თქვენთვის - რაღაც საშინელებას!
საშინელებას, მაგრამ როგორს, ეგ ჯერ არ ვიცი.
იქნება ღრიალი, ჯოჯოხეთი, ბორკილები წამება და რა აღარ,
სამყაროს დავწყევლი ერთიანად, ყურების წამღები წივილით,
დამანგრეველი, გამანადგურებელი წივილით, დიახ, დიახ.
რადგან ჩემთვის არ შეიძლება, არ შეიძლება, არ შეიძლება,
ხელშეუხებელი, ხელშეუხებელი ვარ
ყველას დაგწყევლით!

ლოთები
ოჰოჰოჰ, მეფე, მეფე, მეფე ხელშეუხებელი!

ლოთი
მეფე ნახეთ, რა!
აი, ავიღებ ეხლა და თითს გატაკებ!
არ ვარ მართალი, ქალბატონო მანია?

მამა (*გარბის*)
შორს ჩემგან, თორემ დაგწყევლი!

ჰენრიკი (მოულოდნელად)
დადექით ყველა! დადეექ!
(*სცენა შეშდება*)

ჰენრიკი
მე, რასაკვირველია, აღარ ვიცი, როგორ დავიჭირო თავი, როგორ მოვიქცე...
(*ვლაჯიოს*) ვლადეკ.. მაგრამ ვგონებ რაღაცნაირად მაინც მომიწევს მოქცევა -
(*დანანებით*) მაპატიე, რომ ასე ხელოვნურად ვმეტყველებ. მაგრამ აქ ყველაფერი ხელოვნურია!

ვლაჯიო (*მხნედ, გამომწვევად)*
მერე რა მოხდა!
რა დიდი ამბავი ეგაა! დიდი რამე, ხელოვნურად გამოდის,
სამაგიეროდ ბუნებრივი თავად ხარ!

ჰენრიკი

ჰო, ბუნებრივი ვარ, მინდა, ვიყო ბუნებრივი,

არ მინდა მაღალფარდოვნება! მაგრამ რანაირად მოვახერხო და

ხელოვნური არ ვიყო, თუ ხმა ამომდის ხელოვნური?

(*სიჩუმე*)

საშინელი სიჩუმეა.

ისეთი სიჩუმე, ყურში ზარად რომ ჩაგესმის.

 და ალბათ უცნაურია, აჰ, ძალზე უცნაური,

რომ ვლაპარაკობ.

მაგრამ ჩუმად რომ ვყოფილიყავი,

ჩემი დუმილიც არანაკლებ იქნებოდა უცნაური.

როგორ მოვიქცე?

წარმოვიდგინოთ, რომ ვზივარ

აქ, აი, ამ სკამზე

(*ჯდება*)

... და ვიწყებ

უდარდელად ხუმრობას, სიცილს, ფეხების

ან ხელების ქნევას.. არა, არ გამოვა! ხელოვნური

იქნება იმ მოძრაობების ბუნებრიობა და

და რაღაც ჯადოსნობად გადაიქცევა.. წარმოვიდგინოთ,

რომ ფეხებს ვაწყობ ამ მაგიდაზე, რომ თავგადაგდებულმა

გავირჭე პირში პაპიროსი და ვამბობ: - მერე მე რა, რომ

მამაჩემს სცემენ, ნამუსის ახდას უპირებენ

ყოფილ საცოლეს ჩემსას? გაბუქება რა საჭიროა?

დაძაბულობის გაღრმავება არის განა საჭირო?

ჰოდა, არ გავაღრმავებ! ერთით მეტი, ერთით ნაკლები..

ვერ მოინელებს, ვერ გადაიტანს?

მაგრამ მე გადავიტან იმას, რასაც მამაჩემი ვერ გადაიტანს..

მამა, მამა.. რას ნიშნავს მამა? ჩვეულებრივი მამაა ეს,

უჩვულებრივესი.. ჩვენც, ყველანი, უჩვეულებრივესი

ადამიანები ვართ.. წარმოვიდგინოთ, რომ ვამბობ

ამ ყველაფერს და ამაზე მეტს. ვთქვი, რომ

ჩემი ნასაუბრევი ჟღერს ხელოვნურად, რომ რაღაც განცხადებად

გადავქცეულვარ, რომელიც ქვასავით

იძირება ამ სიჩუმეში.. აჰა! უკვე ვიცი, რატომაც გამოდის ასე

რომ კი არ ვლაპარაკობ, არამედ ვაცხადებ: ეგ იმიტომ, რომ თქვენ აქ არ ხართ
ვარ მე, და ვარ მარტო, მარტო, მარტო.. არავის
არაფერს ვეუბნები და ამიტომ ხელოვნური უნდა ვიყო,
რადგან თუ არავის არაფერს ვეუბნები, მაგრამ მაინც ვლაპარაკობ,
მაშინ ხომ ხელოვნური უნდა ვიყო.
რა თქმა უნდა, შემეძლო, მუხლი მომეყარა, რასაკვირველია,
ეს შემეძლო..ეს, ბუნებრივია, საკმარისი იქნებოდა.. მაგრამ
ვამბობ, რომ შემეძლო მუხლი მომეყარა-ემთქი.. და, მართალია,
ეგ საკმარისი იქნებოდა..
(*სანახევროდ ჩაიმუხლებს*)
აჰა, ჯანდაბას ჩემი თავი, მუხლი მოვიყარე, მაგრამ რაღაცნაირად
მაინც უხმოდ და არა ჩემთვის, არამედ სხვებისთვის, მაგრამ არა მათთვის
არამედ ჩემთვის და ერთგვარად.. როგორც ქსიონძი რომელიღაც..
ქსიონძი.. რადგან არ ვიცი, რატომ...

მამა (სხაპასხუპით, განზე)
რადგან არ ვიცი, რატომ.
დედა
არავინ იცის, რატომ.
ლოთი
არავინ არის.
ვლაჯიო
აქ არავინ არაფერი.
ჰენრიკი
რაც არის, არის, სულერთია!
მუხლებზე ვდგავარ მის წინაშე! ახლა სცადეთ
გააუქმოთ მუხლებზე ჩემი დგომა, ჩემი მუხლმოყრა
გააუქმოთ, მოისროლოთ, მუხლებზე ჩემი დგომა!
(*ლოთს*) დაატყი მაგას!
და მე მის წინაშე მუხლებზე დავდგები!
მეორე ლოთი
მეფე!
დედა
მეფე!
ლოთი

მეფე!

ლოთები

მეფე! მეფე!

ჰენრიკი

მეფე? როგორ ან რატომ?

ლოთები (სრულიად გამომტყვრალები)

მეფეა, იმიტომ , რომ მეფეა!

(შეძახილების - ,,,მეფე, მეფე!" სიხშირე უფრო და უფრო იმატებს)

(შემოდიან მსხვილ-მსხვილი მო ხ ე ლ ე ე ბ ი)

მამა

ჰენრიკ!

ოო, ჰენრიკ!

დედა

ო, ჰენრიკ!

მოხელეები

ჰენრიკ!

ჰენრიკი

ო, ჰენრიკ! (დგება)

მამა

მადლობა შენდა, ჩემო შვილო, ვიღებ შენს ფიცს, და კიდევ ერთხელ ვიღებ, კიდევ ერთხელ და მისი მიღებით გულს ვერ ვიჯერებ, (გულწრფელად) ძალზე მოწყურებული გახლდით მოწიწებისა და პატივის ნიშნების მიმართ.

ჰენრიკი

ეს რა მასკარადია?

(სიჩუმე)

მამა (მძიმედ, საკუთარ თავთან ბრძოლის ნიშნებით)

მოხელეები არიან!

მოხელეები

მეფე! მეფე!

მამა

ჩემი უდიდებულესობის მოხელეები!

მოხელეები

მეფე! მეფე!

მამა

ღირსეულო ჩემო მოხელეებო! ქედი მოვიდრიკოთ.....

ქედმოდრიკელები მივესალმოთ დიდ თა -- თავადს,

ძეს ჩემსას, ჰენრიკს, შორეული ომიდან მუნ დაბრუნებულს.

ჰენრიკი

ეს რა სისულელე ხდება აქ?

მამა (*მძიმედ, სკლეროტულად*)

უფალო! უფალო !

იესო ჩემო ნაზარეველო! წმიდაო დედაო ჩემო!

ზეციურო ანგელოსებო! იესო ჩემო, იესო, უფალო, უფალო! აი, ეს არის იგი, ძე ჩემი, კურთხევა ჩემი, მემკვიდრე ჩემი უნეტარესი, წუთის წინ მიხსნა სწორედ ღორების კოლტისაგან, არყით შეშლილი და დაყრუებული კოლტისაგან, რომელიც ხელშეუხებელ ჩემს გვამს თითით შეხებას უპირებდა! ჩემს ხელშეუხებელ გვამს! ჩემს გვამს! ჩემს ხელშეუხებელ პერსონას! არავის აქვს ჩემი შეხების უფლება.. არავის.. აკრძალულია ეს. არავის აქვს უფლება!

მოხელეები

უფალო იესო!

მამა

მაგრამ უკვე ვეღარ შემეხება!

ვერ დამარტყამს, ვერ მიღრიალებს, ვერ მაფურთხებს,

რადგან .. ჰენრიკ! ო, ჰენრიკ, ჰენრიკ!

დედა (ტრიუმფალური ტონით)

ჰენრიშ!

მოხელეები

ო, ჰენრიშ!

ჰენრიკი

ო, ჰენრიშ!

უფრო და უფრო დიდი სიბრიყვე ხდება აქ .. .

მამა

მუხლი მოიყარე

მუხლი მოიყარე, ჰენდრიშ!

ჰენრიკი

თორემ რა?

დედა (შეშინებული)

მუხლი მოიყარე, ჰენრიკ!

მამა

მოიყარე მუხლი, მუხლი მოიყარე! მეც აქვე მოვიყრი.. მოიყარე-მეთქი;

ყველანი მუხლებზე... (მუხლს იყრის)

(მოხელეებიც მუხლებზე დგებიან)

ჰენრიკი

არა, აქ მარტო ვერ ვიდგები... (*ტლანქი მოძრაობით მომოიხედავს და მუხლებზე დგება*)

ეშმაკმა იცის, აქ რა ხდება (*ამჩნევს, რომ მუხლმოყრილ მამამისის პირისპირ დგას მუხლებზე*) მე მის წინაშე მომიყრია მუხლი, ამას ჩემ წინაშე. ტაკიმასხარაობა! მასხარა! (*მეტი და მეტი მრისხანებით*)

სიმახინჯე!

მამა

ერთი წუთი.. სხვა მხარეს უნდა მომეყარა მუხლი (ზურგს აქცევს ჰენრიკს)

უფალი ღმერთისაკენ! უფალ ღმერთს ვცემ თაყვანს! უფალ მივანდობ თავს და წმინდა სამებას და მის მოწყალებას ამოუწურავს, მადლს წმინდას, მფარველობას მისას უზენაესს.. ო,ჰენრიშ, ჰენრიშ .. მასშია ხსნა, მასშია სიხარული, მასშია ნავსაყუდელი ჩვენი..

მამაო ჩემო

მე ძე ვარ შენი,

შენ - მამა ჩემი...

ჰენრიკი

ლოცულობს.

მამა

შენ ხარ ხელმწიფება ჩემი!

ჰენრიკი

ახლა ვეღარ ავდგები, საამისოდ ცუდი მომენტია.

მამა

შენდამი ვდებ ერთგულების ფიცს, მამავ ჩემო, ხელმწიფევ ჩემო, გიდასტურებ

სიყვარულს,

მოწიწებას

და სასოებას ჩემსას.

ჰენრიკი

ღმერთს აძლევს ფიცს, მაგრამ ისე, თითქოს მანამდე მე შემეფიცოს ერთგულება.

(*ხმამაღლა*) მომბეზრდა უკვე.

(*დგება*)

მამა

ჰენდრიკ, ჰენდრიკ, მამავ ზეციურო, შენ მოგყვები, შენი ვარ. არ მიგატოვებ, მამაო ჩემო, შენ კი მე ამისათვის.. შენ ამისათვის გოგონას დამიბრუნებ ჩემსას, ჩემს სიყვარულს, ამინ, ამინ, ამინ.. ისე, რომ ყველაფერი წესების დაცვით მოხდეს.. როგორც ჯერ არს და როგორც ხამს.

ჰენრიკი

ეს რაღაა? ღმერთს ეჩურჩულება ყურში თუ მე?

მამა

ჩემს საცოლეს დამიბრუნებ!

ჰენრიკი

ჩემს საცოლეს დამიბრუნებო?

მამა

ქორწილს გადამახდევინებ!

ჰენრიკი

ქორწილს?

მამა

ღირსეულად გადამახდევინებ ქორწილს.. ღირსეულ ქორწილს, როგორც მუდამ იხდიდნენ ოდითგან ჩვენს ოჯახში! ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, როგორც ძველად ხდებოდა! ჯვარს დამაწერინებ ღვთისაგან ნაბოძებ სუფთა, შეურყვნელ, უმანკო ქალთან, ჩემს რჩეულთან.. ღირსეულად დამწერ ჯვარს.

(*ყველანი აუჩქარებლად დგებიან*)

ჰენრიკი

ქორწილიო?

მამა

ქორწილი.

დედა

ქორწილიო.

ჰენრიკი

ქორწილი?

მამა

ქორწილი.

მანია

ქორწილი.

მოხელე

ქორწილი.

დედა

ქორწილი.

მოხელე

ქორწილი.

ჰენრიკი

ქორწილი?

(დედ-მამა ღიმილით შეჰყურებენ, გულაჩუყებულები და გასხივოსნებულები)

მამა

სახელითა მამისათა

და ძისათა! ხედავთ იქ

გოგოს, ერთი შეხედვით რომ

ჩვეულებრივ მსახურს წააგავს?

დუქნის მომსახურეს, მოახლეს?

მოხელეები

ვხედავთ, ბატონო.

მამა (*უცებ წამოენთება, თითქოს ვიღაცას უბრაზდება*)

მაშ იცოდეთ, არანაირი გომბიო

თუ გინდაც მოახლე იგი არ არის! კეთილშობილი,

სათნო პანნაა, შეუხებელი -

ბინძური გაიძვერების მიერ მოტაცებული,

დაატყვევებული, ნატანჯი და შეურაცხყოფილი,

ნაფურთხები და ტფუი, ტფუი, ღვთაებრივ და ადამიანურ-

სახეწართმეული, მეხი დაეცეთ ღორებს

ამის ჩამდენთ, მეხი დაეცეთ!

ხალხო, ძუკნა არ არის იგი! ხალხო, სინდისს და ნამუსს
უხმეთ! ცოტაოდენი შეგნება მაინც -
გულმოწყალება მცირედი გამოიჩინეთ!
ამიტომ ვბრძანებ ახლა, ყოვლითა ძალითა ჩემით,
ვაცხადებ ერთხელ და სამუდამოდ, ყველას ვუცხადებ
რომ ღირსებას აღვუდგენ დღეის ამას იქით უწინდელს
და ვბრძანებ პატივი სცეთ მას ისე
როგორც თავად მე მცემთ პატივს და როგორც წმიდათაწმიდა
დედა ღვთისმშობელს, ხელშეუხებელია მისი ღირსება
სახელითა მამისათა და ძისათა!

ჰენრიკი (ვლაჯიოს)
სიზმარია ეს და მხოლოდ სიზმარი, შეიძლება, ცოტათი გულუბრყვილო, მაგრამ ამით რა შავდება? არც არაფერი.

ვლაჯიო
რასაკვირველია! მაგით რა შავდება, რომ სიზმარია, თან თუ მისი ნახვა შენც გეამა.

ჰენრიკი
მეამა.
(*ამ დროს გარს შემოეხვევიან მამა, დედა, მანია და მოხელეები)*

დედა
ოჰ, როგორ შეეფაკლა ლოყები!

მამა
ჰა, ჰა, ჰა, დაირცხვინა.. კარგი ახლა, კარგი, ჰენრიშ, ასწიე თავი, შემომხედე.

ჰენრიკი
რატომ?

მამა
იმიტომ, რომ ხვალ ქორწილია..

ჰენრიკი
მაგრამ ... არაფერი მესმის ...

მამა (განზე) '
ჩუ.. სადღაც, საბძელში არ გეკადრება ვიღაცასათან შმაშუნი, როცა შეგიძლია, ღირსეული პანენკა შეირთო ცოლად.. ჩვენს გვარში მუდამ ღირსეულ ქორწილებს იხდიდნენ.. მე დედაშენზე ისე ვიქორწინე, როგორც წესი და რიგია, შენც ასე გეკუთვნის.. ნახავ, ჰენდრიკ, ყველაფერი კარგად იქნება...

(ხმამაღლა) მადლობას გიხდი, ძეო ჩემო, გამოჩენილი გულმოწყალებისთვის... ახლოვდება შენი ქორწილი და სიხარული მამის და დედაშენის, ჩემი ცოლის, ხოლო რაც მანამდე მოხდა, მოხდა და გაიარა, დავიწყებულია სამუდამოდ, თითქოს არც ყოფილა, აღარც ..

დედა (*ძალიან ხმამაღლა)*

ალილუია!

(ისმის მუსიკა, მხიარული მარში, დედა და მამა, ჰენრიკი და მანია, ვლაჯიო და მოხელეები საზეიმო გამომეტყველებითა და ნაბიჯით დადიან წყვილ-წყვილად, გულაჩუყებულები)

ჰენრიკი *(ძალიან ხმამაღლა)*

განა შეიძლება იმაზე უცნაური რამის წარმოდგენა,

ვიდრე ჩრდილების ეს მასხრული მსვლელობაა

ზმანებების ბინდბუნდში?

არადა, გული სიხარულით მევსება და მიმღერის

რადგან ამ ნაბიჯებით ჩემთვის ადრე ძვირფას გოგონას ვუხლოვდები.

(ყველას) მაპატიეთ, დიდი მელექსე ვარ.

დედა

ასეთ წუთებში ხარობს დედის გულიც,

ადრე დიდი ხნით დამწუხრებული!

მამა

ისმის მუსიკა და წყვილ-წყვილად დადის ხალხი

როგორც მეჯლისზე! ო, ძველო დროებავ!

მე მომყევით, ბატონებო! ღმერთმა დაგლოცოთ!

რად დადექით, მომყევით, მალე!

დაღლას არა ვართ, გამომყევით!

წინ, წინ გასწით, ჭენებით იარ!

თავს ნუ დაზოგავთ , მარდად იარეთ!

მხნედ! კოხტად მოხდეს ყველაფერი,

იარეთ, იარ! ჭენებით, მარდად!

(*ხედავს ლოთს*)

დადექით! შედექ! აგერ აქ დგას, ჩვენ გვიყურებს!

დაიჭირეთ, دააპატიმრეთ და ჩააგდეთ
დილეგში, ბნელეში და მყრალში
გამოკეტეთ! გიჩვენებ სეირს!
სეირს გიჩვენებ!

ლოთი (გაბოროტებით)
სეირს მე გიჩვენებ.

მამა
შენ?
მე?
ლოთი
ჯერ სად ხარ, მე კიდევ შეგეხები.. ...
(მანიას) ხომ მართალს ვამბობ, პანნა მანჩუ?
მამა
ღორო!
ლოთი
ღორო!
მამა
ღორო!

ფარდა

მოქმედება II
(სანახევროდ ჩაბნელებული დიდი დარბაზი)

ჰენრიკი (სვეტს მიყრდნობილა)

ნეტავ ამ სიზმრის მნიშვნელობა ამომაცნობინა..
(წყვილ-წყვილად შემოდიან მოხელეები და საფეხურებით ადიან შემაღლებულ ადგილას, რომელიც სიბნელეში იკარგება და არ ჩანს)

პირველი მოხელე

მოახლედ ჰყავადათ აქამდე.

მეორე მოხელე

მეფე კი ადრე მედუქნედ იდგა!

(გაივლიან)

მესამე მოხელე

ჯვრისწერა მალე დაწყება.

მეოთხე მოხელე

ჯვრისწერა? ფარსი იქნება!

(გავლიან)

მეხუთე მოხელე

კიდევ დიდხანს მოვისულელებთ თავს,

ჩვენი სიბრიყვით მოხლის თავისმოჭრას დიდხანს შევალამაზებთ?

მეექვსე მოხელე

ის ლოთი კი გაიქცა და სადღაც შორიახლო ტრიალებს.

(გაივლიან)

(ჰენრიკს მამა უახლოვდება)

ჰენრიკი

მამა!

მამა

მე ვარ, ჰენრიკ .. ქორწილის ამბებს ვაგვარებ. ისეთ დაგწეროთ ჯვარი, ისე, თვალს დავუყენებთ და დავუვსებთ ზოგ-ზოგებს .. (თითს სიბნელისკენ იშვერს) იქ მზადება მიდის უკვე. ოღონდ შენ იყავი ყოჩაღად!

ჰენრიკი

რა ქორწილი, ვინ აწყობს და ამზადებს, სად და როგორ?

მამა

ვინო? ვინ და ეპისკოპოსი. ეპისკოპოსი ჩავრთე საქმეში, ყველაფერი რომ წესისამებრ ჩაატაროს, ყველაფერი კარგად გავიაზრე, მაგრამ ფასონის დაჭერა კია საჭირო, ჰენდრიშ! ახლა უნდა იყოჩაღო, ჩემო ბიჭო! გახსოვდეს, ახლა მხოლოდ მამაშენის კი არა, შენი რჩეულის ბედიც წყდება..

ჰენრიკი (თავისთვის)

ხანდახან მეჩვენება, რომ ყველაფერს ძალიან ბრძნულად აკეთებს, მაგრამ ხანდახან ..

მამა

ჩუ.. ჰენდრიშ.. ოღონდ შენ არ მიღალატო, აქ მოღალატეების ნაკლებობა ისედაც არ გვაქვს.. არავის გაამასხარავებინო ჩემი თავი, ჰენდრიკ.. რადგან ღალატი ტრიალებს აქ.. ღალატი.. ღალატი.. ღალატი (შორდება, ამაღლებულ ადგილზე ადის)

ჰენრიკი

ჯერ ჩემს გრძნობებში ვერ გავერკვიე!

(შუქი იმატებს. შემაღლებულ ადგილას ჩნდება მამა, გარს კარის არისტოკრატები და მრჩევლები ახვევია. მოხელეების გამომეტყველება კარიკატურულად მეტყველია - მეტისმეტად ჭკვიანურია და ცინიკური, მაგრამ თან ლამის ნეტარიც)

ჰენრიკი

ეს რა ძალა ..

(მეფის ტახტის წინ გამოდის)

მქონია.

მამა

ჰენრიკ!

მეფის მრჩევლები და სასახლის კარის დიდებულები

ო, ჰენრიკ!

ჰენრიკი

ო, ჰენრიკ!

მამა

ჰენრიკ, ჩემო ბიჭო, ვიწყებთ

შენი დაქორწინების ცერემონიას. ზუსტად ერთ წუთში

ახალგაზრდა ქალების გუნდი შემოიყვანს აქ გოგონას,

რომელსაც სამარადისოდ დაუკავშირებ ბედს.

ამინ, ამინ.

დედა (მთელი გულით)

ამინ.

კანცლერი (ჭკვიანი და ღირსეული გამომეტყველებით)

ამინ.

სერიოზული და მნიშვნელოვანი განაცხადია.

მოღალატე მოხელე (განზე}

ამინ.

ბრიყვული და კომიკური განაცხადია.

მამა (თითქოს აშინებს რაღაც)

გიცხადებთ, რომ ეს ახლა მოხდება. ერთ წუთში დაიწყება. უნდა მოხდეს, რადგან მე ვბრძანე ასე, გამოვაცხადე.. და თუ ვინმე ხელის შეშლას შეეცდება! .. შორს ჩვენგან, ამაზრზენო ძაღლებო,შორს, შორს! გარეწრებო!

ო, ოჰ, ბატონო მრჩევლებო, როგორც ყველასათვის ცნობილია

არ ვუჩივით დუქნის საზიზღარი მდაბალი

ღორად შობილი გაღორებული ლოთების უკმარისობას

თავს რომ დამესხნენ და მოინდომეს ჩემი პერსონის ხელით შეხება!

მრჩევლები და კარის დიდებულები

ო ღმერთო დიდებულო, იესო!

მამა

მეფე ვარ კაცი, არადა!

მრჩევლები და კარის დიდებულები

ღმერთო დიდებულო, იესო!

მამა

ხელშეუხებელია ჩემი პერსონა, არადა!

მრჩევლები და კარის დიდებულები

ო, ჭრილობებო მაცხოვრის ჩვენის!

მამა (მძიმედ, სკლეროტულად)

ო, ღმერთო, ღმერთო, საშინელი მკრეხელობა იყო ეს,

გაუგონარი, ჯერ არნახული, შეუნდობელი. თან ეს ლოთი, ღორი ღორთაგანი მგონი გაიქცა, სანამ მცველები ღრეობდნენ.. ჩემი საბჭოს კანცლერს გიბრძანებ, ეს კარიბჭე ჩაარაზინო და მცველები

ფხიზლად გყავდეს, არყით დამთვრალი თავებისგან არც კი იცი, რას ელოდო! ოჰ, ეს ქავილი.. ბრძანე, ჩაიკეტოს კარიბჭე.

მოღალატე მოხელე (მოულოდნელად და თავხედურად)

ჰა, ჰა, ჰა, შეუძლებელია, რანაირად, ჰა, ჰა, ჰა!

მოღალატეები

ჰა, ჰა, ჰა!

მამა

მიზეზი?

მოღალატე მოხელე

შემინდე, ნაშპანიე, ჩვენო ბატონო, და მაპატიე, მაგრამ ქალაქის კარს ერთი ლოთისთვის ვერ ჩარაზავს ჩვენი ბატონი, რადგან ეგ იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ლოთის ეშინია ჩვენს ბატონს, ეს კი წარმოსადგენადაც შეუძლებელია, რადგან შეურაცხმყოფია ჩვენი ბატონის სიდიადისა, ჩვენი ბატონი ჩრდილს ვერ მიაყენებს ჩვენი ბატონის ძალმოსილებას...

მოღალატეები

ეს კარგად თქვა!

მამა

რაო, რაო, რაო?

ამაზე სიტყვა ჩამოვაგდე, რადგან იმ მთვრალმა ღორმა ერთხელ უკვე გაბედა!

მაგრამ თუ არ ღირს, მაშ - არ ღირს, რა გაეწყობა. ჰა, ღორებო, ზედმეტის უფლებას ნუ მისცემთ თავს.. ისიც კი ვიცი, მიწაზე ბალახს რა აშრიალებს!

ასეთი ხერხები მე არ მჭირდება

რადგან რაც დღეს უნდა მოხდეს, ღვთისათვის სათნო

დიდებული და ღირსეული იქნება ისეთი საქმე,

მონარქის დიად განზრახვას ასეთები ხელს ვერ შეუშლის.. (აღტკინებით)

ქვეყანას მოსდეთ, საყვირებო, ჩვენი ამბავი,

რადგან ძე მამის სადიდებლად ქორწინების დაიდგამს

უღელს. ჩემი სამეფო დიდებულების სახელით,

დაე მოხდეს ასე!

მრჩევლები და კარის დიდებულები (ფეხზე წამოდგებიან გაავებულები)

დაე მოხდეს ასე!

მოხდეს ასე!

მამა

დადექით ერთ წამს, წინდაწინაა ყველაფერი გასააზრებელი,

ყველაფერმა რიგიანად რომ ჩაიაროს. აჰ, როგორ მექავება!

საბჭოს კანცლერო, მომფხანე აქ ერთი, შენს გახარებას. საცერემონიო მოსასხამი სადაა?

საცერემონიო მოსასხამი მხარზე მოასხით ჩემს ვაჟს, საუფლისწულო საბური დაახურეთ, წმინდა ხმალი შეაბით წელზე!

მეორე მოხელე

ამინ.

მესამე მოხელე

ბრძნული გადაწყვეტილება იყო.

მოღალატე მოხელე (*განზე*)

ბრიყვული. ჩექმაც უკეთ მოფიქრებდა!

მეორე მოხელე

ძლევამოსილ და წარმტაც სანახაობად წარსდგება ღირსეული ჭაბუკი ამ სამოსში.

მოღალატე მოხელე

კომიკურად და იდიოტურად წარსდგება, მაგრამ ეგ უკვე მისი საქმეა.

(*პაუზა*)

ჰენრიკი

ეს მე უნდა ჩავიცვა? (ვლაჯიო სამოსს აწვდის)

შენ ხარ?

ვლაჯიო

კი, მე ვარ.

ჰენრიკი

ვინ ხარ - ანუ უფრო, რა წოდების კაცი ხარ?

ვლაჯიო (დაბნეულად, თითქოს რცხვენია)

შენთან დამნიშნეს, რომ გემსახურო, თავა.. დიდო თავადო.

ჰენრიკი

მიჭირს შეთან ლაპარაკი. შებოჭილი ვარ.. ჰო, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს გამბაწრეს.. ქუდი მომაწოდე. უცნაურად გამოვიყურები, ხომ?

ვლაჯიო

ისე რა.

ჰენრიკი

წმინდა ხმალი შემაბი. ფარსია, მაგრამ ჯანდაბას, იყოს. სულერთია.

ყურადღება გასადატანი იქითაა , რომ მასზე ვქორწინდები.

(თითქოს კერძო ეს საუბარი მოულოდნელად ხმამაღლა და მკაფიოდ ისმის, თითქოს მეფე და მისი კარის დიდებულები იქ ყოფნა აღარც ახსოვდეთ)

ვლაჯიო

ცხადია, რომ სულერთია.

მთავარია, რომ მასზე ქორწინდები.

ჰენრიკი

გარემომებებთან შეგუება მიწევს, მაგრამ არ გეგონოს,

რომ სერიოზულად ვმონაწილეობ ამ ანეკდოტში.. უფრო

ინტერესით ვაკეთებ ამას, ჩემი რა მიდის,

ვითამაშოთ..

ვლაჯიო

ბუნებრივია.

თამაში სჯობს მოწყენილობას.

ჰენრიკი

სწორედაც.

(საცერემონიო მოსასხამი აცვია და მეფისკენ ტრიალდება; ისმის მოღალატეების სიცილი და დამამცირებელი, შეუარცხმყოფი ფრაზები)

პირველი მოღალატე

ეს მასხარა!

მეორე მოღალატე

კლოუნი!

მესამე მოღალატე

შერეკილი!

მამა (ვულგარულად)

ჩუ-მეთქი!

ჩაიწყვიტეთ ხმები ყველამ! ლაპარაკის უფლება არ მომიცია!

ვაძლევ მხოლოდ ვაჟს ჩემსას

თქვას, რაც უნდა (შიშით) ილაპარაკე, ჰენდრიკ.

ჰენრიკი

რა უნდა ვთქვა?

მამა (ძლიერ შეშინებული)

ჰენდრიკ, ილაპარაკე-მეთქი, მაგრამ მოწყალეო ღმერთო, ოღონდ ჭკვიანურად ილაპარაკოს.. ოღონდ ჭკვიანურად ილაპარაკოს! ხმა, კრინტი, ღორებო, ნახავთ ახლა, როგორ ილაპარაკებს ჩემი შვილი.. გასწავლით ჭკუას, სად და ვისთან მოიდრიკოთ ქეთი, ჭკუას გასწავლით. თქვი, დაიწყე ჰენდრიკ, ოღონდ ჭკვიანურად, ჭკვიანურად ილაპარაკე.. თორემ.. თავს ლაფი დაგვესხმევა.

ჰენრიკი '

თორემ რაო?

მამა

ამათ სხვა რა უნდათ. მაგას ელოდებიან!

(ელოდება)

მოღალატე მოხელე

სულელურად ილაპარაკებს, იმიტომ, რომ სულელურად გამოიყურება.

მეორე მოხელე

ჭკვიანურად ილაპარაკებს - ნახეთ, რა ჭკვიანურად გამოიყურება.

(ელოდება)

ჰენრიკი (აუჩქარებლად)

სიმართლე გითხრათ,

არ ვიცი, რა უნდა ვთქვათ, მაგრამ ახლავე გავიგებ. როგორც კი ვიტყვი.

პირველი ჯგუფი

შესანიშნავი იდეაა!

მეორე ჯგუფი

ისეთი აზრია, იდიოტის მეტი ვინ იტყოდა.

ჰენრიკი (დაფიქრებული)

სულელი ვარ

მაგრამ ჭკვანურად მომიწევს ლაპარაკი...

ყველანი ერთად

აღიარებაც ეგეთი უნდა ....

ჰენრიკი (გულწრფელად)

და ისევ, გასაოცარი ძალით ივსება

ჩემი სიტყვები, როცა აქ ვდგავარ
მარტო და თქვენ მოგმართავთ? მაგრამ მაინც არ ვიცი, რა უნდა გითხრათ. (თავისთვის) თუ ჭკვანურს ვიტყვი რამეს, სისულელე იქნება, იმიტომ, რომ სულელი ვარ. მაგრამ სულელური რომ ვთქვა..

მამა

არა, ჰენრიკ, არ ქნა!

ჰენრიკი (თავისთვის)

ამ სიდიადის სიმაღლეზე თუ ვერ შევძელი დაყოვნება, სიდიადე ფარსის უფსკრულში ჩაიქცევა. ვერაფერი ჭკვიანური ვერ მოვიფიქრე. მხოლოდ უსუსური აზრები და ასეთივე სიტყვები. აჰ, აი, ახლავე! ვიცი უკვე, რასაც ვიტყვი.

(ყველას ერთად მიმართავს)

უსუსურია ჩემი სიტყვები
მაგრამ ექოდ ისხლეტთ თქვენ და ასე იძენთ ძალას -
მთქმელი კი არა, ის იძენს ძალას, ვინც ისმენს.

პირველი ჯგუფი

ეს კარგად თქვა!
ჭკვიანურად თქვა!

ჰენრიკი

სულელურს ვამბობ რაღაცას
მაგრამ ჭკვიანურად თქვენ მისმენთ და ამისაგან
მე ვჭკვიანდები.

მრჩევლები და კარის დიდებულები

სიბრძნეა, სიბრძნე!

დედა

აბა, რას იტყვით! რა თავი აქვს !

ჰენრიკი

არ მაქვს ღირსება
დიდი ხნის წინ დავკარგე იგი. მაგრამ მამამ ჩემმა
ახალი ღირსების შესაძენად მიხმო. ასე ვხდები თვალსა და ხელს შუა
უფრო ჭკვიანი და ღირსეული, ვიდრე ვარ სინამდვილეში. მივიღე რეალობა,

ასეა, კი, მე მას ვიღებ. და გიცხადებთ
რომ მსურს ვიქორწინო ღირსეულად. მიდით! სად არის ქალი?!
შემოიყვანეთ, გაინძერით!

მრჩევლები და კარის დიდებულები (წამოფუცხუნდებიან და წამოდგებიან)
აი, სიბრძნე, სიბრძნე ეს არის! დავწეროთ ჯვარი! სად არის ქალი?
გაინძერით, გაინძერით!

მამა *(ძალიან ხმამაღლა)*

უზომოდ ღირსეული და უზენაესი სიბრძნით სავსე იყო
ჩემი შვილის გამოსვლა! გახსენით კარი და პატარძალი შემოიყვანეთ,
მასთან ერთად - ეპისკოპოსიც, საყვირებმა კი დაე თვით ბუნების გულისგულში
ჩაჰყვირონ მთელი ძალით, რომ დაზაფროს და ღორობის ხალისი დააკარგინოს
ავის მზრახველს, რადგან ღორების არ გვაქვს ნაკლებობა...

(*საყვირის ხმები; შემოდის მანია გოგონების ამალით, უმშვენიერესი კაბა აცვია; ისე საყვირების ხმა ისმის; შეორე კარიდნა ეპისკოპოსი პანდულფი შემოდის თანმხლებთა ჯგუფით)*

მამა
ჰენრიკ!
მრჩევლები და კარის დიდებულები
ო, ჰენრიკ!
ჰენრიკი
ო, ჰენრიკ!
მამა (ნირწამხდარი , თითქოს ეშინია)
ვიწყებთ.... ჩვენს ოჯახში მხოლოდ ღირსეულად იხდიდნენ ქორწილებს. ნუ ტირი, დედი (მანიას
და ჰენრიკს მიმართავს) აქ დამიდექით ერთად.. თავები დახარეთ.. (ხმამაღლა} მაშ, შევუდგეთ
ქორწინების წმინდა ცერემონიას სახელითა მამისათა და ძისათა (განზე) მუხლი მოიყარეთ და
დაე დასძახონ საყვირებმა.. ქალიშვილებმა კაბას შლეიფი აუწიონ.. კანცლერო, კვერთხი!
მომაწოდე... გვირგვინი დამადგით.. . (ხმამაღლა} სახელითა მამისათა და ძისათა ...
(განზე} ახლა ქსიონძმა წმინდა ნაჭრით შეუკრას წყვილს ხელები იმის ნიშნად,
რომ შესრულდა აქტი ქორწინებისა, ჩვენი უდიდებულესობის
ელვისებრ- ძლევამოსილი ნებით! ახლა დასაძახონ საყვირებმა!

წმინდა ნაჭერი, ხელთ შესაკრავი, მომაწოდეთ! მუხლებზე ყველა!

უფალო იესო ქრისტე, მარიამ! ზეცავ! კაცნო!

დე აღსრულდეს! ნებაა ასეთი ჩემი!

მე ვინებე!

მოღალატე მოხელე (ხმამაღლა, თავხედურად }

ღალატი მოხდა!

(სცენაზე შემოყანყალდება ლოთი)

მამა (სულელურად)

შენ.. რაო?

(სიჩუმე იწელება)

ლოთი

თქვენის ნებართვით.. ისე არაფერი ..

უბრალოდ...

მამა (შიშით)

ჰკითხეთ ამ კავს, აქ შემოსვლის ნება ვინ მისცა და მიაბრძანეთ დარბაზიდან.

ლოთი

სუფთა არაყი მინდა, ერთი ლიტრი, ალუბლის ნაყენი, ქაშაყი და ოთხი ლუდი!

ხმა

მთვრალია...

მეორე ხმა

გალეწილი...

(*სიცილი, შვება*)

ჰენრიკი

თითქოს აქამდე არ მინახავს ეს კაცი, თუმცა

მეჩვენება, რომ ვიცნობ ..

(*საზეიმო და რბილი ინტონაციით*)

გასაგებია ისიც, რომ შეუძლებელია, არ მეცნობოდეს,

რაც აქ ხდება..

მამა

მთვრალია, კი ...

გაგდებულ იქნას და პანჩურიც მიჰყვეს, იყო, არ არის...

კანცლერი *(ლოთს უახლოვდება)*

საიდან გაჩნდი აქ, კაცო, განა არ იცი, რომ

მისი უდიდებულოესობის წინაშე დგახარ?

ლოთი

ჰუჰ! მეფეა ეს სხივფენილი? ღვთისმშობელო!

მამა

მაშ კარგი, კეთილი,

ბედი გქონია, გლეხო, მეფეც ნახე

ახლა შინ წადი და გამოიძინე.

რაოდენ სევდისმომგვრელია ლოთობის სენი,

ჩვენს გლეხობას რომ დარევია!

სამეფო კარი

ჭეშმარიტად, ასეა!

კანცლერი

მოკიდე ხელი არყის ბოთლი და მიბრძანდი. ..

რატომ არ მიდიხარ?

(ეს რამდენიმე ფრაზა, რომლებიც ახლა იქნება, რაღაც გამასულელებლად მექანიკურად უნდა ისმოდეს)

მოღალატე მოხელე

რატომ არ მიდიხარ?

ლოთი

იმიტომ, რომ არ შემიძლია.

მეორე მოხელე

არ შეგიძლია?

ლოთი

არ შემიძლია.

მესამე მოხელე

და რატომ არ შეგიძლია?

ლოთი

აი, რაღაცნაირად ვარ.

კანცლერი (მამას)

დაიმორცხვა გლეხმა, ვეღარ განძრეულა,

ვეღარ გაიგო, თავს რა მოუხერხოს, ჰა, ჰა, ჰა!

მამა

ჰა, ჰა, ჰა!

კანცლერი

ჰა, ჰა, ჰა!

(თითს არისაკენ იშვერს)

გადი-მეთქი, გეუბნები.

ლოთი (*გაკვირვებულია*)

კოტოტა თითი!

კანცლერი

გაეთრიე!

ლოთი

კოტოტა თითი!

კანცლერი

მოშორდი აქაურობას!

ლოთი

რა კოტოტა თითი!

სამეფო კარი

ჰა, ჰა, ჰა, კოტოტა თითი, კოტოტა! ჰა ჰა ჰა!

ლოთი (თავის თითს დასცქერის)

ჩემს თითს არ ჰგავს.. ჩემი გახეხილია, ჩაშავებული.. ისეთია, რა - შინაური,გლეხური.. ცხვირში

საქექად რომ გამოდგება, ისეთი.

(სიცილი)

სქელი თითები მაქვს, ტეტიური .. თქვენნაირ კაცთან გამოჩენაც რომ მოგერიდება.

კანცლერი

წადი.

ლოთი

მივდივარ კიდევაც, მაგრამ თან ვერ მივდივარ, იმიტო რო ყველა ჩემ თითსაა მოშერებული.

მოღალატე მოხელე

მერე ჯიბეში ვერ ჩაიყოფ?

ხმები

ყურში შეიდე!

ან თვალში!

ლოთი

ჩავიყოფ, როგორ არ ჩავიყოფ, მაგრამ არ შემიძლია, იმიტომ რომ ყველა ჩემ თითსაა მოშტერებული-მეთქი. საითაც არ უნდა გავიშვირო (უნებლიეთ ჰენრიკისკენ იშვერს), ყველა იქით იყურება.

ჰენრიკი (ხმადაბლა)

ღორი..

ლოთი (ხმადაბლა)

ღორო...

(ხმამაღლა') რას მოაშტერდით ამ თითს, თითქოს განსაკუთრებულია! რაც მეტს უყურებენ, უფრო განსაკუთრებული ხდება, და რაც უფრო განსაკუთრებული ხდება, მით მეტს უყურებენ, რაც მეტს უყურებენ, მით უფრო განსაკუთრებული ხდება და რაც უფრო განსაკუთრებული ხდება, მით მეტად უყურებენ...

რა განსაკუთრებული თითი მაქვს!

ძლიერი თითი!

ასე აუვარდა თავში ჩემს თითს!

და ეხლა ისე არ ქნათ, რომ მე ამ თითით.. ვიღაცას არ შევ...

მამა

ჩუმად!

ლოთი

... რაც უნდა ხელშეუხებელი იყოს ეს ვიღაც..

მამა

ჩუმად!

ლოთი (*ბრუტალურად*)

ჰოდა, თუ შევეხე, ბარემ ვატაკებ კიდევაც!

მოღალატეები

მიდი! წინ! გაინძერი!

მამა (*ყვირის*)

ღორო!

ლოთი *(ყვირის)*

ღორო!

მამა (*მშვიდად)*

ხალხო, ბატონებო, ჩემი საბჭოს წევრებო და ჩემი პერსონის..

(*ამოხეთქავს*) გამაკავეთ, დამიჭირეთ, თორემ ნაკერებზე გავსკდები!

(*საკუთარი წამოფეთქებით გაოცებული)* ვიფეთქებ....

და გავსკდები...

ვიფეთქებ ისეთი არნახული დამზაფვრელი მრისხანებით

რომ ... ოოოო... შიშები, ზაფრები!

(ძლივს ისმის) სუსტად ვარ...

დედა

იგნაცი! დასუსტებულა!

სამეფო კარი

მეფე დასუსტებულა! მეფე ავადაა!

მამა (სუსტი ხმით ევედრება)

ჰენდრიკ...

სამეფო კარი და საბჭო (ენერგიულად)

ო, ჰენრიკ!

ჰენრიკი

ო, ჰენრიკ!

ჰენრიკ, სახელითა მამისათა და ძისათა,

სახელითა მამისათა და ძისათა!

(ჰენრიკი ლოთს უახლოვდება, რომლის თითი ბატონობს მთელს სცენაზე)

ჰენრიკი

ღორო!

ლოთი

ღორო!

ჰენრიკი (მშვიდად)

ღორო!

დამალე ეს თითი!

ლოთი (მთვრალია)

არ ვიცი არაფერი.

ჰენრიკი

დამალე, თორემ სადმე ძალით ჩაგადებინებ.

ლოთი

ერთი ბოთლი სუფთა, ჰა.

ჰენრიკი

დამალე-მეთქი, თორემ ვეტაკები და ჩაგადებინებ...

მოვდივარ..

(ერთ წუთში) რა იდიოტურად აქვს გამოშვერილი.. მთლად შუაგულში. არა, მე ამას ვერ ვეტაკები.. რა სიშტერეა. გაუგონარი.. რა სისულელეა ყველაფერი. უსაშველო.

მოღალატეები (გაფაციცებულები)

სისულელე!

ეგეთი სულელური ჩექმაც ვერ იქნება!

ჰენრიკი

მოითმინეთ, მოითმინეთ, მე სულელი ვერ ვიქნები, ეს თითია მხოლოდ სულელური! ამას კიდევ განზრახ აქვს თითი გამოშვერილი, ყველაფერი რომ სისულელედ გადააქციოს - მე კი შერეკილად გამომიყვანოს!

ლოთი (თითს ჰენრიკისკენ იშვერს)

შერეკილია.

მოღალატეები

შერეკილი!

ჰენრიკი

ჰა, ცოტა ფრთხილად ჩემთან,,, თორემ ძალიან თუ დამღლით, გამოვიღვიძებ, და ყველანი გაქრებით...

(**მანიას**) შენც გაქრები...

(*სიჩუმე. სცენა შეშდება*)

ჰენრიკი

და იქნებ

სიზმარი არაა ეს, არამედ ცხადი - მე კი გავგიჟდი და შეიძლება სულაც არ ვდგავარ აქ - ცხადში ვწევარ რომელიღაც ლაზარეთში, ცხარე ბოდვაში ხელებს ვიქნევ და მეჩვენება, რომ აქ ვდგავარ.. ვინ იცის, რა შემემთხვა? იქნებ ტვინი ტყვიამ დამიზიანა? ან აფეთქებამ? ანდა დამატყვევეს და მაწამეს.. იქნებ თავად გადავწყდი განსაცდელს სადმე - შეიძლება მე არ მიძებნია განსაცდელი და თვითონ მიპოვა, ან, შესაძლოა, მოწყენილობამ ჩამადენინა, მეტის გაძლება აღარ შემეძლო.. იქნებ მიბრძანეს - გამაგზავნეს -მაიძულეს - რაღაც ისეთი, რაც ვერ გადავიტანე. არ არსებობს ჭირი, რომელიც მე ვერ შემემთხვეოდა - მეტად თუ ნაკლებად, ყველაფერი შესაძლებელია; მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ლაზარეთში არ ვარ და არაფერი არანორმალური თავს არ გადამხდომია.

კეთილი.. და მინც.. რამდენ სიგიჟეში მივიღე ნეტავ მონაწილეობა? ოო, უჯანმრთელესიც რომ ვიყო.. ყველაზე ფხიზელი გონების, გაწონასწორებული ადამიანი, ესენი ხომ სხვებმა მაიძულეს - მკვლელობის, საშინელი რამეების ჩადენა.. გიჟური, იდიოტური,ჰო.. ჰო.. აღვირახსნილი..
თავისით მოდის უბრალო კითხვა: განა ვინმე, ვინც წლების განმავლობაში ასრულებს შეშლილის ფუნქციებს, შეშლილი არ არის? ან მერე რა, რომ ჯანმრთელი ვარ, თუ ჩემ მიერ ჩადენილი არის არაჯანსაღი .. ვლაჯიო?
მაგრამ ისინი, ვინც მაიძულეს, შევშლილიყავი, ისიც ჯანმრთელნი იყვნენ, ფხიზელი გონებით მოქმედებდნენ და გაწონსაწორებულები იყვნენ..
მეგობრები, ამხანაგებო, ძმები.. რა ჯანმრთელები იყვნენ ყველანი და
მაინც რამდენი იყო მათში ავადმყოფური! რამდენი იყო ადამიანური
მაგრამ და თუმცა იმდენივე არაადამიანურიც.
და რა მერე, რომ თითოეული, ცალ-ცალკე რომ ავიღოთ, სრულიად გონებაფხიზელი, წინდახედული, გაწონასწორებული ადამიანია, თუ ყველანი ერთად ვართ ერთი შერყეული გოლიათი, რომელიც გამძვინვარებით ბორგავს, იგრიხება, ბრმად,
საკუთარივე ზღვრების დარღვევით
ცდილობს ტანიდან ამოიგილიჯოს თავისი თავი ... და
ჩვენი არსი უკან, თავს გარეთ გვაქვს მოტოვებული
სადაც მთარდება ,,მე", იქ იწყება
ჩემი აღვირის ახსნა.. და თუმცა კი მშვიდად
ვცხოვრობ ჩემში, მაინც, იმავდროულად,
მის გარეთ დავეხეტები და მრუმე
ველურ სივრცეებში, განფენილ ბნელში
ვუერთდები ამოუცნობ უსაზღვროებას!

კანცლერი

ეს სამგლოვიარო მარში იყო!

მამა

ეს სამგლოვიარო მარშია!

ჰენრიკი

ჰო, სამგლოვიარო მარშია!
კვლავ გამახსენეს თავი. მეც ვუპასუხე,
თითი მაინც აქაა შუაგულში ამოჩრილი, შეშლილის თითი
მე კი საუბრის ძაფს ვრთავ აქვე ჩემ თავთან
ხელ-ფეხით ვესაუბრები მას სრულიად მარტო დარჩენილი

როგორც შეშლილი.

ლოთი

შერეკილია ეს!

მოღალატეები

შერეკილია!

(ჰენრიკისკენ მიიწევენ)

ჰენრიკი

არც გაინძრეთ! მეფის ბრძანებით ვარ აქ!

ლოთი

მეფე შერეკილია!

ჰენრიკი

დადექით და არ გაინძრეთ-მეთქი!

წარმოვიდგინოთ, კეთილი, რომ შეიშალა მამაჩემი -

მაგრამ სიგიჟით სიქველეს და ღირსებას იცავს - და ამიტომ გიჟი არ არის!

ჰო, სიმართლიეა ეს, ყველა სიმართლეზე უმართლესი -

მაღალფარდოვნება მისი,

მისი სიბრძნეც და ძალაც, ჩემზე გარდმოფენილი, აქედან მოდის,

შეხედეთ, რა ჭკვიანურად ვდგავარ აქ. გონიერება და ღირსება ჩემი

უძლეველია. ეს კიდევ გაშვერილი თითით მიდგას აქ, იდიოტი.

სცადეთ, ხელით შემეხეთ!

მამა

ჰენრიკ!

მრჩევლები და კარის დიდებულები

ო, ჰენრიკ!

ჰენრიკი

ჰო, ჰენრიკ!...

გააგდეთ ლოთი!

(მოხელეები ლოთისკენ მიიწევენ)

ლოთი (ნელ-ნელა თითს მალავს)

ჰა.. ჰა, ახლა. ნუ გახელდებით ... გონიერების ნაკლებობას არც მე ვუჩივი.

(და მოულოდნელად ძალიან დაჭკვიანდება; ჰენრიკს)

ეგეთი სულელიც არ ვარ..

(მცირე პაუზის შემდეგ) მაშინ.. იქნებ განცალკევებით გვემუსაიფა.. როგორც გონიერ ადამიანს გონიერ ადამიანთან.

ჰენრიკი (გაოგნებული)

რაზე?

ლოთი

მერე გამოჩნდება.. ჭკვიანურად ვილაპარაკოთ..

(ყველას ერთად) იმიტომ, რომ მეც ჭკვიანი ვარ...

ჰენრიკი (ყოყმანობს)

არა. თუმცა ...

თუ ჭკვიანურად გინდა ლაპარაკი....

მოღალატე მოხელე (გამომწვევად)

თუ ჭკვიანურად.

მეფის კარი (თითქოს ძილშია }

თუ

თუ

ჭკვიანურად...

ჰენრიკი

კარგი, კეთილი!

(FIVE O'CLOCK-ია. ლაქიებს ყავა და ნამცხრები შემოაქვთ. მოხელეები ჯგუფ-ჯგუფად დგანან, ქალები დიდი მარაოებით გრილდებიან)

მეფის კარი

საამურია აქ ვიწრო წრეში

მსუბუქი, მეგობრული ფლირტი მეფესთან სტუმრად ხუთ საათზე

აჰ, მამაკაცების ტორსები და კაბები ბანოვანთა თავბრუს გასხამს

თვით მის უდიდებულესობას დაუდია სტუმრებისთვის პატივი !

იქნებ ცოტა ის ნამცხვარი? უდიდესი მადლობა. რა მშვენიერი თავყრილობაა. დიდ ბოდიშს გიხდით, გკოცნით ფეხის თითებზე, საპირფარეშოც რა საოცარია!

მამის ხმა (სცენის სიღრმეში)

მეც დამალენეთ ჩაი, რა იქნება!

ბანოვანი (მოხელეს, სასხვათაშორისოდ)

ის უცნაური ბატონი ვინაა, უფლისწულს და ტახტის მემკვიდრეს რომ ესაუბრება?

მოხელე

უცხოელი ელჩია, ამბასადორი.

ჰენრიკი

მაშინ მეც დამალევინებთ ჩაი (ლოთს) იქნებ ცოტა ნამცხვარიც?

ლოთი

უღრმესი მადლობა. მგონი არც არავის ესმის.

ჰენრიკი

ეჰ, როგორც ხედავთ, ბატონო, რამდენადაც შეუძლიათ, საუბრის საშუალებას გვაძლევენ.. მშვიდ გარემოში. ...

(ორივე შორდება სცენას)

ლოთი

მაშინ მე იმას გეტყვით, რაც გულზე მაწევს.. მართლა ეგეთი მთვრალი კი არ ვარ, თავს ვიგიჟიანებ, მეფის ძალაუფლება რომ დავაკნინო, რადგან მეფის წინააღმდეგ ეწყობა რაღაც, შეთქმულ.. ბევრი მოხელე მეფის მის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილეა - ციხიდანაც ამისთვის დამიხსნეს .. მაგრამ ბატონი უფლისწული თავისი გონიერებით ისედაც ...

ჰენრიკი

გულს მეფონება ...

ლოთი

... ისედაც ხვდება, რომ წყალში ჩაიყარა ჩემი ნამუშევარი. მხოლოდ ერთი რამე მეჩვენება სულელური ამ სიბრძნეში .. ბატონ უფლისწულს უფალი ღმერთი თუ სწამს?

ჰენრიკი (თავისთვის)

რაკი მკითხა, უნდა ვუპასუხო, რომ არ მწამს.

ლოთი

მაშინ უფლისწული მეფის მიერ ჯვრისწერის კურთხევას როგორ თანხმდება? თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ეგ რა მეფეა? მისი ძალაუფლება ღმერთისაგან არ არის კურთხეული? არც ეს ეპისკოპოსი უქნია ღმერთს.

ჰენრიკი

უკვე ვთქვი.. ამაზე უკვე გიპასუხე ..

სულ ჩვეულებრივი გიჟიც რომ იყოს მამაჩემი, რომელსაც მხოლოდ ჰგონია თავი მეფე, ღირსებას და სიქველეს მაინც იცავს.. მე კი, თუმცა ღმერთის არ მწამს, ზნეობის განგებისა და ადამიანის ღირსების მაინც მწამს ამ სამყაროში. რა მაღალფარდოვნად ჟღერდა!

ლოთი

ეგ განგება ვინ დააწესა, ღმერთი თუ არ არსებობს? ...

ჰენრიკი

ვინ? ადამიანებმა.

ლოთი

ჰო. ოღონდ მაშინ ეს საზეიმო ღვთისმსახურება რა საჭიროა, თუ ყველაფერი ადამიანის შექმნილია?

ჰენრიკი (დარცხვენილი)

არსობრივად

გარკვეულწილად სიმართლეს ამბობს. მე არ მწამს

ამ ყველაფრის.. მე თვითონ ისე ვიქცევი

თითქოს მწამდეს, მაგრამ არა მწამს

პატივს ვცემ, მაგრამ თან პატივს არ ვცემ.. მუხლს ვიყრი

მაგრამ თან არ ვიყრი.. მძაგს ამის გამო თავი

და თან არცა მძაგს

და ვიცი, რომ ფარსია ეს ყველაფერი. ამას გარდა

რაც უფრო გონიერი ვარ, მით საზარელია

ჩემი სიბრიყვე.. ჩუ.. ჩუ.. ჩუმად.. ჩუმად..

ოღონდ ამან არ გაიგოს!

ლოთი

მაშ უფლისწულმა მეფე თავზე მაღლა როგორღა უნდა დააყენოს, თუ გამეფებაში თავად შეუწყო ხელი?

ჰენრიკი (თავისთვის ჩაილაპარაკებს)

ესეც სიმართლეა. ხოლო თუ მამაჩემი ჩემი მეფე არ არის, მაშინ მეც აღარ ვარ ჩემი თავისთვის უფლისწული.

ლოთი

ზუსტად ეგრევე - საცოლეს რაც შეეხება. თუ მეფე თავად უფლისწულმა ხელდასხა, მეფემ კი იგი კეთილშობილი საცოლის წოდებამდე აღამაღლა, განა ეგ იმას არ ნიშანვს, რომ უფლისწულმა აღამაღლა იგი დიაცი? და ვინ არის საერთოდ ეგ დიაცი?

ჰენრიკი

ჰო, მე თვითონ შევიქმენი ჩემთვის იგი დიაცი. ეს ლოთი სწორად და ფხიზლად მსჯელობს.. მაგრამ ეგ ყველაფერი რომ ასე ადვილი იყოს .. მაგრამ მაშინ თავს ისე რატომ ვგრძნობ, თითქოს რაღაც საზეიმო წირვას ვატარებდე?

ლოთი

წირვას?

ჰენრიკი -

წირვას.

ლოთი

წირვას?

ჰენრიკი

წირვას.

(სერიოზულად) გამშორდი : მე კაპელანი ვარ.

ლოთი (შენელებული)

მეც კაპელანი ვარ..

სამეფო კარი

აჰ, მამაკცების ტორსები და კაბები ბანოვანთა თავბრუს გასხამს

თვით მის უდიდებულესობას დაუდია სტუმრებისთვის პატივი!

ჰენრიკი (ნაღვლიანად)

მაღიაზიანებს, ჩემს სიტყვებს იმეორებს, რომ ისევ იდიოტად გამომაჩინოს. ერთი წუთის წინ აზრიანად ლაპარაკობდა, ეხლა ისევ სისულელეს ამბობს....

ლოთი

სისულელეს?

ჰენრიკი (ჩაფიქრებული)

სისულელეს . უფრო ჭკვიანი მეგონე. ..

ლოთი

უფრო ჭკვიანი?

ჰენრიკი

უფრო ჭკვიანი.

ლოთი

უფრო ჭკვიანი?

ჰენრიკი

უფრო ჭკვიანი!

ლოთი (იფეთქებს)

მაშინ ჭკვიანურად გეტყვი, რომელ რელიგიას ვაღიარებ,

შენთანე ერთად, კაპელანო. ჩვენს შრის

იბადება ჩვენი ღმერთი და ჩვენგან არის

ჩვენი ეკლესია, ზეციდან კი არა, ამ მიწიდან

რელიგია ჩვენი ზენაარიდან კი არა, ქვემოდან მოდის

ღმერთს თავად ვქმნით და აქედან იწყება

ღვთისმსახურება კაცთაგან კაცთათვის ქმნილი,

მდაბალი, მდარე, ბნელი და ბრმა,

რომელშიც ღვითსმსახური და კაპელანი მე ვარ!

(ორივე კაპელანი აგრესიულად და პათეტიკურად ჟესტიკულირებს)

ჰენრიკი

რომელშიც მე ვარ ღვთისმსახური და კაპელანიო?

არა.. ვერ გავიგე.

ლოთი

ვერ გაიგე ვითომ

მაგრამ თანაც გაიგე. გაიგე

იმიტომ, რომ მე მესმის.

ჰენრიკი

გაიგე

იმიტომ რომ მე მესმისო. შენ? მე? ჩვენ ორიდან

რომელი რომლის პირით ლაპრაკობს? ვერ ვხედავ..

ვერა, ვერა.. გასარჩევად ვერ ვხედავ..

ლოთი

ამ თითს

ხედავ? (*თითს აჩვენებს*)

ჰენრიკი

ხედავ

ამ თითს? (*თითს აჩვენებს*)

ლოთი

ვხედავ, ჰო,

ამ თითს

ვხედავ!

ჰენრიკი

მეც ვხედავ! რა სიბრძნეა! თითქოს ათასჯერ

ჩამეხედოს სარკეში! ჩემ-შენი თითი!

ლოთი

ჩემ-შენი! ჩემ-შენი! .. ჩვენს შორის იყოს?

გინდა, ამ თითით კაპელანად გაკურთხო?

ჰენრიკი

გინდა, თითით კაპელანად გაკურთხო?

ლოთი

დიახ, დიდი სიამოვნებით.

ჰენრიკი

დიახ, დიდი სიამოვნებით.

(*ლოთი ცდილობს, შეეხოს*)

ისევ ეს თითი! ღორო!

ლოთი

ღორო!

ჰენრიკი

ღორო!

ამას ოღონდ ხელი წააცაცუნებინე!

(თავს იკავებს) იქნებ ეს ნამცხვრები ინებოთ?

მეფის კარი

Jსაამურია აქ ვიწრო წრეში

მსუბუქი, მეგობრული ფლირტი მეფესთან სტუმრად ხუთ საათზე

აჰ, მამაკაცების ტორსები და კაბები ბანოვანთა თავბრუს გასხამს

თვით მის უდიდებულესობას დაუდია სტუმრებისთვის პატივი !

ჰენრიკი (*თავისთვის*)

აჰ, როგორ მოვატყუებინე სიტყვების თამაშით თავი,

ამას კი ოღონდ ხელი წააცაცუნებინე. შევეხებოდი მეც ხელით ამ იდიოტს,

რომელსაც იდიოტად ჩემი წარმოჩენა სურს.. შევეხებოდი და მოვისვრიდი,

მაგრამ ძალიან ქალია აქ და მაღალმოხელე.

(შეშდება, მაგრამ მოღალატეები ერევიან მათ საუბარში)

პირველი მოღალატე (*ლოთს*)

ძვირფასო ელჩო!

ბანოვანი (გავლით, სასხვათაშორისოდ)

ვინ არის ის იდუმალი ბატონი, ამდენ ხანს რომ ებაასება უფლისწული ტახტის მემკვიდრე?

მოხელე (*ხაზგასმით*)

ეს ელჩია ჩვენი რომელიღაც უცხო ქვეყანაში, ანუ ამბასადორი.

ბანოვანი

ამბასადორი!

პირველი მოღალატე

ძვირფასო ამბასადორო !

მეორე მოღალატე

ძვირფასო ამბასადორო!

მესამე მოღალატე

პატივცემულო ამბასადორო!

ლოთი (მოხდენილად)

აჰ, მოგესალმებით, მივსამლები ძვირფას ბატონებს!

ბანოვანი

ძვირფასო სრულუფლებიანო ელჩო!

ლოთი

თქვენს ფერხით ვარ, ძვირფასო პანი!

(*ცერემონიულად უკრავს თავს*)

ჰენრიკი

ჰმ... ლოთობიდან უცებ ამბასადორობანაში გადახტა. ხელით შევეხებოდი, მაგრამ თავს ვერ შევირცხვენ.. აქ თავდაჭერაა მთავარი.

ლოთი

მაპატიეთ, ძვირფასო პანი და თქვენც, ძვირფასო ბატონებო, მაგრამ კიდევ ორიოდ სიტყვა მაქვს მეფისწულ-ტახტის მემკვიდრისთვის სათქმელი. მალე მოგაქცევთ ყურადღებას.

მოღალატეები

ხელს არ შეგიშლით.

(დიდის ამბით უკრავენ თავს და შორდებიან)

ლოთი (ჰენრიკს}

რა საოცარი მიღებაა.

ჰენრიკი

მართლაც.

სამეფო კარი

აჰ, მამაკაცების ტორსები და კაბები ბანოვანთა თავბრუს გასხამს

თვით მის უდიდებულესობას დაუდია სტუმრებისთვის პატივი!

(დახვეწილი ,,ფაიფ ოქლოქის" ფონზე მიმოდიან უფლისწული და ლოთი)

ლოთი (*დიპლომატივით*)

დიახ, იმასთან დაკავშირებით, რაზეც ვსაუბრობდით.. მინდა იცოდეთ, მეფისწულო, მართალია, უცხო ქვეყნის ამბასადორი ვარ, მერწმუნეთ, ძალზე დიდი პატივისცემა, მოწიწება და გულწრფელი სიყვარული მაქვს მისი უმაღლესობის მიმართ.. მეორე მხრივ, უნდა აღვნიშნო, რომ სწორედ ეს სიყვარული, მე ვიტყოდი, თაყვანისცემა მისი პიროვნების მიმართ მაიძულებს ვთქვა, რომ ვშიშობ.. ვშიშობ.. ანუ უფრო გული მოგრძნობს.. და არა თუ ეს, ზოგი რა ვიცი იმის შესახებ, რომ .. ბევრი წარჩინებული დიდგვაროვანი მოხელე ჩამოშორდა ტახტს ბოლო ხანებში..

ჰენრიკი (*დიპლომატივით*)

აჰ, ნუთუ?

ლოთი

და როგორც სამეფო ოჯახის გულწრფელმა და ერთგულმა მსახურმა.ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, ამის შესახებ კონფიდენციურად მომეხსენებინა თქვენთვის, მეფისწულო.

ჰენრიკი

უზომოდ დავალებულად ვგრძნობ თავს.

ლოთი

მამაშენი, უფლისწულო, უდავოდ, მე ვიტყოდი, უდავოდ დიდი მონარქია.. მაგრამ შესაძლოა, და ამას ვშიშობ სწორედ, რომ ძალაუფლებისა და მართვის მისეული კონცეფცია მთლად ჰარმონიზებული არ არის ახალ დროის სულისკვეთებასთან.

პირველი მოღალატე

ძალიან კარგად მესმის, ბატონო ელჩო.

ლოთი

იგი, რასაკვირველია, ძლიერი მმართველია... მაგრამ ძალზე ძლიერი მისი კონცეფციების ანქრონიზმი.. ანაქრონიზმი, რომელიც ხნოვანი ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. (*ფამილარულად*)

ზნეობისა და სიქველის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი რაღაც კოდექსის რწმენა? ჩვენში დარჩეს და, თანამედროვე ადამიანს მეტი მოქნილობა მოეთხოვება; თანამედროვე ადამიანმა იცის, რომ სამუდამო და მყარი არაფერია, არც აბსოლუტური, ყველა ყოველ წუთს სახეს იცვლის.. ადამიანებს შორის იქმნება ხელახლა.. სახეს იცვლის..

ჰენრიკი

მოქნილობას ვერავინ წაგართმევთ.. სახის დაუსრულებლად ცვლის უნარიც არ გაკლიათ..

ლოთი

ფხიზლად ვიაზროვნოთ, ფხიზლად.. მაგრამ.. იქნებ დავლიოთ უკვე? მის უდიდებულესობას გაუმარჯოს!

მოღალატე

მისი უდიდებულესობის სადღეგრძლო იყოს!

ჰენრიკი

მის უდიდებულესობას გაუმარჯოს!

ლოთი

რაზე ვსაუბრობდით? აჰა.. რა მიზეზია-მეთქი, რომ მაღალმოხელენი ჩამორშორდნენ ტახტს.. .. ჰა, ჰა, ჰა, მაგრამ მისი უდიდებულესობის ყველაზე დიდი მტერი შენ ხარ, დიდო თავადო..

ჰენრიკი

მე?

ლოთი

ჰა, ჰა, ჰა! ამავე დროს, შენი თვისებებით აღფრთოვანებული ვარ....

ჰენრიკი

ძალიან სასიამოვნოა.

ლოთი (*ფამილარულად*)

აქ მყოფი პირთაგან ბევრი მიიჩნევს, რომ მართვა შენ გმართებს.. მაგრამ დავლიოთ.. მის უდიდებულესობას გაუმარჯოს!

მოღალატე

მის უდიდებულესობას გაუმარჯოს. არ არის ურიგო ღვინო! აქ მყოფ პირთაგან ბერი მხოლოდ იმაზე ოცნებობს, რომ მისი უდიდებულესობის უხანგძლივესი სიცოცხლის გასრულების შემდეგ ტახტი შენ გერგება, დიდო თავადო ..

ლოთი

და მაშინ, დიდო თავადო, ქორწილსაც გადაიხდიდი..იქნებ ქროწილი არც ყოფილიყო საჭირო... ჰა, ჰა, ჰა - ამ მოძველებული ცერომინების ნაცვლად..

მოღალატე

კიდევ თითო! მათრობელა ღვინოა, არა? ადამიანი ხომ მერევია, არამყარი, როგორც მეფე ტახტზე..

ლოთი

ჰა, ჰა, ჰა! რასაკვირველია, ხელის ერთი კვრაც საკმარისია!

მოღალატე

ხელის კვრა - მთელი სამეფო კარის თანდასწრებით!

ლოთი

აი, ვინმეს მეფისთვის ხელი რომ ეკრა..

მოღალატე

მოულოდნელად!

ლოთი

ხელით შეხებოდა...

მოღალატე

ხელით შეხებოდა სასხვათაშორისოდ, ყველას თანასწრებით! ყველას დასანახად!

ლოთი

ჰა, ჰა, ჰა! ოღონდ ვერავინ შეეხება, რადგან უფლისწულის მრისხანების და გონების ეშინია. ბუნებრივიცაა, შვილი მამას იცავს...

მოღალატე

აბა კიდევ თითო! მაგრამ თავად უფლისწულს რომ ეკისრა.. თავად უფლისწული მიახლოებოდა.. მიახლოებოდა და .. ამას სერიოზულად არ ვამბობ.. მაგრამ თქმის ცდუნებას ვერ ვუძლებ.. ვაღიარებ, ვხედავ, ამ ხელშეუხებელ.. ხელშეუხებელ გვამს როგორ... ჯანდაბა, არ ვიცი, რატომ ვიცი ასე რაღაც ამოჩემება .. როგორ უახლოვდება ვიღაც და .. ხელით ეხება, ჰა? თითით. ჰმ, ჰმ..

ლოთი

ჰა, ჰა, ჰა! ზურგს უკან კი საცოლე უდგას და ისიც ხელშეუხებელია, ბატონებო.. ხელშეუხებელი! ოჰ, რა იქნება, ერთი თითით მაინც, ერთი თითით.. ოჰოჰოჰ.. ჰა, ჰა, ჰა! ოჰოჰოჰ.. ჰა, ჰა, ჰა!

ჰენრიკი

თითიო!

(*მშვიდად*} ისევ ეს იდიოტური თითის თემა ამოტივტივდა!

ღორო!

ლოთი

(*გუნებაწამხდარი*)

ღორო!

ჰენრიკი

ღორო!

იქნებ ამ ნამცხვრებიდან გენებათ რამე?

მეფის კარი

საამურია აქ ვიწრო წრეში

მსუბუქი, მეგობრული ფლირტი მეფესთან სტუმრად ხუთ საათზე..

ჰენრიკი

აჰა, თქვენ მხოლოდ ის გინდათ, რომ მეფეს შევეხო ..თითით.. რადგან თუ მე შევეხე

მაშინ თქვენც შეეხებოთ. ღალატისკენ მიბიძგებთ...

ორივე ერთად

ოჰ,ოჰ!

ჩვენ მხოლოდ ღვინო გვალაპრაკებს.. თოფივით ღვინოა.. ვქაქანებთ ჩვენთვის..

ჰენრიკი

წყეულო ღორო, ლოთო, გინდა, დამათრო.. მე კი ახლა ყველას და საკუთარ თავსაც გიჩვენებთ, რომ

ფხიზელი ვარ.. ჰო, ფხიზელი ვარ.

ეს იდიოტური შეთქმულება! მაგრამ ეს იდიოტიზმიც თქვენი ხრიკია, რადგან იმდენად აბსურდულია თქვენი ინტრიგა, იმდენად აშკარაა თავისი ხელოვნურობით, თქვენს გულუბრყვილო წინადადებებზეც უარიც რომ ვთქვა, ამაზეც გამეცინებოდა, მათი მიღება კი სულელად მაქცევდა. სწორედ ეს გინდათ, არა? ამიტომაც გეუბნებით თქვენც და ჩემს თავსაც: არ აღგიქვამთ სერიოზულად, არც ამ საუბარს, არც ამ წოდებას... ბატონი ელჩის მოულოდნელ წოდებას... რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩვეულებრივი ლოთი იყო. დაგცინი! და თუ აქ ვდგავარ და გელაპარაკები, იმის მაგიერ, რომ გეცე და შეგეხო, მიზეზი მხოლოდ ერთია: გარეგნულად

ეთიკურობის შენარჩუნება მინდა ჯერჯერობით, სკანდალის ატეხვა არ მსურს. .. რაო? ჰო, ფხიზელი ვარ!

ლოთი

ბურგუნდიული თუ ტოკაი!

მოღალატე

ტოკაი და პორტუს ღვინო!

ჰენრიკი

გასაგებია, რომ

ფხიზელი ვარ! ნებისმიერ წუთს შემეძლო, გამომეღვია და გამექრეთ - მაგრამ ამ შესანიშნავი ..მათრობელა თავყრილობის დაშლა არ მინდა.. მე თუ გავიღვიძე, ესეც გაქრება, გაუჩინარდება.. გასაგებია?

ლოთი

ბურგუნდიული, ბურგუნდიული!

მოღალატე

ტოკაი, ტოკაი!

ჰენრიკი

ყველაზე ფხიზელი ადამიანი ვარ მსოფლიოში! თქენ კი გეწყობით, მაგრამ სრული გაცნობიერებით, ფხიზელი, ჰა, ჰა, ჰა... გეწყობით, რადგან სინამდვილეში ეს ყველაფერი... მართლაც სიამოვნებას მანიჭებს...

სიტყვები მიღიტინებს, აზრები მელამუნება, გრძნობები კასკადებად მომდის, ყველაფერი მოძრაობს... ყველაფერი მუსიკად ისმის და ზანზალაკებად წკრიალებს ...

ოჰ, შუქისა და მარაოების ეს ზღვა, სიტყვების ოკეანე ..

მე კი მასში ვიხრჩობი, ვიხრჩობი... როგორც ლოთი.

(ჰა, ხედავ, რა ფხიზელი ვარ!)

როცა მთვრალი ვარ, ფეხზე ვერ ვჩერდები, თავბრუ მესხმის,

არც დიდად მესმის არაფერი, გაურკვევლობაში ვარ - ვითომ მესმის, მაგრამ არა, არაფერი მესმის... მხოლოდ ხმაური. ხმაური.

და ამ ხმაურში

ეს ერთი ჯიუტი აზრი, ,,შეინარჩუნე გარეგნული ფორმა" -

არავის გააგებინო, რომ ნასვამი ხარ, ჰა, ჰა (ხომ ხედავთ, რა მკაფიოდ ვაცნობიერებ) - არავინ იცოდეს, რომ ლოთი ხარ.

თუ ვინმე მთხოვს, დაველაპარაკები

ძალიან თავაზიანად, აჰ, აჰ, დიახ, დიახ, რატომაც არა!

და თუ ვინმე სერიოზულად მელაპარაკება, მეც მთელი სერიოზულობით ვპასუხობ. დიახ, დიახ!
და თუ ვინმე მთვრალი მოდის ჩემთან, მაშინ მეც მთვრალივით ვხვდები,
ბუმ, ბუმ, ჰოკ, ჰოკ! (ხედავთ, მშვენივრად ვაცნობიერებ ყველაფერს)

ლოთი (*მთვრალია*)
დედა ვატირე.. შუბაა.. შუბა დავიხე..

ჰენრიკი
ახლავე, ახლავე -
უკეთაც კი დაგიმტკიცებთ, რომ ფხიზელი ვარ. ვთქვათ,
 მთვრალი ხარ, ისეთი მთვრალი, ფეხზე ვერ დგახარ და ყველა, ვინც აქაა, სიტყვას სიტყვაზე
ძლივს აბამბს -- .. ჰმ... ერთი მეორისგან თვრება,
მაგრამ ყველას უნდა, ფხიზელი გამოჩნდეს, როგორც ახლა მე.
ჰა ჰა, მაშინ ეს ყველაფერი ფარსია!
ერთი ლოთი, ფხიზელი რომ გამოჩნდეს, მეორე ლოთის სიმთვრალეს ეწყობა, რომელიც,
ფხიზელი რომ გამოჩნდეს, რომელიღაც სხვა მთვრალის სიმთვრალეს ესადაგება, რომელიც...
ამიტომაა ეს ყველაფერი დიდი ტყუილი! და ყველა იმას ამბობს,
  რის თქმაც სულ არ უნდოდა,
 ეტიკეტი რასაც კარნახობს, იმას ბრძანებს. .
სიტყვები ხლართავენ მოღალატეობრივ ბადეებს,
და ახლა უკვე ჩვენ კი არ წარმოვთქვამთ, არამედ ისინი ჩვენ,
ჩვენი აზრები ჩვენვე გვღალატობს,
და ჩვენი აზრები - გრძნობებს
მოღალატეობრივს, აჰ, ღალატია ეს!

ლოთი (აიტაცებს)
კი, ღალატია!
მოღალატე
ღალატია, ღალატი! ძირს მეფე !
ძირს მეფე!
მოღალატეები (გარს ეხვევიან მათ და მოგუდული ხმით იმეორებენ)
ძირს მეფე!
ჰენრიკი
მოღალატეებო! მე მაგის თქმა არ მინდოდა !

მოღალატე (შეთქმულივით)

ბატონებო, ტახტის მემკვიდრე ჩვენთნაა! ძირს მფე!

ახალ მეფეს გაუმარჯოს!

მოღალატეები -

გაუმარჯოს!

ლოთი

მეფე აიყვანეთ!

(შეთქმულები ჰენრიკიანად მეფისკენ დაიძრებინა. სტუმრების მასა ორად გაიპობა, გზას გაუხსნიან მეფისაკენ, რომელიც დედა/დედოფალთან და მანიასთან ერთად ჩაის სვამს. იქვეა ვლაჯიოც)

ჰენრიკი

მე ამის თქმა არ მინდოდა!

მეფის კარი

საამურია აქ ვიწრო წრეში

მსუბუქი, მეგობრული ფლირტი მეფესთან სტუმრად ხუთ საათზე

აჰ, მამაკაცების ტორსები და კაბები ბანოვანთა თავბრუს გასხამს

თვით მის უდიდებულესობას დაუდია სტუმრებისთვის პატივი !

მამა (მოახლოებული ლოთის დანახვაზე შფოთავს)

ეს ისევ აქ არის?

ჰენრიკი

ეს უცხოელი ელჩია, იგივე ამბასადორი.

მამა

ამბასადორიო? ოღონდ არ შევრცხვეთ .. (ხმამაღლა)

რა სასიამოვნოა თქვენი აღმატებულების ხილვა ჩვენს ჭერქვეშ.

ლოთი

დიდი პატივია ჩემთვის (ქედს იხრის მანიას წინაშე)

უმშვნიერესო ქალწულთაგან, გთხოვთ რაინდულად მიმსახუროთ.

მანია

გმადლობთ.

მამა

ვისურვებდი, ბატონო ელჩო, ჰარმონიული იყოს ერთაშორისი თანამშრომლობა ჩვენს სახელმწიფოებს შორის კონსოლიდაციისა და უსაფრთხოების კუთხით, მარადიული მშვიდობის მოსაპოვებლად, რაც საუკუნეების განმავლობაში იყო მთელი კაცობრიობის სურვილი და ინტერესი.

ერთი შემეხე, ღორო, დინგში თუ არ მიიღო ჩემგან.

ლოთი

უსაფრთხოება, მისი გაძლიერება და ჰუმანისტური სულისკვეთებით სამშვიდობო თანამშრომლობა სასარგებლოდ გახლავთ ჩვენი მშვიდობის სურვილის უცვლელი და საწყისი პოსტულატი, რომელიც გამსჭვალულია ურთიერთგაგების სულისკვეთებით. მოგწვდები, ღორო, გიხმარი, ისევ მოგწვდები და ისევ გიხმარ, ღორო.

მამა

იქნებ ამ ნამცხვრებიდან ინებოთ რამე?

ლოთი

დიდად გმადლობთ! (ჰენრიკს, განზე) აი, ახლა, კარგი დროა!

ატაკე, მიდი, თითი!

ჰენრიკი

მამას?

ლოთი

თავად იქნები მეფე-მეთქი!

ჰენრიკი (ჩაფიქრებული)

მე?

(*სცენა შეშდება*)

ამას, რა თქმა უნდა, ხუმრობით ვამბობ... მაგრამ მაინც, თუ მხოლოდ... მამაჩემის ძალაუფლების რომ დამემხო და ძალაუფლება თავად ამეღო ხელში! არადა, ყოველთვის ხელიდან მივარდება ყველაფერი. მაშ ხელში ავიღო! ოჰ, მე რომ მრგებოდა ძაა უფლების სადავეები! რასაკვირველია, ამ ყველაფერს ხუმრობით ვამბობ... მაგრამ მაინც, მე რომ უცებ დამემხო მეფე.... რაში მჭირდება? მე თვითონ ავუმღლე სტატუსი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ქორწინება ეკურთხებინა. რატომ უნდა მივიღო ქორწილის კურთხევა უცხო ხალხისგან? ღმერთმა ქნას და.. როცა მმართველი მე გავხდები, მე თვითონ მოვიწყობ ქორწილს, ყველაზე სუფთას, სავსეს ჩვენებრი პატიოსნებით.. დიახ, მე თვითონ შევქმნი კანონებს. და, თუ მომინდა, მასში აღვბეჭდავ ჩემს ბრწყინვალებას, სიწმინდე და სისუფთავეს!

ღმერთო ჩემო! მე რომ შემეძლოს მეფობა!

ღმერთოო , რა ვთქვი? ღმერთი? რომელი?

მამა? რომელი მამა? მე თვითონ ავირჩიე ესინი. ხომ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია ყველა, ჩემი ნება-სურვილით არსებობენ! ამათ რად დავუჩოქო, არ ჯობია ჩემი, საკუთარი თავის წინაშე მოვიყარო მუხლი, ჩემივე კანონის თანახმად? ჩყ... ეს არ უნდა გეთქვა. რატომ იმეორებ ყველაფერს, რაც ამან (ლოთზე მიუთითებს) გითხრა? მერე რა, რომ ამან თქვა? მაგას გავანადგურებ!

გავანადგურებ!

მე ვქმნი მეფეებს! და თავად უნდა გავხდე მეფე!

მე ვარ ყველაზე მაღლა! ღმერთი მე ვარ!

ეს კი ჩემი თითია, ჩემი თითი, რომლითაც მე...

(*შეშინებული*)

არა, არა! მხოლოდ ხუმრობით ვამბობ ამას! არ არის სიმართლე! მამას არავითარ შემთხვევაში არ ვუღალატებ მამას! ჩემს მეფეს!

(ლოთს მიმართავს) არ ვუღალატებ!

ლოთი

მაშ, არ უღალატებ.. ღორო?

მამა (*საუბარი მოესმება*):

რაო, რაო? ღალატია?

ჰენრიკი

ამის თქმა არ მინდოდა!

მამა

არ მომეკარო!

ჰენრიკი

არც გეკარები!

მამა

არ გაინძრე! აქ არავინ გაინძრეს!

ჰენრიკი

არ ვმოძრაობ!

(*სასოწარკვეთილი*)

ჩემი რატომ გეშინია?

მამა

მე? ჰენდრიშ. შვილო, შენი როგორ შემეშინდებოდა, ჩემი ბიჭის, ჩემი მეგობრის, დამცველის და დასაყრდენის? არა, არა ჰენდრიშ, არ მეშინია..

ჰენრიკი

მშვიდად იყავი...

მამა

სარტყელი გამისწორე, ო, ოჰ, გამისწორე

გამისწორე სარტყელი..

ჰენრიკი (შარფს უსწორებს)

კანკალებს და გული უცემს, ცივი ოფლი ასხამს..

მამა

ჯობია, შორს დადგე.. გამშორდი.

ჰენრიკი

რატომ?

მამა

ჰენრიშ, შენი მეშინოდეს? რას ამბობ.. მხოლოდ ოდნავ დავიცავ თავს, სულ ოდნავ.. სულ-სულ ოდნავ, ყოველი შემთხვევისთვის.. მაგრამ მეფე ვარ, ჰენრიკ, ამიტომ ჯობია, შენ დადექი განზე.. პატარა კი მაქვს, მაგრამ მეფურად იზრდება.. მეფური ზომის ხდება, ჰენრიკ.. და შეიძლება იფეთქოს.. შეიძლება, მეფემ იმძლავროს ჩემზე!

ჰენრიკი

თავს უნდა მოერიო...

მამა

როგორ მოვერიო, როცა თავზე დიდი ვარ!

ჰენრიკი

ჩუმად! ნუ ყვირი!

მამა

მე არ ვყვირი, ეგ ხმა ყვირის ჩემი! ჩუ.... (ხმამაღლა)

გმადლობ, შვილო, გმადლობ შენი ერთგულებისთვის! ვიცი: შენს გულში ღალატის ადგილი არ არის. არა! ეჭვი არ მეპარება. სულაც არა... და თუ ვამბობ, ეჭვი არ მეპარება-მეთქი, იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ეჭვები მღრღნის.. თუ ვმე აცხადებ, ეჭვი არ მეპარება-მეთქი,

მხოლოდ იმიტომ, რომ არავინ იფიქროს, რომ ისევ ამეებს დავუბრუნდი..

. თუმცა, რაც ახლა ვთქვი, ეს ჩემი გახლავთ ბოლო განმარტება და განცხადება, და ისე არ უნდა იქნას გაგებული, , როგორც ვთქვათ,

ჩემი უნდობლობის გამოვლინება.

(დიდებულებს) ნუ მისმენთ!

რატომ მისმენთ გამუდმებით?

გამუდმებით რატომ მიყურებთ? როგორ გგონიათ, ძალიან სასიამოვნოა, როცა ასე გიყურებენ და გისმენენ? გასწით, გამშორდით!

არა, არა, არა, დარჩით!

დასამალი მე არაფერი მაქვს! და თუ გეუბნებით, გამშორდით-მეთქი, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ რაღაც მაქვს დასამალი.

არა, ჩემს შვილში მეპარება ეჭვი, ვიცი, რომ არ მიღალატებს, ეჭვიც არ მეპარება, არა, არა... რადგან ამ მხრივ, თუნდაც პატარა, მცირე ეჭვიც რომ მქონოდა, ეს მცირე ეჭვი ამდენი, ამდენი ადამიანის მზერისაგან.. ამდენი, ამდენი ადამიანის მოლოდინის წარმოდგენისას... ეს ეჭვი, ვიმეორებ, თუნდაც მცირე, უმნიშვნელო... მოიმატებდა... ცოტათი მაინც ... და ეს ოდნავ უფრო დიდი ეჭვი ოდნავ კანკალს გამოიწვევდა ჩემში. ხოლო ოდნავი კანკალი, თუნდ მეფური კანკალი, ცოტა მეტ შფოთვას ... და შემდეგ - კიდევ უფრო მეტს... ჩემზე უფრო დიდს... შემდეგ ეს შფოთვა მთლიანად ამიტანდა, რადგან ჩემს არსებას მეფე ეუფლება!! და თუ ჩემში მეფე კანკალებს, მისი შეჩერება ჩემს ძალებს აღემატება! თუ ჩემში მეფე იყვირებს, მე მის გაჩუმებას ვერ მოვახერხება! მეფე კი - მეფე, მეფე ყვირის: მოღალატე! მოღალატე! მოღალატე!

სამეფო კარი

მოღალატე!

ჰენრიკი

მოღალატე!

მამა

მიშველეთ! დაცვა! დაცვა!

(შემორბიან მცველები)

ამას თითი აქვს!

ااااჰ, ღალატია-მეთქი, ღალატი, ღალატი!

ჰენრიკი (*თითით მამას ეხება)*

დააპატიმრეთ

დააპატიმრეთ მამაჩემი! დილეგში ჩააგდეთ

ყველაზე ღრმა, მიწისქვეშა,

ნესტიან დილეგში !

(სასოწარკვეთით)

არ მინდოდა ამის თქმა!

ლოთი (აღფრთოვანებული}

შეეხო! შიგ ფაშვში ატაკა თითი!

(მამისკენ იწევს)

ჰენრიკი (ვლაჯიოს მიმართავს და ლოთისკენ იშვერს თითს) :

ერთი ეს ღორიც დააპატიმრე!

დილეგში! დილეგში უკარი თავი!

(*ყველას* მიმართავს)

არ ვიცი, როგორ გამოვიდა ეს,

მაგრამ გამოვიდა! მამას ვუღალატე

ჩემსას!

(*ლოთს*)

რომელი საათია?

ლოთი

შვიდი.

მამა (გმინავს)

ჰენდრიშ...

მეფის კარი (*ენერგიულად*)

ო, ჰენრიკ!

ჰენრიკი (ენერგიულად)

ო, ჰენრიკ!

ახლა მეფე ვარ!

გაკოჭეთ, მილეწ-მოლეწეთ, გააქრეთ!

(მცველები მამას აპატიმრებენ)

დედა (*დაზაფრული*)

რას სჩადი, ჰენრიშ?

ჰენრიკი

ახლა მე ვარ მმართველი! მხოლოდ მე! და თავად მე ვნიშნავ ჩემს ქორწინებას! ხელს ვერავინ შემიშლის! ის მოხუცი დაპატიმრებულია. ლოთიც დილეგში ბრძანდება. მმართველი ვარ, ხელმწიფე, და თავად ვმართავ საკუთარ ქორწილს!

ეს ბოდვები თქვენი აღარ მაინტერესებს!

გგონიათ, ბრმა ვარ?

ვერ ვხედავ, როგორ ცდილობთ ჩემს გაცურებას?

კმარა, დამთავრდა. თქვენს დაკრულზე არ ვიცეკვებ. აღარ ვიქნები ტიკინა, რომლის მართვაც თქვენ გსურთ. გაიძულებთ, პატივი სცეთ ჩემს ნება-სურვილს. თუ ამ მოხუცს მეფობის ეშინია, თუ ჩემს ქორწინებას ვერ მოაწყობს, თავად მოვუვლი ამ საქმეს. ჩემი საცოლე სად არის?

(*მოახლოებული მანიას დანახვაზე*)

აჰა, უკვე აქ არის სხივწაგვრილი
არაუშავს, მე მოვფენ ნათელს! მე გამოვიყვან სინათლეში!
მე თვითონ ვმართავ ჩემს ქორწილს! მე თვითონ!
არავინ სცადოს ჩემს საქმეში ცხვირის ჩაყოფა! მე თვითონ!
რადგან აქ ვარ, ვარ მარტო
და თქვენ აქ არ ხართ!

(სცენაზე წყვილების მსხვლელობაა, ჰენრიკი და მანია მათს პირველ რიგში. ისმის საქორწინო მარში)

ჰენრიკი
პირველი ვარ.. მერე რა, რომ
ესენი მოყვებიან უკან კუდებად
მე მათ ვერ ვხედავ: კრიალა სივრცე
მეშლება წინ, ცარიელი,
მასში მივიწევ წინ..

(ლოთს მოჰკრავს თვალს, რომელიც ვალჯიოს ჰყავს დაპატიმრებული)
ეს იდიოტი კი მოაშორეთ, მოაშთეთ საერთოდ.. რომ აღარ იყოს
ეს ამბავი შენთვის ეგრე იოლად არ ჩაივლის. სიკვდილით დასაჯეთ!

ლოთი (მათხოვარივით]
ბატონო.. ბატონო..

ჰენრიკი
რა სულელურად გაიჟღერა შენმა სიტყვებმა. მაგრამ ახლა უკვე ვერაფერს დამიშავებ.
ლოთი
მეფეო! ჰა, რა ვქნათ, რაც არის, არის! მაგრამ ძნელია.. იყოს, რაც არის, არის!

(ყველას მიმართავს) ჩამომახრჩობენ და ჩამომახრჩონ, რა ვქნა! იმდენი ჩამოახჩვეს უკვე ბოლო წლებში.
მხოლოდ ერთ რამეს გევედრები. სიკვდილის წინ მისი ნახვის მქონდეს შესაძლებლობა.
ჰენრიკი
ვისი?

ლოთი

ჩემი დედოფლის.

ჰენრიკი

როგორც ჩანს, ჯერ ვერ მოიშალე სისულელეები. მაგრამ ახლა შენი აღარ მეშინია - ახლა ყველაფერს მე ვწყვეტ.

კეთილი, უყურე.

ისედაც ხომ ხედავ.

ლოთი (თავისთვის)

ოო, მანკა, მანკა, რაღა შენ და რაღა არაყი!

ჰენრიკი (თავისთვის)

ჰა, ჰა, ჰა!

ლოთი

მე ვერ შეგირთე, მანკა, სხვა იწერს ჯვარს შენზე.

ჰენრიკი

ილაპარკოს, რაც უნდა. (ვლაჯიოს) კარგად მიხედე ამას.

ლოთი

ეს ბიჭი რომ არ მყავდეს კისერში ჩაფრენილი, დაპატიმრებული რომ არ ვყავდე, გაიგებდა, მე როგორ და რა და შენდამი..

ჰენრიკი

ეს უკვე რაღაც ბოდვაა.

ლოთი

შენს სახებას გავიყოლებ თან კუბოში, შენ სახებით ცქერისას მოვკვდები... (ჰენრიკს) მხოლოდ ერთ წყალობას ვითხოვ, ამ ბიჭმა ეს ყვავილი ლარნაკიდან ამოიღოს და ჩემ თავს ზემოთ დაიჭიროს, მის ცქერას რომ დავიწყებ.

ჰენრიკი

რაღაც ახალ იდიოტობებს იგონებს, მაგრამ უარი რომ ვუთხრა, იფიქრებენ, ეშინიაო.. (ვლაჯიოს) გთხოვ, მოკიდე ამ ყვავილს ხელი და ამის თავზე გეჭიროს. (მანიას) მოიღე ეს მოწყალება საბრალო შლეგზე, ძვირფასო მარია.

ლოთი

ო, ჩემო დედოფალო! ეს სახება მიმაქვს თვალებით, ასე მსურს სიკვდილი.. გთხოვთ, ეს ყვავილი ისე გეჭიროთ, რომ ცოტათი თვალებზე მქონდეს ჩამოწეული (ვლაჯიო ყვავილის ჩამოწევისას მარიას ეხვევა) ოდნავ ქვემოთ.. ჰო, ახლა კარგია.. ო, ჩემო დედოფალო!

ჰენრიკი

ასე რას ხედავს? ვერაფერი აზრი ამაში ვერ დავინახე.

მოხელეები (*გამოცოცხლდებიან*)

ვერაფერი აზრი ამაში ვერ დავინახეთ,

რაღაც ბავშვური საქციელია!

საცოდავი პატარა კაცი!

სასაცილო კია, ღმერთმანი.

ლოთი

თქვენის ნებართვით .. ოდნავ კიდევ ჩამოწიეთ.. ისე, რომ ეგ ყვავილი ყელზე მედებოდეს.. ჰოო, ახლა კარგია.. ოჰ, ნეტარებაა.

მოხელეები

ჩვენი ბატონის სულგრძელობა მართლაც აღტაცების ღირსია.

ჩვენი ბატონი მხოლოდ სამართლიანი კი არა, მოწყალეცააა.

ჩვენი ქალბატონის მოთმინება აღტაცების ღირსია,

უზომოდ, უსაზღვროდ მოწყალეა ჩვენი ქალბატონი!

ლოთი (მოულოდნელად, მძიმედ)

ახლა არავინ გაინძრეს, ეს ყვავილი უნდა გამოვაძრო (ვლაჯიოს ყვავილს ხელიდან გამოგლეჯს)

არ გაინძრეთ.. ..

მანია

როგორც ფოტოსურათის გადაღებისას აკეთებენ.

ჰენრიკი (ვლაჯიოს და მანიას)

ცოტა კიდევ მოითმინე.. (თავისთვის) კიდევ რა.. (ვლაჯიოს)

არ გაინძრე (თავისთვის} ამით რის თქმა უნდოდა..

სისულელე. უფრო ჭკვიანი მეგონა...

ლოთი

უფრო ჭკვიანი ვარ.

ჰენრიკი

უფრო ჭკვიანი?

ლოთი

უფრო ჭკვიანი..

ჰენრიკი

ეგ როგორ - როგორ უფრო ჭკვიანი?

ჭკვიანური რა არის ამაში, რასაც აკეთებ? ყვავილი გადააგდე, ესენი აგერ გაშეშებულები დგანან...

უფრო ჭკვიანური რა არის ამაში?

ლოთი

უფრო ჭკვიანი ვარ..

ჰენრიკი

უფრო ჭკვიანი?

და რა მერე? კარგი, ერთად დგანან ...

ერთმანეთის გვერდით... ერთად... ის ამასთან , ეს - იმასთან,

და რა მერე? ერთად, მაგრამ აზრი?

მოიცათ... იქ ერთად დგანან, ჩვენ კი ყველანი მივშტერებივართ,

როგორ არიან ერთად. . . როგორ დგანან. . .

ღორო!

ერთმანეთს დაუკავშირე ამათი ბედი

ერთმანეთთან შეჰკარი მდაბალი

საზარელი ქორწინებით. შენ ხომ ახლა ესენი

დააქორწინე, კაპელანო, შე ღორო!

ლოთი

ღორო!

ჰენრიკი

ღორო!

(მოხელეები სიცილით კვდებიან)

ფარდა

მოქმედება III

(ციხე-დარბაზი, ჰენრიკი და კანცლერი)

კანცლერი

დარბაზში სიმშვიდე სუფევს. ყველა მეამბოხე ელემენტი დაპატიმრებულია. დაპატიმრებულია პარლამენტიც. ამას გარდა, სამხედრო და სამოქალაქო სფეროც აბსოლუტურ პატიმრობაში იმყოფება და ფართო სახალხო ფენებიც. დააპატიმრებულია უზენაესი სასამართლო, გენერალური შტაბი, დირექციები და დეპარტამენტები, საჯარო თუ ნებისმიერი სხვა ხელისუფლება, პრესა, საავადმყოფოები, უბნები - ყველაფერი ზის. ყველა სამინისტრო დაჭერილია, დაპატიმრებულია ყველა და ყველაფერი. დაკავებულია პოლიციაც. ირგვლივ სიმშვიდეა, სიჩუმე, ნესტი.

ჰენრიკი

ცხადია, ახლა სიმშვიდე სუფევს. რა სიმშვიდეა. .

კანცლერი

აბა რა, შემოდგომაა.

ჰენრიკი

პოლიციის უფროსი სად არის?

კანცლერი

იცდის.

ჰენრიკი

  თუ იცდის, მოიცადოს. მამაჩემი, ყოფილი მეფე?

კანცლერი

დაპატიმრებულია.

ჰენრიკი

ისა... ლოთი?

კანცლერი

დაპატიმრებული.

ჰენრიკი (გუნებაწამხდარი, მწარედ)

დღეს ჩატარდება ჩემი ქორწინებაც.. რა პირქუში დღეა.

კანცლერი

არაფერი განსაკუთრებული.

ჰენრიკი

ბებერი ხარ.

კანცლერი

კი.

ჰენრიკი

ძალაუფლება მივიღე.

რა მნიშვნელობა აქვს, როგორი ხერხით... მთავარია, სიტუაცია

ვმართე.. . . და ყველაფერი ზუსტად ისე იქნება

როგორც მე ვბრძანებ... ამიტომ მოისმინე ჩემი ბრძანება:

შეიკრიბეთ დარბაზში, სადაც მეფემ

თავი უნდა დაქორწინოს.

ჩაავლე ყვველას კისერში ხელი და აქეთ წამოათრიე!

კანცლერი

არის.

ჰენრიკი

მამაჩემს ხელი კინკრიხოში და აქეთ, დაცვით. მინდა, ჩემს ქორწინებას დასწროს.

კანცლერი

არის.

ჰენრიკი

დედაჩემიც. ხელი კინკიროხოში და აქეთ. .

კანცლერი

არის.

ჰენრიკი

ის ლოთიც, ოღონდ გაკოჭილი, გასაგებია? მინდა, ყველას თანდასწრებით ვიქორწინო; არავისი მეშინია,

ვერავინ ვერაფერს დამიშავებს, მე თვითონ ვიცი, რა ვაკეთო - ამით ყველაფერი ნათქვამია; ძალაუფლება მაქვს და ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, როგორც მე მსურს; მე ვარ აქ ბატონი; მე ვმართავ სიტუაციას. თუ ვინმე შეთქმულებას ხლართავდა ან საბოტაჟის მოწყობას აპირება, ჩაავლეთ ყველას ქეჩოში ხელი და აქეთ წამოაბრძანეთ.. პოლიციის უფროსმა მცველები მოიყვანა? დაუძახეთ. .

(შემოდის პოლიციის უფროსი და სამი მცველი)

ჰენრიკი

ზუსტად ეს მჭირდებოდა! რა სიფათები აქვთ! ეგეთებს კი შეუძლიათ, კაცს კინკრიხოში სწვდნენ! კი! თუ ვინმე შეუფერებლად მოიქცევა ან რამენაირსამე დაბრკოლებას შექმნის, კისერში ხელს წაავლებენ და ყველას თვალწინ გლეჯენ სიფათში.. ყველამ დაინახოს..

კანცლერი

ვშიშობ, თქვენი უმაღლესობავ.. ვისურვებდი, რომ ...

ჰენრიკი

მე ფხიზელი გონებით ვმსეჯელობ. ჩემი არგუმენტები მოისმინე. გთხოვ, მოისმინე ჩემი არგუმენტები. უმანკოება უკვე დავკარგე. ბევრს, ბევრს ვფიქრობდი ბოლო ხანებში. და მთელი ღამე არ მეძინა! მთელი ღამე არ მეძინა! სიწმინდე, სიდიადე, ძალაუფლება, სიქველე, ზნეობა, სიყვარული, - ყველაფერი სასაცილოა, სულელური ანდა ბრძნული - ყველაფერი ადამიანისგანაა, გამოხდილი, როგორც არაყი კარტოფილიდან. როგორც არაყი, გესმის? მე ახლა სიტუაციას ვფლობ და ვაიძულებ ამ პირუტყვებს, რასაც საჭიროდ ჩავთლი, ყველაფერი გააკეთონ. და როცა მათგან საკმარის ძლევამოსილებას და სიდიადეს შევიძენ, მაშინ მე მოვაწყობ ჩემს ქორწინებას. თუ ეს კომიკური იქნება, მაშინ თვით კომიზმს ვწვდები ქეჩოში.. თუ სისულელე გამოდგება, მაშინ სისულელესაც მოხვდება სიფათში. სიბრძნესაც! და თუ ძველ, ადრინდელ ღმერთს, ექნება რამე ამის საწინააღმდეგო, მასაც კისერში ვწევდები!

კანცლერი და პოლიციის უფროსი

ასეა, თქვენო უდიდებულესობავ!

მცველები

ასეა, თქვენო უდიდებულესობავ!

ჰენრიკი

ასეა, თქვენო უდიდებულესობავ!

ყველანი ერთად

ასეა, თქვენო უდიდებულესობავ!

(შემოდის პანდულფი)

პანდულფი

არა!

ჰენრიკი

არა?

პანდულფი

არა!

ჰენრიკი

ასე იქნება, ღირსებას ვფივავ, ეპისკოპოსო.

პანდულფი

მე ვარ პანდულფი

კარდინალი რომის წმინდა ეკლესიისა,

და პირისპირ გიცხადებ,

სამარცხვინო უზურპატორო: ღმერთი არსებობს!

ხოლო ის ქორწინება, რომელსაც წმიდა ეკლესია არ დაადგენს,

ქორწილი კი არა, ღვთისგან დადგენილის დარღვევა იქნება!

ჰენრიკი

ჰა, ჰა, ჰა, პანდულფ, პანდულფ!

(*დამცინავად*)

საყვარელო პანდულფ,

ხომ ნამდვილად პანდულფი ხარ?

პანდულფი

პანდულფი გახლავართ, დიახ.

ჰენრიკი

აჰა.. და თან კარდინალიც

ბრძანდები, არა?

პანდულფი

ღვთის მსახური ვარ,

დიახ, მონა ღვთისა პანდულფი...

ჰენრიკი

ჩემო ძვირფასო პანდულფ, შემთხვევით .. მთვარი ხომ არ ხარ

მთვრალი

მთვრალი

მთვრალი შენი პანდულფ-კარდინალობით? ჰა? ძვირფასო კარდინალო,

თავბრუ ხომ არ დაგახვია

დაგახვია

დაგახვია

კარდინალობამ? კარდინალობა მგონი აგვარდნია თავში. ტვინში აგვარდნია, როგორც

შნაპსი

შნაპსი

შნაპსი.

მაგრამ ჩემი ძვირფასო პანდულფ, გატიალებამდე მთვრალი ხარ უფალი ღმერთით და რომის წმიდა ეკლესიით. ერთი ჩვეულებრივი პრიმიტიული ლოთი ხარ. სირცხვილი და თავის მოჭრა! ყველაფერი რა ნაცნობია: ჯერ ერთი ჭიქა, მერე - მეორე და წავიდაა! არ ხარ ნორმალური,პანდულფ.

ლოთი ხარ.

პანდულფი

წყეულიმც იყავ!

ჰენრიკი

რაო? ისევ ეპარები სასმელს? შენი წყევლით გინდა შეთვრე ჩემი თანდასწრებით?

ეს უკვე მეტისმეტია. უნდა შეგეხო.

(ხელით ეხება)

პანდულფი

ღმერთო...

ჰენრიკი

ვბრძანებ ამ ლოთი მღვდლის წვერცანცარას

დაპატიმრებას. მცველებო,

წაავლეთ ქეჩოში ხელი!

(მცველებს პანდულფი გაჰყავთ)

რა უხალისო პირქუში დღეა!

კანცლერი

დიახ, ღრუბლიანი დღეა ...

ჰენრიკი

მმართველი მე ვარ..

კანცლერი

დიახ, თქვენო უდიდებულესობავ.

ჰენრიკი

და ჩემი ძალაუფლებით...

კანცლერი

დიახ, თქვენო უდიდებულესობავ.

ჰენრიკი

ყველას ხელით შევეხები.

კანცლერი

დიახ, თქვენო უდიდებულესობავ.

ჰენრიკი

მე კი ვერავინ შემეხება. ... მართლა, ჩვენო საყვარელო კანცლერო

მითხარი, გეთაყვა. შემთხვევით

ცოტათი ხალხი ხომ არ დამცინის? ..

კანცლერი

ო, ო, ო!

პოლიციის უფროსი

ო, ო, ო!

ჰენრიკი

სადმე, ჩემს ზურგს უკან

და თუნდაც

თავიანთ ზურგებს უკან ხომ არ ამბობენ, რომ.. რომ.. რომ მაგალითად,

რომ ვეჭვიანობ, ჰა ჰა ჰა! არა? გავერთობოდი!

კანცლერი

ო, ო, ო!

პოლიციის უფროსი

ო,ო, ო!

ჰენრიკი

ამას იმ სულელური ინციდენტის გამო

გეკითხებით, ყვავილიო, ჰა ჰა ჰა!

ლოთის მინიშნება გახლდათ ძალზე მკაფიო

და შესაძლოა, ენის მოქავების მიზეზი მისცა, ბინძურ, უსაქმო

ყიამყრალ ადამიანებს, ჰა ჰა ჰა ჰა!

კანცლერი

მე არაფერი ვიცი!

პოლიციის უფროსი

ჩვენც არაფერი ვიცით!

ჰენრიკი

რადგან

ისე უცნაურად დააწყვილა ისინი..

შესაძლოა, რაღაც კავშირზე მიიტანონ ეჭვი... და შეიძლება

ხალხი მათ ერთმანეთს უკავშირებს... იმას ამასთან და ამას - იმასთან.

ჰა? ილაპარაკე! ამოიღე ხმა. იქნებ
ვერავინ ბედავს გარკვევით თქმას
მაგრამ ღიმილით, მინიშნებებით, ალმაცერა მზერით
საიდუმლო ჟესტებით.. ჰა, ჰა...
ყელი გამიშრა. მიშრება ყელი. ჰეი, მსახურო,
ვაშლი მომიტანე! ვაშლს შევჭამ, (კანცლერს)
ჰა? რას იტყვი?

კანცლერი

თქვენო უდიდებულესობავ,
სიმართლე გითხრათ, ყველა ისე იქცევა, როგორც საჭიროა, მაგრამ
შესაძლოა, ისეც, როგორც არაა საჭირო, ამას ზუსტად ვინ გვეტყვის,
იქნებ ენებსაც იქავებს ვინმე და მინიშნებებითაც ერთობა, იქნებ არც -
ერთადერთი ის ვიცი, რომ ბებერი ვარ, მხედველობა დამიბლაგვდა,
ცუდად ვხედავ..

ჰენრიკი

ბრმა ქათამო.

პოლიციის უფროსი

მეც გამიფუჭდა მხედველობა.

ჰენრიკი

გაჩვენებთ სეირს.... (მსახურს, რომელმაც ვაშლი მოუტანა)
სდექ! მოიცადე, კარგად შემოგხედო. მე რა ვიცი, რა კაცია,
ჩუმად შენთვის რა ბნელი განზარახვა აქვს,
ვინ იცის? იქნებ რაღაცას ხლართავს, ერთს მეორეს
უკავშირებს..
გუნებაში უკავშირებს ერთს მეორეს...
და დამცინის და მღალატობს
და.. ამას იმასთან... იმას ამასთან... მოღალატეებო.
მატყუებენ! ყველა მოღალატეა! სახე არ უმოძრავებს. მაგრამ ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ წამს, ჩემს
წინ მდგომი, თავს უფლებას აძლევს, დამცინოს, ბინძური ალუზიებით გაირთოს თავი
და მერე სიცილით გორავს...
ეს ვაშლი დანასა და ჩანგლს შორის დევს. დანა და ჩანგალი. რატომ დევს დანასა და ჩანგლს
შორის? აჰ, ჰო, ასე შეექცევიან ხოლმე ვაშლს, მსხალს თუ გარგარს... მაგრამ, რა სისულელეა

საბოლოოდ ეს ყველაფერი! ვლაჯიოს არასოდეს არაფერი ჰქონია მასთან... თითიდანაა ეს ყველაფერი გამოწოვილი.. ჰა-ჰა-ჰა... აშკარად, სისულელეა, და მაინც უნდა მეთქვა ეს... და როცა ვამბობ, თან ვაცხადებ, რომ..

კანცლერი (პოლიციის უფროსს)
რაღაც უცნაური ფიქრები
მოეძალა ბატონს ჩვენსას..

პოლიციის უფროსი
ცუდი სიზმრები სტანჯავენ, როგორც ჩანს.

ჰენრიკი (თავისთვის)
აღარ მინდა დალევა
მეტს აღარ დავლევ

კანცლერი (განზე)
ოჰ, ეს არაყი, არაყი!
ჰენრიკი (თავისთვის)
შეიძლება, ადრე ვალჯიოს მასთან
არც არაფერი აკავშირებდა, მაგრამ ახლა
როცა ყველანი ერთმანეთთან აკავშირებენ, მანაც
დაიწყო მასთან თავის დაკავშირება.. დაკავშირებისას
კი ხელითაც ეხება..

კანცლერი
ეჰ, ეჰ, ეჰ.. არაყი, არაყი...
ჰენრიკი (თავისთვის)
მესმის, რასაც ვამბობ,
რასაც ეს ამბობს, ისიც მესმის. კარგად ვიცი,
რომ რასაც ვამბობთ, წმინდა წყლის კომედიაა,
მაგრამ მაინც უნდა ვილაპარაკოთ...
კანცლერი *(მხიარულად, ხმამაღლა)*
დათვრა ეს!
ჰენრიკი (კანცლერს)

დინგი დააყენე! (პოლიციის უფროსს სახეში უთავაზებს)

პოლიციის უფროსი

მე რატომ?!!

ჰენრიკი

მიზეზის გამოცნობა რომ გავართულო! ახლა

ბრუტალური ქცევა მესაჭიროება - და მის შედეგს

შენს სახეზე დავინახავ! აბა, კანცლერისთვის რომ მელეწა,

ეგ სამართლიანი საქციელი იქნებოდა. მე კი ბრუტალურ საქციელი მჭირდება!

დავამყარებ მე აქ წესრიგს, მაცადეთ! (ყვირილი ისმის) ახლა რაღა ხდება?

დედა (კულისებიდან)

გამიშვით.. შემიშვით-მეთქი!

(სცენაზე გამორბის)

ჰენრიშ, ჰენდრიშეკ, მამა, მამა, მამა!

ჰენრიკი

შეიშალე?

დედა

ჰენდრიშეკ, მამაშენი ყვრის, ბრდღვინავს, ანგრევს ყველაფერს

და იფურთხება, ადამიანს აღარ ჰგავს, დახტის და ბდღვინავს.

ჰენრიკი

ესე იგი, გაგიჟებულა!

დედა (დრამატულად, სოფლურად)

გაქცევა სცადა, თავის დაძვრენა, იქით

ე, ე, მინდორში, ტყეებისკენ !

დაიჭირეს

და ახლა ურტყამენ და თან ეცეკვებიან!

ჰენდრიშეკ, მამაშენი ცეკვავს!

ჰენრიკი

მერე რა?

დედა

ოოო, დანა უჭირავს, დანა, დანა!

ჰენრიკი

ისე მიჭირავს..

დედა (გაოგნებული)

უფალო იესო, ჰენდრიკ!

დედაშენი ვარ!!

ჰენრიკი

რასაკვირველია - დედაჩემი ხარ - პირიქით, კარგადაც კი გამოდის..(მასთან მიდის) მინდა, მოგეხვიო, გაკოცო, დედა.

(ეხვევა)

დედა

რას აკეთებ, ჰენრიკ?

ჰენრიკი

გეხუტები.

დედა

ჯობია, შემეშვა..

უცნაურია შენი ხვევნა-კოცნა.. არა, არა. თავი დამანებე.

კანცლერი

უცნაურია, უცნაური...

პოლიციის უფროსი

უცნაურია, არასასიამოვნოა ...

(შემორბის მამა, მას მცველები მოჰყვებიან ფეხდაფეხ)

მამა

მიშველეთ, მცემენ!

დედა

ყაჩაღებო!

მამა (ხმადაბლა)

მცემეს ...

(უფრო ხმამაღლა) მცემეს...

(ყვირის) მე, მე მცემეს!!

დედა

მოდი ჩემთან, ამან მეც მცემა.

მამა (ყვირის)

რაო? რაო? შენ გცემა?

დედა

ჩუმად, ჩუმად..

მამა (ხმას დაუწევს)

დავწყვევლი...

დედა

ჩუ, ჩუ.. ჩუმად..

მამა

როგორ? როგორ თქვი?

გცემა?

ჰენრიკი

კარგია, რომ დანა მაქვს..

ყველანი ერთად

ღმერთო!

ჰენრიკი

არა, ეს რა აზრი მოგსვლიათ თავში! არავის მოკვლა არ მიფიქრია,

ეს დანა შეგრძნებებს მიმძაფრებს მხოლოდ!

არა, არავის მოვკლავ...

უბრალოდ შევეხები. . .

(მამას და დედას შეეხება)

საშინელი, მაწყევარი წყვილი!

მამა და დედა! სიწმინდე!

მე კი ავიღებ და შევეხები.

შეხედეთ: ამათ ისე ვეხები, თითქოს მათში ვიჭრები.

კანცლერი

არაფერი მსგავსი არ უნახავთ

აქამდე ჩემს ბებერ თვალებს..

პოლიციის უფროსი

არაფერი მსგავსი ცხოვრებაში

წარმოდგენითაც არ წარმომეგინა!

მცველი

სამარცხვინოა !

მამა

მოკვდი, გაგძვრეს სული!

დედა

ნეტავ დედაშენს გავარდნოდი ხელიდან!

მამა

ნეტავ მამაშენს დაეხრჩე!

დედა

საკუთარი შვილი არ გეღირსოს!

მამა

დაე საკუთარმა შვილებმა გაგადგონ სახლიდან!

დედა

დაე, საკუთარმა შვილებმა დაგახრჩონ!

მამა

დაე, საკუთარმა შვილებმა დაგაბრმავონ!

ჰენრიკი

მომაშორეთ ეს ლოთები, დედაჩემით და მამაჩემით მთვრალები!

მე ფხიზელი ვარ!

(მცველები მშობლებს უახლოვდებიან)

მამა

ჰენდრიშ!...

ჰენრიკი

რა იყო?

მამა

ჰენდრიშ...

ჰენდრიშ, ჰენდრიშ, მესმის, რომ მეფობა წამართვი, მაგრამ შენი მამა ხომ ვარ..

ღვთის გულისათვის, მამობას ნუ წამართმევ, რადგან მიწა განიხვნება, საზარელი

ხმაურით დაიშლება ფეხქვეშ....

ჰენრიკი

მამობაც ისეთივე ძალაუფლებას გულისხმობს, როგორსაც მეფობა. ადამიანივით, კერძო პირივით

ლაპარაკი არ შეგიძლია? სულ რაღაც თანამდებობები გინდა, რომ გქონდეს? მეძინება. გაიყვანეთ.

მამა

ამ სიტყვები

უხსნი კარგს საზარელ უბედურებას

რომელიც ამოიფრქვევა წიაღიდან.. იმის.. ღმერთო..

დედა

წყალობა მოიღე ...

კანცლერი

ამათზე, ცოდვილებზე ... (ჯიბიდან გაზეთს ამოიღებს)

ომი დაიწყო!

ჰენრიკი

რა? რა ომი?

კანცლერი

ამ წუთას მივიღე გაზეთი.

(სიჩუმეა)

(შორს ქვემეხების გრუხუნი ისმის)

ჰენრიკი

მართლაც: ისვრიან.

მამა

თითქოს ტყის უკნიდან ისმის ...

(*იწყება შფოთვა*)

დედა

ჯობია, ავიკრიფოთ აქედან.

კანცლერი

თუ საჭირო გახდა, სარდაფში ჩავალთ.

მამა

არტილერია არაფერი არაა. აირებია ყველაზე საშინელი რამე. ყველაფერი უნდა მოვიმარაგოთ. ...

(დედას) იყიდე, რასაც იშოვი, მალე მაღაზიები დაიკეტება.

დედა

სადღაც აირწინაღები მქონდა.. მაგრამ სად? სად შევჩურთე ნიღბები.. დამავიწყდა.. რომელ კარადაში..

(გასროლის ხმა)

პოლიციის უფროსი

სროლა ახლოვდება.

კანცლერი

რამ ბრძანებებს გასცემ, ბატონო?

ჰენრიკი

არანაირი ბრძანებები არ იქნება, რადგან ვიცი, რომ ეს ნამდვილი არ არის!

ნამდვილი არ არის, მაგრამ თან სიმართლეა!

(ყურს უგდებს ხმებს)

ოჰო, რას იბრძვიან!

მამა

ჩვენ რა ბედი გვეწევა? ჩვენი საქმე როგორ იქნება? უბედურებები არ აგვცდება, ხანძრები, გაუპატიურება, ტანჯვა, წამება და თავზე ლაფის დასხმა..

ჰენრიკი

ნაბახუსევის ამბავია! რაღაც ლოთურ ფანტაზიებში ვართ!

არყის ოხშივარი მეცა თოფივით ახლა ამათგან! გაყარეთ აქედან.

მამა (მთვრალია)

(ასლოკინებს)... მთვრალი კი ვაარ.. .. (ასლოკინებს) .. კაი, ბატონო, იყოს ასე

ჩემი შვილი მეუბნება და.. ძნელია, ძნელი.. მაგრამ

თუ მთვრალი ვარ, შენთან ერთად ვიქნები,

სანამ ციხეში მიკრავ თავს, ერთს კი დალევდა კაცი

.. მერე რაღაცას გეტყვი! ისეთს რასმე გიჩურჩულებ ყურში,

პირდაპირ ტვინში ამოგარყამს..

დედა (მთვრალი)

ტრა ლა ლა ...

მამა

აღარ შეირთო ის გოგო!

სიმართლეს გეუბნებოდა ბებერი ლოთი. ვლაჯიოსთან აქვს

მაგას ადრე ნამამაძაღლარი.

ჰენრიკი

შეუძლებელია!

მამა

გეუბნები!

არ მინდოდა შენთვის მაგის თქმა, იმიტომ, რომ ცოტა მრცხვენოდა, მაგრამ ახლა რა.. დაგვევიან აგერ ეშმაკები და.. ზუსტად იმ დღეს, შენზე რომ დაინიშნა, ბუჩქებში წავადექი თავზე ორივეს, სულ ფეხებით შევდექი, წიხლები ვურტყი სულ.

ჰენრიკი

შეუძლებელია!

მაგრამ თან შესაძლებელიც!

დედა

კი, მეც წავაწყდი

დღისით, მზისით, ჭასთან ვნახე,

ბიჭი ზედ ეჯდა, ეს კიდევ ეკვროდა,

ეკვროდა, ჰენრიკ! არ შეიერთო ეგ!

(სროლა)

ჰენრიკი

ცეცხლი გახსნეს ისევ.

მამა (ფანჯრიდან იყურება)

ჯარს ვხედავ.

კანცლერი

ჯარია.

დედა

სულ პატარა ბიჭებია, უმწიფრები.

მამა

პატარები არიან, მაგრამ ხელები უკვე სისხლში გაისვარეს.

დედა

ჰენრიკ, არ შეირთო ეგ ცოლად !

აქ ბიჭებს უღიმოდა სულ,

სულ პატარა ბიჭებთან იჭერდა საქმეს !

მამა

ასაკით მასზე უმცროსებთან მამაძაღლობდა!

დედა

ხან ბუჩქებში

ხან ხის ქვეშ, ან კიდევ

მამა

ან სარდაფებში!

დედა

ან სხვენში!

მამა

შეიძლება, საჯინიბოშიც!

დედა

საბძელში და

საკარეტოშიც!

მამა

საცვლით, შეიძლება,

და შეიძლება, უსაცვლებოდაც! (ფანჯრიდან იყურება). ვაიმე, ვაი, როგორ ახრჩობს,

ტანჯავს, ახლა ხიშტი ჩაარჭო!

დედა

დაიწყო ხანძრები, ნგრევა!

მამა

ფანჯრებს რამე ჩამოვაფაროთ, თორემ ან ჩვენ დაგვინახავენ ანდა

სინათლეს, აქ ამოვლენ და ჩვენ მოგვდგებიან.

ჰენრიკი

საცოდავო, შენივ მანკიერებით გაბეზრებულო ბებერო

და შენც, დედაბერო, არყით აყროლებულო, ..

დიდხანს ვითმენდი ძლიერ

აუტანელ და სამარცხვინო ლოთობას თქვენსას!

მაგრამ დადგა საათი! ახლა შეიცნობთ ჩემს რისხვას!

შორს ჩემგან! მომაშორეთ! დმტოვეთ მარტო!

ბორკილები დაადეთ ორივეს!

(მცველებს დედა და მამა გაჰყავთ)

მამა

შეწყალებას ვითხოვთ!

ჰენრიკი

მე თვითონ მოვაწყობ ჩემს ქორწინებას! ცოლად მოვიყვან მას, ამ ქორწილს ჩემი ხელით მივცემ დასტურს! ეს ყველაფერი ლოთური, საძაგელი სისულელეა! მარაზმი! იდიოტიზმი! დაუძახეთ ჩემს საცოლეს! მასთან ერთად მსურს განვიხილო საზიეიმო დღის წვრილ-წვრილი საქმეები, მაგრამ...

კანცლერი

მაგრამ...

ჰენრიკი

მაგრამ...

კანცლერი

მაგრამ...

ჰენრიკი

ოღონდ თან ჩემს კარისკაცს მიხმეთ, აი, იმას... ვლად.. ვალდისლავს

დიახ... ვლადისლავს, მეფის კარის დიდებულს... უნდა

დაელაპარაკო, ერთსაც და მეორესაც.. (მცველები *გადიან*)

... ახლა კი ვნახოთ, ხდება თუ არა მათ შორის რამე.. და თუ ხდება, მაშინ..

(*შემოდის ვლაჯიო*)

... ამასაც მოვუვლით. (*ვლაჯიოს*) ა, ვლაჯიო, აბა, როგორ ხარ?

ვლაჯიო

ვარ, არაუშავს რა.

ჰენრიკი

არაუშავს რა., არაუშავს რა. და მეც არამიშავს. ვშიშობ, რომ

უსიამოვნო ავანტიურაში გავყავით თავი...

ვლაჯიო

ჩემთვის სულერთია. ეგ მირჩევნია, ვიდრე ახლა ჯარში ყოფნა.

ჰენრიკი

რომელი საათია?

ვლაჯიო

ექვსის ნახევარი.

ჰენრიკი

ეგ საათი საიდან გაქვს?

ვლაჯიო

ანტვერპენში ვიყიდე.

ჰენრიკი

იქ რას ამბობს ხალხი? როგორც ჩანს, ომი დაიწყო, ხომ?

ვლაჯიო

ეგრე ჩანს.

ჰენრიკი

მაგრამ ზუსტად არ იცი.

ვლაჯიო

განა შეიძლება, რამე ზუსტად იცოდე? იცი, ჰენრიკ, მეჩვენება, რომ აქ არავის ნდობა არ შეიძლება.. ყველაფერი ისეთი ამოთხვრილია ტყუილში, სიყალბეში..

ჰენრიკი

ჰო, კაცმა რომ თქვა, ყველაფერი არასერიოზულია.. აქ ყველა თავისი თავის როლს თამაშობს, იტყუებიან, რომ სიმართლე გითხრან.. სასაცილოც კია.. მაგრამ უკვე მივეჩვიე. შენ.. შენც ხომ არ ხარ, შემთხვევით, ,,გაზის" ზემოქმედების ქვეს?

ვლაჯიო

მე?

ჰენრიკი

აქ ყველა რაღაცით თვრება. ვიფიქრე,იქნებ შენც-მეთქი.

ვლაჯიო

არა.

ჰენრიკი

მაგრამ ასეთი სევდიანი რატომ ხარ?

ვლაჯიო

მე? საერთოდ არ ვარ სევდიანი. პირიქით.

ჰენრიკი (*ნაღვლიანად*)

თითქოს არ ხარ, მაგრამ ხარ.. შენი ნაღველი ბინდს შეერია..

რომელი ხარ, გამოდი, გამოდი!

(შემოდის მანია)

აბა, რა ხდება?

მანია

არაფერი.

ჰენრიკი

კარგად გრძნობ თავს?

მანია

კარგად.

ჰენრიკი

რაღაც უნდა გითხრათ.. ორივეს.. წარმოიდგინეთ, რომ მას შემდეგ, რაც იმ ლოთმა იმ ყვავილით დაგაკავშირათ, ჰა, ჰა, ჰა, რაღაც უცნაური ფიგურის მოხაზვით, თავიდან ვერ ვიშორებ ეჭვს, რომ ჰა, ჰა, ჰა, თქვენ ორს შორის რაღაც ხდება... ჰა, ჰა, ჰა!

ჰა, ჰა, ჰა!

ჰა, ჰა, ჰა!

რა ვიცი, რა ვიცი!

ვლაჯიო

ეს რას ნიშნავს? ეჭვიანობ?

ჰენრიკი

მე მელაპარაკები, მაგრამ ვის გასაგონად ამბობ?

ვლაჯიო

ვერ გავიგე.

ჰენრიკი

თითქოს მარტო დგახარ აქ - მაგრამ სინამდვილეში ვისთან ერთად დგახარ?

(*მანიას*)

ამას რატომ არ უყურებ?

მანია

რატომ ვუყურო?

ჰენრიკი

არ უნდა უყურო, მაგრამ არც უყურებ ..

მანია (*დრამატულად/თეატრალურად*)

ჰენრიკ, მე მიყვარხარ!

ჰენრიკი

ჰო, გიყვარვარ, ეს კი ჩემი მეგობარია. მე გიყვარვარ და წესიერი გოგონა ხარ.. მაგრამ რატომ მსახურობდი?

(*ვლაჯიოს*) შენ რატომ მსახურობდი?

ვლაჯიო

ეგ როგორ გავიგო?

ჰენრიკი

საშინელებას არ ემსახურებოდი? შენს სინდისზე მეტი მკვლელობაა, ვიდრე ჩვეულბრივი მკვლელისაზე. წესიერი, უმანკო, უდანაშაულო ადამიანები ხართ, კარგი ოჯახების ჩამომავლები.. მაგრამ რას ემსახურებით? ამიტომ ახლა

შენ ამას ემსახურე, შენ კი - ამას!

მანია (დრამატულად)

ო, ნუ მტანჯავ!

ჰენრიკი

შენც და ამასაც გიყვარვართ.. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე ცალ-ცალკე ხართ.. ერთად კი რაღაც სხვად იქცევით, ვიდრე ცალ-ცალკე ხართ!

ვლაჯიო

ჩვენ, ორნი ერთად, არაფერად არ ვიქცევით და მორჩი ტვინის ჭყლეტვას, შენს ტვინსაც შეეშვი და ჩვენც.

ჰენრიკი

ჩვენო! ჩვენო! რატომ ამბობ "ჩვენ"? და რა საოცრებები აღარ ხდება ამ ქვეყნიერებაზე! წარმოიდგინე: როგორც კი ლოთმა ის ყვავილი მოისროლა, მაშინვე გაირკვა, რომ ერთად იყავით... და ეს თქვენც უნდა გესმოდეთ... ახლა კი ყველა დაუსრულებლად გაკავშირებთ თქვენ ორს, მე კი... ჩემს... ფიქრებში, რა თქმა უნდა... და თქვენი კავშირი ამით უფრო მყარდება! ოჰ, იმ კაცმა სინამდვილეში რაღაც გაუგონარი ხერხით შენი ქორწინება მოაწყო... მღვდელივით, ღვთისმსახურივით! რომელიღაც უცნობი რიტუალის უღმერთო მღვდელივით... ფსიქოლოგიური ქორწინება ჩაატარა!

ვლაჯიო

რა გემართება? აგზნებული ხარ.

ჰენრიკი

ხარო? მე უკვე იმაში ეჭვი მეპარება, რომ ვარ, ვარსებობ. აქამდე მეჩვენებოდა, რომ ვგრძნობ, ვაზროვნებ, რაღაც გადაწყვეტილებებს ვიღებ.. მაგრამ სინამდვილეში არანაირი გადაწყვეტილებები ჩემში არ იბადება, ყველაფერი თქვენ ორს შორის ხდება .. თქვენში წყდება.. ჩვენს შორის იწყებს მოქმედებას რაღაც ძალები, რღაც ჯადოსნობა, შთაგონება და ღვთაებები, რომლებიც ისე გვათამაშებენ, როგორც ნაფოტს.. ჩვენ კი ტალღას მივყვებით ..

ვლაჯიო

ეგ როგორ?

ჰენრიკი

ნახე, მაგალითად, მე რა დამემართა. იმ ლოთმა გაგაერთიანათ, აგამაღლათ, ერთიმეორეზე გაგამრავლათ ან თუნდაც შეგაჯამათ - და რაღაც ისეთი შექმნა თქვენგან, რაც მე ძალიან ამაღელვებელი მეჩვენება.. ისეთი მათრობელმა, რომ (მუქარით) ვერ მოვისვენებ, სანამ მასზე არ დავქორწინდები. კარგად დაიხსომე ეს.

ვლაჯიო

მე შენ ამაში ხელს არ შეგიშლი.

ჰენრიკი

რატომ მიმიყვანა ჩემმა არსმა ამ შედეგამდე? ასეთი რთული... რთული მოგზაურობის შემდეგ ამ ნავსაყუდელში როგორ შევედი? როგორ ავხსნათ ეს? ან იქნებ ჩემში შენდამი რაიმე უცნაური სწრაფვაა – საიდუმლო, კანონგარეშე, ანომალიური და ამორალური..

ვლაჯიო

დიდ მნიშვნელობას მანიჭებ..

ჰენრიკი

იქნებ ყოველთვის ვეჭვიანობდი მასზე შენ გამო.. და მეტოქედ წარმოგიდგინე?

ვლაჯიო

არც ეგაა დიდი არაფერი...-

ჰენრიკი

თუმცა, ვინ იცის, შეუძლია კი მამაკაცს... შეუძლია კაცს, პრინციპში, სხვა მამაკაცის მონაწილეობის გარეშე შეუყვარდეს ქალი? მე ვიტყოდი, რომ უშუამავლოდ? იქნებ მამაკაცი საერთოდ ვერ აღიქვამს ქალს, თუ არა სხვა მამაკაცის მეშვეობით. ან იქნებ სიყვარულის ახალი ფორმაა ეს? ადრე ორი სული კმაროდა, ახლა კი სამია საჭირო?

ვლაჯიო

მე მგონი, აჭარბებ.

ჰენრიკი

იქნებ ეს ყველაფერი გარედანაა თავს მოხვეული და სულაც არ განვიცდი ამ ყველაფერ ასე ღრმად - მხოლოდ ვალდებულება მაქვს, თავი ისე დავიჭირო, თითქოს მაქვს ეს გრძნობები. ამდენი ხვეული.. დამაბნეველი გზებისაგან, რომლებზეც სიარული მიწევს, შეუსვენებლივ, სულის მოუთქმელად.. თავბრუ მეხვევა .. რა მძიმეა ეს კარიბჭე. როგორ მაწვება ჭერი. ეს საოცარი, ამოუცნობა ზეცა..

აჰ, იმ ლოთმა გამაბრუა და დამათრო მართლაც. მისი ღვთისმსახურება იყო ნამდვილი ღვთისმსახურება. თავისი თითით.. თავისი თითით.. ღვთაებებად გადაგაქციათ, რომელთა წინაშე მუხლი უნდა მოვიყარო და მსხვერპლი ვწირო, როგორც სიზმარში.

ჯანდაბას ეს ყველაფერი, არა!

მე ვარ აქ მეფე! მე განვაგებ!

მე განვაგებ და განგებაც ჩემი იქნება! ო, ჰენრიკ, ჰენრიკ, ჰენრიკ! მე, მარტო მე!

თავად მოვაწყობ ჩემს ქორწინებას! ჰენრიკ!

სხვას ნუ გადასცემ განგებას ხელში, თავად განაგე!

ჰენრიკ, ღმერთები შენი დაამხე, ჯადოსნობა მათი განაქარვე და შენს ტახტზე დაჯექ!

რა უცნაურად ჟღერდა ეს ყველაფერი. ჰაჰ! ნეტავი ასე ხელოვნურად არ ვმეტყველებდე ხოლმე.
აჰა, ეს აქ ჩვენთან დგას და ისმენს ამას..

მანია (დრამატულად}
ან მე რად მტანჯავ ან თავს რატომ იტანჯავ?
ჰენრიკი
ეს თავხედი მსახიობი აქ საიდან გაჩნდა! ხანდახან ისე მინდა, ერთი კარგად.. (ჟესტით დარტყმას ასახიერებს)
მანია (*ვულგარულად*)
აბა, ახლა ეგეთებს არ ვართ!
ჰენრიკი
ჰოდა, გაიწიე. გადი.
  პირისპირ მინდა ამასთან საუბარი.
ძალიან შორს ნუ წახვალ, თუმცა.
უბრძანე მსახურს, ჩაი მოგართვას.

(*მანია გადის)*

აჰა, ახლა კი შევუდგეთ. სიმართლე ვთქვა,
ჯერ არ ვიცი, ეს საუბარი როგორ ჩაივლის.
რა სიჩუმეა..
აქ ყველა დუმს, მოლოდინშია ყველა რაღაცის.
ჩემს გადაწყვეტილებას მოელის ყველა.
დიდი ხანია, ასეთი შფოთვა არ შემყრია.
(*ვლაჯიოს*)
აბა, ვლაჯიო, როგორ ხარ.
ვლაჯიო
  კარგად.
ჰენრიკი
უნდა გელაპარაკო. დაჯექი.

ვლაჯიო
  კეთილი.
ჰენრიკი

რაღაც უსიამოვნო სათქმელი მაქვს, შესაძლოა, ყურთასმენისთვის უჩვეულო , არანორმალურიც კი - იმ გაგებით, რომ ეს სათქმელი ყოველთვის მისხლეტბა,, ჩვეული საუბრების მდინარებას გაურბის.

ვლაჯიო

რაში მაინტერესებს, არის თუ არა ნორმალური?

სანამ და რაკი ნორმალური ვარ!

ჰენრიკი

საქმე ისაა, რომ თუ ჩვეულებრივად გეტყვი,

მაშინ ჩემი სიტყვები ვერ დაგარწმუნებს. ყველაფერი დამოკიდებულია

ჩვენი საუბრის ფორმაზე. ამიტომ ყველა აზრს ჩახუჭუჭებულად

გამოვთქვამ.

და შენც გთხოვ, მიპასუხო არა ისე, როგორც ყოველთვის, არამედ ისე, როგორც მე გეტყვი. აქ არავინ შემოვა. ჩავკეტოთ კარი.

ვლაჯიო

ჩემთვის სულერთია.

ჰენრიკი

ვიცი. იმდენი... საოცარი რამ გაგიკეთებია, ალბათ, შენი ასაკის მიუხედავად.. მაგრამ გარწმუნებ, ჩემს ახირებაზე არ იქნება საუბარი, სერიოზული საკითხია. როგორც, ძვირფასო ვლაჯიო, გეცოდინება, მე გადავაყენე მამაჩემი, მეფე - და მეფე თავად გავხდი, დღეს კი გადავწყვიტე, ჩემს საცოლეზე, თავადის ქალ მარიაზე ვიქორწინო. ჰა, თქვი ახლა: "დიახ, ვიცი ეს ყველაფერი."

ვლაჯიო

დიახ, ვიცი ეს ყველაფერი.

ჰენრიკი

თუმცა, მასზე ყველაზე კანონიერ დაქორწინებასაც კი რა აზრი აქვს, თუ მთელი სამეფო კარი მოგწერთ შენ და მას, რაღაც ინტიმურ კავშირს.. ... და თუ მე თვითონ - მე თვითონაც დავიჯერებ ამას - დასაბუთებულად, ან თითქმის უსაფუძვლოდ - რომ თქვენ... თქვი ,,ჰო“.

ვლაჯიო

თუ შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, შემიძლია ვთქვა ,,ჰო”.

ჰენრიკი

არა, არა, ეს ,,კი” წარმოთქვი და კომენტარი არ გვინდა. მართლა არავინ გვისმენს. მაგრამ ჩვენ ხომ გვემის საკუთარი სიტყვები. თქვი ,,ჰო”.

ვლაჯიო

ჰო.

ჰენრიკი

ბუნებრივია, ჩემთვის ადვილი იქნებოდა... შენი ჩამოშორება... შენი დაპატიმრება, ისე, როგორც ლოთს მოვექეცი. შენი გაქრობაც შემეძლო, ვთქვათ, შენი მოკვლა, მაგრამ ასეც რომ მოვიქცე, არაფერი შეიცვლება, რადგან... რადგან ყოველთვის ეჭვი მქონდა, ვგრძნობდი, ვიცოდი, რომ სინამდვილეში ის მე კი არა, შენ გეკუთვის. თქვი ,,ჰო" .

ვლაჯიო

ჰო.

ჰენრიკი

ეს ფარდები სრულიად აუტანელია. ვერ გამიგია, რატომაა ეს სასახლე ასეთი მდარე გემოვნებით მოწყობილი და სრულიად მოუვლელი. ამდენი მსახური მიდი-მოდის, მაგრამ ასეთი უსუფთაობაა. უნდა მივხედო აქაურობას. არაფერი მითხრა! ჯერ მე უნდა ვილაპარკო.
ჩემზე რას ფიქრობ?

ვლაჯიო

ვფიქრობ, რომ ავად ხარ.

ჰენრიკი

რაღაცას აგიხსნი, ისე, რამდენადაც შესაძლებელია საერთოდ ამის ახსნა. რაც ამ ყველაფერში აღმოვჩნდი ჩათრეული, გამუდმებით ორ პოლუსს შორის ვარ – პასუხისმგებლობასა და უპასუხისმგებლობას, სიმართლესა და ტყუილს შორის. ერთი მხრივ, ვიცი, რომ რაც აქ ხდება, უაზრობაა, უპასუხისმგებლობა, ხელოვნური, უმნიშვნელო... მეორე მხრივ, აქაურობას უცნაურად სერიოზულად ვეკიდები და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საბოლოოდ ყველაფერზე პასუხისმგებელი მე ვარ.

ვერ ველევი ამ რაღაც პომპეზურ ფრაზებს, რომლებიც, თუმცაღა, უფრო ბუნებრივი მეჩვენება, ვიდრე უბრალოება.

ვიცი, რომ სინამდვილეში მეფე არ ვარ.

მაგრამ თავს მეფედ ვგრძნობ.

ყოველ წუთს და წამს ბავშვივით ვერთობი მთელი ეს დრო. თუმცა, მესმის რომ ეს გართობა სულაც არ არის ისეთი უმანკო, როგორიც შეიძლება ჩანდეს. ისეთი შეგრძნება მაქვს, როდესაც რაღაცას ვაბაძავ, სინამდვილეში სწორედ ამას ვასხამ ხორცს, თითქოს ყოველი სიტყვით და საქციელით რაღაცას ვიგონებ, ვქმნი რაღაცას...რაღაც ისეთს, რაც ჩემზე ძლიერია. ამაზე რას ფიქრობ?

ვლაჯიო

რა ბუნდოვანია ეს ყველაფერი.

ჰენრიკი

ჰო, მაგრამ ზოგჯერ თავად იქცევი ისე, თითქოს რაღაც იცი ამის შესახებ; სხვებიც ასევე.. ... ჰოდა, რა იცით? მეტად თუ ნაკლებად, მიცნობთ?

არა, გიჟი არ ვარ. საღად მოაზროვნე, თანამედროვე ადამიანი ვარ. რატომ მინდა მასზე დაქორწინება? იმიტომ, რომ მინდა მე მყავდეს - ისეთი, როგორიც ადრე იყო - და ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ თუ დაუქორწინებლად გახდება ჩემი, ჩემი ყოფილი საცოლე კი არ იქნება, არამედ შელნაძღული ქალი. .. მინდა, რომ ეს ქორწინება, რომელსაც ჩემ თავს და მას ვუწყობ, მართლაც წმინდა ქორწინება იყოს. ნუთუ ეს იდეა ასეთი ფანტასტიკურია და ასეთი გიჟური? ნუთუ მართლა ვერ შევბედავ ამ წმინდა ქმედებას? რა ხდება, ბოლოს და ბოლოს? გეტყვი რაც - საქმე სხვა ადამიანებშია. თუ ეს სხვები აღიარებენ ხსენებული აქტის სიწმინდეს, მაშინ აქტი წმინდა იქნება - წმინდა იქნება მათთვის. თუ ჩემს დედოფალს წმინდა და ღირსებით სავსე ქალად აღიარებენ, მაშინ იგი მათთვისაც დედოფალი გახდება. და თუ მათთვის გახდება, ჩემთვისაც ასეთი იქნება.

ვლაჯიო

ფხიზლად აზროვნებ, მაგრამ უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებ.

ჰენრიკი

ერთი წამი. მე იმის ძალა არ შემწევს, მისი წარსული წავშალო.. ის დრო... როდესაც დუქანში.. ლოთებთან მეძავობდა. მაგრამ თუ ყველას, მათ შორის - თავსაც ვაიძულებ, ეს წმინდა ქორწინება აღიაროს, განწმინდოს ჩემი სიყვარული და მისი ღირსება, ეს გახდება საწყისი ღირებულება. იმიტომ რომ ყველაფერი ადამიანებს შორის წყდება! ყველაფერი ადამიანებზეა დამოკიდებული!

ახლა კი მისმინე, უბრალოდ ყურადღებით: მოგეხსენება, ერთ წუთში დავიწყებ ამ აქტის აღსრულებას... საამისოდ ძალა მჭირდება

შენ კი ძალას მართმევ..

ვლაჯიო

აჰა.

ჰენრიკი

აგიხსნი ჩემს სამოქმედო გეგმას. მარტივია და მოკლე. ყველას სასახლეში, მეჯლისზე ვუხმობ. ამ მეჯლისზე მე და ის - მზერით, ღიმილით, ალერსიანი მოყრობით და ა.შ. სიყვარულს შევმქნით - შევქმნით ჩვენს ორს შორის სიყვარულს, სიწმინდეს და ერთგულებას... რაც ადრე იყო ჩვენს შორის. თან ყაჩაღების ამ ბანდას ვაიძულებ, თაყვანისცემის გამოვლინებებით ღვთაებრიობა მომანიჭოს და მერე შესანიშნავად მოვიწყობ ქორწილს, რომელიც ყველაფერს გაამართლებს და

განწმენდს... ცუდი რა არის ამაში? არაფერი. არაფერი. არაფერი. მაგრამ როგორც გესმის, ჯერ ის უნდა დავძლიო, რაც თქვენ ორს შორის ყალიბდება... რაც ძალას მართმევს..
მე კი ძალა მჭირდება.
შენ მართმევ ძალას
ამიტომ ახლა გეტყვი იმას,
რის გაგონებასაც არ ელი:
თავის მოკვლა მოგიწევს
მხოლოდ იმიტომ, რომ
ბრძანებაა ჩემი ასეთი
ასეთია ჩემი სურვილი..

ვლაჯიო
საოცარი წინადადებაა!
ჰენრიკი
ვიცი, რომ ცოტა.. სულელურიაა. გგონია, მე არ მრცხვენია? საშინლად ყალბია ეს ყველაფერი.

მაგრამ ამას ისე ვამბობ, სასხვათაშორსიოდ.. მხოლოდ საცდელად ... მაინტერესებს როგორ ჟღერს, ხვდები?
ეს ყველაფერი, თავისთავად, მონაგონია,
ძნელია ვინმემ ეს დაიჯეროს.
რაც მე მინდა, მხოლოდ საკუთარი ხმის მოსმენა. თუმცა ისიც მინდა გავიგო, როგორ გაჟღერებს შენი პასუხი. ამიტომ, გთხოვ: დახარე თავი, ოდნავ მოხარეთ ხელ-ფეხი, ოდნავ მოიკუნტო და თქვა: „თუ შენ ასე გსურს, ჰენრიკ, გთხოვ, ინებე, სიამოვნებით. “.

ვლაჯიო
მსახიობი არ ვარ.
ჰენრიკი
წარმოიდგინე, რომ ლექსს იზეპირებ.
ვლაჯიო
არ ვაპირებ არაფრის დაზეპირებას.
ჰენრიკი
წარმოიდგინე, რომ სასულიერო პირი ხარ და რიტუალურ ტექსტს იმეორებ.
ვლაჯიო
არ ვაპირებ წარმოდგენას.

ჰენრიკი

არ გიფიქრია, რომ ათასი წლის შემდეგ შეიძლება ადამიანებმა სულ სხვანაირად ისაუბრონ, ვიდრე ჩვენს დროში?

ვლაჯიო

ძალიან შესაძლებელია.

ჰენრიკი

და რომ მათი საუბრები ჩვენსაზე განუზომლად შინაარსიანი და მდიდარი იქნება? ბევრი ისეთი მელოდია არესებობს, რომლებიც ჩვენი დროის რეპერტუარში არ შედის. რა დაგიშავდება, საცდელად რომ წარმოთქვა ეს სიტყვები? და თავიც დახარო?

ვლაჯიო

შენ რას შეიძენ იმით, რომ რაღაცას გავიმეორებ/ სიტყვები ფაქტებს არ წარმოშობს.

ჰენრიკი

რა თქმა უნდა არა. არა, არა, არ იფიქრო, რომ მე მჯეროდეს მაგიური გამეორებების. მე თანამედროვე გონება მაქვს. მაგრამ - რას კარგავ იმის თქმით, რაც გთხოვე, და მერე დაკვირვებით, როგორ იმოქმედა შენზე წარმოთქმულმა? მინდა გასინჯო ეს სათქმელი, შენს ტუჩებზე გამოსცადო.. ... ნახო, როგორია... მეცნიერული დაკვირვებაც კი იქნება გარკვეულწილად. სიტყვები ჩვენში გარკვეულ ფსიქიკურ მდგომარეობას ქმნიან... გვაყალიბებენ. რეალობას გვიქმნიან. თუ რამე ისეთს იტყვი... უცნაურს... მაშინ მე კიდევ უფრო უცნაურს გეტყვი და ჰო, ურთიერთდახმარებით, მე და შენ შორს წავალთ... კარგი, კარგი, თავადაც ხედავ, არც ისე რთულია ეს ან, ასეთადაც რომ ჩანდეს, აბსურდული.ერთად ყველაფერს შევძლებთ.და მერე, რაში, გაინტერესებს, არის თუ არა რაღაც არანორმალური, როცა და რაკი თავად ნორმალური ხარ!

ვლაჯიო

ბოლოს და ბოლოს, თუ შენ ასე გჭირდება..

ჰენრიკი

მოიცა, მოიცა, აქ დადექი, ჩემს გვერდით. არავინ ხედავს, ხო? გასაღების ჭუჭრუტანიდანაც არ ჩანს. ეს ყველაფერი ჩვენს შორის ხდება. ფუჰ, რა სიჩუმეა.

  თითქოს ცუდს არაფერს ვაკეთებთ, მაგრამ ადამიანი თავს მაინც უხერხულად გრძნობს. დაჯექი. არა, ჯობია, აქ იდგე, ამ სკამის უკან. თავი დახარე.

ხელები ჩამოუშვი. მე შენთან მოვდივარ

და მე შენს გვერდით ვდგები. ახლა, როგორც უფროსი,

შენ, უმცროს, კისერზე ხელს გადებ. რაო, ცივია?

იგრძენი? ხელით გეხები...

ჩემო ძვირფასო ვლაჯიო ... არა, არა, ეს ზედმეტია...
ეს შესავალი ზედმეტია... თავი უნდა მოიკლა,
იმიტომ რომ მე ასე მომინდა. ახლავე მიპასუხე,
რაც ვთქვით.

ვლაჯიო
კეთილი. თუ შენ გინდა, სიამოვნებით.
ჰენრიკი
ჩემს ქორწილს დაესწარი, ხოლო როცა
საჭიროება დადგება, ამ დანით თავი მოიკალი.
(*დანას აძლევს*)
ვლაჯიო
კარგი.
ჰენრიკი
აბა, სხვაც მომიყევი. სხვა რა ხდება? წესიერად მაინც გაჭმევენ?
ვლაჯიო
კარგად.
ჰენრიკი
რომელი საათია?
ვლაჯიო
ცხრის ნახევარია.
ჰენრიკი
ეს საათი, თუ სწორად მახსოვს, სულ ცოტა, ორჯერ იმაზე მეტი ღირს ახლა, ვიდრე რა ფასადაც
ადრე იყიდე....
ვლაჯიო
ჰო, დიდი მოგება ვნახე.
ჰენრიკი
კარგი საათია. რა გაეწყობა, დროა ახლა. კარგად იყავი.
ვლაჯიო
ნახვამდის.
(*გადის*)
ჰენრიკი (მარტო რჩება)
თამაში
შეიძლება, თამაშიც იყო, მაგრამ .. არა, რა იყო ეს? რამდენად უსაფრთხოა ასეთი თამაშები?

ნეტავ ვიცოდე, რამდენად შორსამავალია სიტყვების ძალა?

რამდენად შორსმავლია ჩემი ძალაუფლება?

სიზმარში ვარ? ჰო, ჰო, სიზმარია.. რაღაც ბავშვური თამაში..

(ავეჯს მიმართავს) შენც მე მიყურებ? მზერების ჯვარედინ ბრძოლაში აღმოვჩნდი,

კონტროლის ზოლში, და რასაც უნდა შევხედო, ყველაფერი მათვალიერებს,

აი, მე, მარტო

მარტოდმარტო

ვდგავარ ამ სიჩუმეში.. ხელს ვიწვდი.

ეს ჟესტი, ასეთი მცირე, უბრალო.

ნორმალური

ყოველდღიური

მნიშვნელოვანი ხდება, რადგან

ახლა არავის მიემართება..

საკმარისია, სიბნელეში თითი გავარყიო, რომ ჩემი პერსონა უმალ ზრდას იწყებს და არსთა არსად იქცევა.

მე, მე, მე! მე ვარ და ვარ მარტო!

მაგრამ თუ მე, მე, მე მარტო ვარ, მაშინ (ასე ვთქვათ) აქ რატომ არ ვარ?

რა, მერე (ისმის კითხვა) რომ ასებობს ეს მე, მ, მე - გულისგულში მე ვარ, ყველაფრის ცენტრში, - თუ ვერასდროს მოვახერხებ საკუთარ თავად ქცევას?

მე - მარტო.

მე - მარტო.

ახლა, როცა მარტო ხარ, სულ მარტო, ხომ შეგიძლია, მცირე ხნით მაინც შეაჩერო ეს

დაუსრულებელი რეჩიტატივი

სიტყვების ეს ფაბრიკაცია

ჟესტების კასკადი ..

მაგრამ მაშინაც კი, როცა მარტო ხარ,

მხოლოდ თავს იკატუნებ, თითქოს მარტო ხარ, რადგან დაუსრულებლად

(*გულწრფელად ვთქვათ ეს აქ, ამ ადგილას და ამ დროში)*

თამაშობ საკუთარ თავს

საკუთარი თავის წინაშეც კი.მარტო ვარ.

მე, მარტო (კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ეს).. იქ კი

ყვირილია, ღრიალი, გმინვა, სისხლი და შიში.

ჯერ არავის ჰქონია გადასაჭრელი საკითხი

ასეთი მძიმე, ჯერ არავის გასძრომია სული

სირცხვილის და ტკივილის
ასეთ საზარელ ტვირთქვეშ
რა ვიღონო? რომელი ნიღაბი მოვირგო ?
მე ხომ შემეძლო, ამ მდარე, საშინელი
და სამარცხვინო ქვეყნიერების შემხედვარეს

შუბლი შემეკრა და ზეცისკენ აღმეპყრო ხელი;
ან მუშტად მექცია იგი
ან დიდებული ჟესტით მომესვა იგი
ბრძნულად მოფიქრალ შუბლზე.
მე
ჰო, ჰო, მე.. შემეძლო თქვენ წინაშე
მიმეღო ეს პოზები.. მხოლოდ თქვენთვის!
ჩემთვის კი არა! პოზიორობა მე არ მჭირდება!
და ტკივილსაც ვერ ვგრძნობ სრულებით..
უცხო ვარ! მხოლოდ სიტყვებით ამოვთქვამ
ადამიანობას ჩემსას! ჰო, ჰო, ვარსებობ,
ისე, რომ არანაირ ,,მეს“ არ წარმოვადგენ.
აჰ, აჰ, ჩემი არსების გარეთ ვიქმნი მე თავს.
აჰ, აგ, შენ, ყრუვ, გულგრილო, უგულო
ორკესტრო ჩემო ოხვრების
სიცარიელიდან რომ მოედინებიან
და სამუდამოდ ქრებიან სიცარიელეში!

ოჰ, დეკლამატორებო!
(გააფთრებით, სარკასტულად მოვისროლოთ განზე ეს სიტყვა)
ზნეობით და პასუხისმგებლობით აღვსილო ბრიყვებო!
(დამცინავად ვთქვათ ეს, უკეთური ღიმილით, ხელიც ჩავიქნიოთ)
თქვენი წიგნები და ფილოსოფია ფუჭია
ფუჭია სტატიები, გამოსვლები, სისტემები
მიზეზები, განმარტებები, დაკვირვებები
შთაგონება, აღტაცება, აღსარებები
ადამიანთა ორმილიარდიანი მასის წინაშე
ერთმანეთს რომ ტკეპნიან ამ მარადიულ
ბნელ, ველურ, უსახურ დილეგში ...

ტყუილად გიბზუით ბუზი ცხვირზე და დაგტრიალებთ
შავ-მწვანე უფსკრულის თავზე (დაე, ჩემი სიცილი მოგუდული
თუ ადამიანურზე ადამიანური ხარხარი, ფარული, ჩუმი
მოუსაზღვრელი და გაუგებარი
გაისმას ახლა...) სანამ თქვენ მანდ ჯერ პოზებს იღებთ
ჩვენ აქ ჩვენივე ძალებით წავიცმაცუნებთ
ჩვენი ბედის ბუჩქქვეშ.
(ახლა კი, ეს მონოლოგი რომ დავასრულოთ)

უარს ვამბობ ყოველგვარ წესრიგზე, ნებისმიერ იდეაზე,
არანაირ აბსტრაქციას, დოქტრინას მე არ ვენდობი
არ მწამს არც ღმერთის და არც გონების!
კმარა ღმერთები! ადამიანი მომეცით, მალე!
იყოს ისეთი, როგორიც მე ვარ, მღვრიე, უმწიფარი
უსრული ბნელი , გაუგებარი
მასთან ცეკვა რომ შევძლო! მასთან თამაში, დაჭიდება!
 დაუსრულებლად ვიქმნებოდე მასთან თავიდან, მისი
 მადლიერი რომ ვიყო!
და კიდევ - სიყვარული რომ შემეძლოს მისი და მასთან ერთად ზრდა,
დაუსრულებლად, და ბოლოს ისე გავიზრდო, რომ
თავად მოვიწყო ქორწინება ადამიანის შექმნილ ტაძარში!

ყოველი მხრიდან შემოდიან მოხელეები, ბანოვნები, კანცლერი, პოლიციის უფროსი და მცველები. ისმის მუსიკა, მეჯლისია.

გუნდი

სამეფო კადრილს ცეკვებს შორის არ ჰყავს მეტოქე,
მეფეს გაუმარჯოს, ღმერთო, მეფე გვიცოცხლე!

ჰენრიკი

სამეფო კადრილს ცეკვებს შორის არ ჰყავს მეტოქე.

კანცლერი

მის უდიდესობას გაუმარჯოს! მეფემ იცოცხლოს!

ჰენრიკი (კანცლერთან ერთად იდაყვში ხელგაყრილი სეირნობს)
შეხედეთ, როგორ ცეკვავს სამეფო კარი!
მშვენიერ ზმანებათა ხმიანი გუნდი,
ტკბილი ძალა მშვენიერების
საოცრებათა ღამე იდუმალი...

ჰენრიკი

აზრი არ აქვს, მაგრამ რითმა აქვს
ილუზიათა კმევა ჰგავს ნიავს
დაე რითმმა და რიტმმა აგვიტაცონ
ღმერთებამდე!
კმაყოფილი ვარ. ახლა დადექით.

(მოცეკვავეები ჩერდებიან)
უთხარი, თავი დაგიკრან
(მოცეკვავეები თავს უკრავენ)
კიდევ ერთხელ!
(თავს უკრავენ)
კიდევ!
(თავს უკრავენ)
კიდევ!
(თავს უკრავენ)
კიდევ!
ეს ქედის მოხრა ძალით მავსებს, აღმამაღლებს.. სად არის ჩემი ხალხი?
(შემოდიან მცველები)
ვაცხადებ, რომ საშინლები არიან. ამინ.
პოლიციის უფროსი სად არის?
(შემოდის პოლიციის უფროსი)
ამ მცველებს ყველა და ყველაფერი ქეჩოთი უნდა ეჭიროთ, გასაგებია? ამინ. თუ ვინმე ჩემზე გამოწევას დააპირებს, მაშინ.. ამათ იმაზე უნდა გაიწიონ. აი ასე. (შეკრებილთა შორის მიდი-მოდის და თითოეულ მათგანს ათვალიერებს) ყველანი აქ არიან? ის ქალი, აი ეს.. ვინ არის?

კანცლერი

ეს თავადის ქალი პირულუა.

ჰენრიკი

მაშინვე მივხვდი, რომ თავადის ქალია, იმიტომ რომ ძალიან ვულგარულია. და ის კრეტინი?

კანცლერი

ეგ ყველაზე დიდი კრეტინია.

ჰენრიკი

კრეტინის მზერა აქვს. და ის რბილი, თეთრი და ფუმფულა სველდრუნჩიანი?

კანცლერი

ეგ გურმანია.

ჰენრიკი

ყურს უკან მუწუკი აქვს. რას უსინჯავს გემოს?

კანცლერი

საკუთარ უგემოვნებობას.

ჰენრიკი

კარგი. როგორც ვხედავ, ნაღები საზოგადოება მოგიპატიჟებია (გურმანზე მიუთითებს ერთ-ერთ მცველს) ფეხი ფეხზე დააბიჯე, ოღონდ მტკივნეულად.

(სიჩუმეა)რაო ? სიჩუმე ჩამოწვა, არა? (დარბაზს მოავლებს თვალს) მხოლოდ ელიტა, რასაკვირველია! მაშინვე მიხვდები, ჩემი დიდებული სამეფოს მაღალი წრე შეკრებილა. მაგრამ ყველაფერი ასეთი ძველი რატომაა ირგვლივ? მამონტების კონგრესზე ვართ?

კანცლერი

გვაპატიეთ, თქვენო უდიდებულესობავ.

ჰენრიკი

ესენი ხომ ადამიანები არ არიან! კარიკატურებია! ამ სათვალეებს, ამ წვერებს, ამ ულვაშებს შეხედეთ - რა ამაზრზენია მათი სხეულები - ამაზრზენი სიგამხდრე - ხელ-ფეხები დაგრეხილი, დამახინჯებული - სამარცხვინო, სკლეროტული მოლურჯო ვენები, შეკეთებულ-ამოვსებული კბილები, დეფორმირებული ტერფები, წინ გამოვარდნილი მუცლები, ჩავარდნილი მკერდი, სკლეროზი, ათობით სნეულება და დეფექტი, მანკიერებები, საშინელი, სამარცხვინო სიშიშვლე! და მაინც, საკუთარი მნიშვნელოვნების როგორი შეგრძნება აქვთ! როგორი დახვეწილები და მოვლილები არიან, პირველი კლასის პარიკმახერების ხელშიც გამოივლიათ! გვამო, აბა შენი წინდა მაჩვენე: ოჰო, მშვენიერი წინდა, მოდური ფერები, საუკეთესო ხარისხის აბრეშუმი - თვით ელეგანტურობაა, წინდაში განსახიერებული! ოღონდ ფეხი იხრწნება ნელ-ნელა. ყველა ეს ადამიანი - დაწყებულია ამათი აღსასრული. სასაფლაოა მათს მზერაში. გინდათ თქვათ, რომ ამ ხალხის ხელშია ძალაუფლება?

სტუმრები (ცეკვავენ)

სამეფო კადრილს ცეკვებს შორის არ ჰყავს მეტოქე,

მეფეს გაუმარჯოს, ღმერთო, მეფე გვიცოცხლე!

(ცეკვა მთავრდება. შემოდიან ლაქიები, სინებით ბოთლები შემოაქვთ)

ლაქიები

ბურგუნდიული. ტოკაი. მალაგური. პორტუ.

ჰენრიკი (სტუმრებზე)

ამათი ნაკვთების თვალიერებითაც დათვრება კაცი! ცხვირების, ღიპების და მოტვლეპილი კინკრიხოების რა აღვირახსნილობაა!

მიდი, ორკესტრო გაზულუქებულო, დაუკარი ჩემს ქორწილში! აიწყვიტე! მომწონს!

ლაქიები

ბურგუნდიული. ტოკაი. მალაგური. პორტუ.

ჰენრიკი

ჩემი საცოლე სად არის?

კანცლერი

შემოდის უკვე და თეთრი ყვავილებით მოკაზმული გოგონების გუნდი მოჰყვება.

ჰენრიკი

მომიახლოვდეს და გამიღიმოს და მზერადახრილი მომესალმოს. მისკენ დავიხრები, ნაზად ჩავჭიდებ ხელებში ხელებს და მუხლის მოყრის საშუალებას არ მივცემ, მხოლოდ გავუღიმებ პასუხად იმ ღიმილით, ოდესაღაც, ადრე რომ ვუღიმოდი. (*მანია და ჰენრიკი ყველაფერს სწორედ ასე აკეთებენ*)

კანცლერი (*განზე*)

თქვენო უდიდებულესობავ, ყველაფერი ისმის.

ჰენრიკი (*ხმამაღლა*)

ჩვენც სწორედ ეგ გვინდა: რომ ისმოდეს. ჩვენ არ გვიყვარს ერთმანეთი - მხოლოდ ვქმნით სიყვარულს ერთმანეთის მიმართ.. (მანიას) რად არ იღიმი? გამიღიმე, როგორც ადრე, სანამ არავინ გაუპატიურებდა და მედუქნის მსახური გოგო არ იყავი, გესმის? თორემ შეიძლება დაისაჯო. და თვალს ნუ აცეცებ, მზერით ნურავის ეძებ, რადგან კარგად იცი, რომ შენზე და ვლაჯიოზე ვეჭვიანობ. (კანცლერს) ამ ყველაფერს ხმამაღლა საგანგებოდ ვამბობ, რადგან აქ დასამალი არაფერია, აქ ყველაფერი ისედაც ჩანს. შეხედე რა თვალისდამაბრმავებელი ღიმილით გაიღიმა. ბევრი მოგონებას მიღვივებს ეს ღიმილი და გულს მიჩუყებს..

უძვირფასესო, ნეტავ შეეძლოს შენს ღიმილს
ბრბოდან ასხლეტვა და ასმაგი ძალის
ტალღით ჩემკენ მოქცევა..
მენდე, ნურაფრის გეშინია და იცოდე,
მალე შევივსებ გულში სიცარიელეს
და შეგიყვარებ ისევ, ისე,
როგორც ადრე მიყვარდი.
დაე, სხვებისგან ფარულად მომიჭიროს ხელზე ხელი. ახლა რაღა? ახლა რა უნდა ვქნათ, დიდო კანცლერო, რომ ეს მიღება მეფის კარზე ნორმალურ წვეულებად იქცეს?

კანცლერი (*დამსწრეებს უცხადებს*)
Cercle.
Cercle.
Cercle.
ლაქიები
პორტუს ღვინო!
(სტუმრები წრიულად დგებიან)
კანცლერი
თქვენო უდიდებულესობავ, თქვენო უდიდებულესობავ, თუ ნებას მომეცმთ, თქვენო უდიდებულესობავ, მინდა წარმოგიდგენოთ უდიდესი სახელები, კაცობრიობის საგანძური, მხოლოდ ნაღები, მხოლოდ ელიტა, მხოლოდ ნაღები, და ყოველი მათგანი ოცნებობს, უბრალოდ ოცნებობს თქვენს ხელზე მთხვევის პატივზე .. თქვენო უდიდებულესობავ, ჩემთვის პატივია! მაქვს პატივი! მაქვს პატივი წარვუდგინო თქვენს უდიდებულესობას ჩვენი ცნობილი პოეტი, პოლ ვალერი, კაცობრიობის სიამაყე და დიდება... და ასევე პოეტი რაინერ მარია რილკე, ასევე - კაცობრიობის სიამაყე და დიდება. გენიალურები, დაუვიწყარნი,. შეუდარებლები!

ჰენრიკი
ქედი მოიხარონ. (მანიას) ხელზე დამეყრდენი. ეს ბებრები ერთმანეთს რატომ უკრავენ თავს, იმის მაგიერ, რომ მე მომიხარონ ქედი? ეხლა მანდ არ მომიყვანონ.. ვინ აძლევს თავს ხუმრობის უფლებას? აქ ხუმრობის ადგილი არ არის!
კანცლერი
ერთი წამი, თქვენი უდიდებულესობავ, მაპატიეთ თქვენი უდიდებულესობავ.. სანამ თქვენ მოგიხრიან ქედს, ერთმანეთს თავი უნდა დაუკრან და ასე განიმიტკიცონ სიდიადის შეგრძნება.

ჰენრიკი

ამას, ეტყობა, ავადმყოფი თირკმელები აქვს. არც მესმის, ერთმანეთისთვის თავის დაკვრა საჭიროა?

კამერგერი

საქმე ისაა, რომ ამ შეუდარებელი პოეტების სიღრმე და სიდიადე, სწორედაც რომ მათი სიდიადისა და სიღრმის გათვალისწინეით, შეუფასებელია, მხოლოდ თავად თუ შესწევთ ამის უნარი. ხოლო რაკი ყველა სხვა დანარჩენი, როგორც პოეტები, ამათზე განუზომლად დაბლა დგანან, მათ არც შეფასება შეუძლიათ, არც გაგება. ამიტომ თავიანთი სიდიადის დასტურს ერთმანეთისადმი ქედის მოხრით იღებენ, რათა შემდეგ თქვენი სამეფო უდიდებულესობის ფერხთით.

კანცლერი

ეჰ, ეჰ..

ჰენრიკი

კეთილი. უკვე შევითვისე ამ მგოსნების მელანქოლიური დიდება. გავაგრძელოთ. ეს გრძელთმიანი გიჟი ვინაა?

კამერგერი

პიანისტია.

ჰენრიკი

რატომ დარბიან იქ თვალებგადმოკარლული გიჟი ქალები და რატომ იკრავენ ხელებს დაბერებულ უსიცოცხლო ბიუსტებზე?

კამერგერი

მსახიობები, ვირტუოზები და მომღერლები იწვევენ ქალებში ასეთ კრუნჩხვებს.

ჰენრიკი

ზუსტად ასეთი მეორეხარისხოვანი ღვთაებები მჭირდება. უბრძანე, თავიანთი ღვთაებრიობა მინაწილონ თაყვანისცემით. ეს ბიჭი დიდხანს ვერ გაძლებს - ჭლექიანია. თითები აქვს ძალიან სუსტი. და ის ქალი? მზარეული კაბისქვეშ ბალიშს რატომ უდებს?

კანცლერი

ეჰ, ეჰ..

კამერგერი

მაპატიეთ, თქვენო უდიდებულესობავ... ბოდიშს ვიხდი. თქვენო უდიდებულესობავ... საქმე ისაა, რომ თავადის ქალს, როგორც თქვენმა უდიდებულესობამ უკვე აღნიშნა, საკმაოდ ვულგარული პიროვნება თავისთავად, სურს, თქვენს უდიდებულესობას დაუჩოქოს, მაგრამ მუხლები. ...

ჰენრიკი *(ქალს ქვედატანს აუწევს)*

საკმაოდ ტლნაქია.. მართლაც....

კამერგერი

დიახ, მაგრამ მას ჰყავს მსახური, და ის მსახური დაუჩოქებს მის მუხლებს, რათა შემდეგ ქალბატონის მუხლებმა შეძლონ თქვენი უდიდებულესობისათვის პატივის მიგება.

ჰენრიკი

იმ გოგოს მუხლებს ვამჯობინებდი, სიმართე გითხრა.

ლაქია *(სთავაზობს)*

ბურგუნდიული!

კამერგერი

არა, შეუძლებელია, შეუძლებელია, ეს მისი მსახურია!

კანცლერი

ეს მსახურია. დიახ, ქალბატონს ემსახურება.

ჰენრიკი *(ბანოვანს)*

რა გქვია?

ბანოვანი

კოლტილდა.

ჰენრიკი

რით კვდები, კლოტილდა? უფრო სწორად, ბოდიშს ვიხდი, რით არსებობ?

ბანოვანი

წლიურ რენტას ვიღებ.

ჰენრიკი

რას საქმიანობ, რით იქცევ თავს?

ბანოვანი

ჩემის საერთო სისუსტით.

ჰენრიკი

რისთვის ცოცხლობ?

ბანოვანი

საყოველთაო პატივი რომ შევირგო.

ჰენრიკი

ამ ბალიშზე დამიჩოქოს და მსახურმა ქალმა ამ დროს ქუსლზე აკოცოს. შევისრუტოთ სიდიადეები! ოჰ, როგორ მექავება.. ოჰ, როგორ მძაგს ქავილი - კამერგერო, მომფხანე, რა. მარცხენა ბეჭს ზემოთ.

კამერგერი

აქ?

ჰენრიკი

არა, უფრო ზემოთ, მარცხნივ.

კამერგერი

აქ?

ჰენრიკი

არა, არა, მარჯვნივ. სულერთია,.. დამღალა ქავილმა.

კამერგერი *(შინაურულად)*

დაგღალათ?

კანცლერი *(ინტერესით)*

შენ დაგღალა?

ჰენრიკი

არაფერია, არაფერი. სასაცილოც კია. მამაჩემი სად არის? აქ მომგვარეთ ყოფილი მამაჩემი ყოფილ დედაჩემთან ერთად. ახლა დავიწყებთ. (*მანიას*) თითებზე ხელი მომიჭირე, მე შენ მოგიჭერ.. რა სიცარიელეა აქ. მგონი არც არავინაა.

მე ვარ, მარტო.

შენთან ერთად...

მანია

მიყვარხარ...

ჰენრიკი

ჰო, თქვი, თქვი ეგ ხმამაღლა, ისე, რომ ყველამ, ყველამ, ყველამ გაიგოს. (კანცლერს) მამაჩემი სად არის-მეთქი? ლოთიც ხელს გამოაყოლეთ.

კანცლერი *(მექანიკურად)*

ახლავე მოგართმევთ მამას.

ჰენრიკი *(მექანიკურად)*

რატომ არ არის აქ მამაჩემი?

კანცლერი *(იმავენაირად)*

ახლავე იქნება.

ჰენრიკი *(იმავენაირად)*

იქნება და იყოს.

კანცლერი *(იმავენაირად)*

ახლავე იყოს და იქნება მამა. Zaraz być to będzie ojciec.

(დაცვას შემოაქვს მამა, დედა, ასევე ლოთი, და ჰენრიკის ფერხთით ყრის)

ჰენრიკი

მერე?

კანცლერი

არაფერი.

პოლიციის უფროსი

არაფერი.

ჰენრიკი

არაფერიო.

ყეყეჩი, რომლის წინაშეც სულ ცოტა ხნის წინ მუხლებზე ვდგებოდი.

(მშობლებს ფეხით არჩევს)

რა ვიცი, რა ვიცი.

რამეს შევჭამდი...

(მამაზე ჯდება)

მამა

მეც რამეს შევჭამდი.

დედა

მეც.

ჰენრიკი

არ არის აქ ჯერჯერობით საჭმელი.

დედა

თუ არ არის, ესე იგი, არ არის.

მამა

გახსოვს, ჰენდრიშ, ეტლით მინდორში რომ გასეირნებდი?

მანია

მეც, როცა კარგი ამინდი იყო.

ჰენრიკი

კი. სასიამოვნო იყო ეგ გასეირნებები... *(დგება)* მაგრამ ახლა არაფერი კავშირში არაა.. ოჰ, საერთოდ რა შუაში ეგ! უაზრო საუბრების დრო არ მაქვს.. თავს ქორწილი უნდა გადავუხადო!

კანცლერი

გადაუხადე თავს ქორწილი, გადაუხადე!!

ჰენრიკი

ბურგუნდიული!

ლაქია

ბურგუნდიული!

ჰენრიკი

ბურგუნდიული!

ეი, ოლა! კამერგერო, ეს ერთი

ჩემი ქალბატონისა იყოს, შევსვათ!

კამერგერი

ბურგუნდიული!

კანცლერი

ბურგუნდიული!

ლაქია

ბურგუნდიული!

ჰენრიკი

ჩემი ერთგული ქვეშევრდომებისა იყოს!

სტუმრები *(თასებს სწევენ)*

მის უდიდებულესობას გაუმარჯოს!

ლაქიები *(სინები შემოაქვთ)*

ბურგუნდიული, ბურგუნდიული, ბურგუნდიული!

სტუმრები *(ცეკვავენ)*

სამეფო კადრილს ცეკვებს შორის არ ჰყავს მეტოქე,
მეფეს გაუმარჯოს, ღმერთო, მეფე გვიცოცხლე!
მაღლა აწეულ ღვინის თასებით
მეჯლისს გაერიოს მათრობელა ჯადოსნობა!

ჰენრიკი *(მანიასთან ერთად მისეირნობს)*

ხიბლიანი კაშკაშა ღამის სიტკბოება
მატყუარაა ძალა სიყვარულის
მარადიული ილუზია, ნიავი ოცნების
და უცნაური სიმღერით თრობა !

მანია

გოგონას ძველი ოცნების ცრემლებში
გაუბედავი ოხვრა იხრჩობა
კვლავ ყვავილობენ იასამნები
ბოლოს ჩემი ძმაც იპოვეს ოხერი.

ჰენრიკი

შეხე, შეხე, ხედავ ამ კადრილს?
ამ ზმანებას იგი უფრო ლამაზს ხდის,
კანი მშვენიერი, ვითარცა ვარდი,
საკმარისია, საკმარისი, გაჩერდით!
(ლაქიას)
ბურგუნდიული!

ლაქია

ბურგუნდიული!

ჰენრიკი

ბურგუნდიული!

ლაქია

ბურგუნდიული!

ჰენრიკი *(ჯგუფად შეკრებილ ხალხს უტევს)*

შორს ჩემგან, მომშორდით!

უკან დაიხიეთ! მე გადმოვდივარ

შეტევაზე! მე ვარ ეს ,მე, ჩემი პერსონა!

მე ვარ, თავად მე, სიცარიელე!

დაე შეიქმნას სიცარიელე, აგერ აქ ვდგავარ!

აი აქ, შიგ შუაგულში!

ახლა კი ყურადღება იყოს -

დადგით აქ სკამი, ცარიელი სკამი. და მარია ზედ დაჯდეს. მე მიცუახლოვდები და... და მერე რა? ა, მაგალითად, შევეხები... შევეხები... ამ თითით... რაც იმას ნიშნავს, რომ ცოლად მოვიყვანე და ამიერიდან იგი გახდა სრულუფლებიანი, კანონიერი, ერთგული, უმანკო და წმინდა მეუღლე ჩემი. სხვა ცერემონიები არ მჭირდება. მე თვითონ ვარ ცერემონიების შემოქმედი. და როგორც კი მას შევეხები, ყველანი მუხლებზე უნდა დაეცეთ და ამ დაცემით აღამაღლოთ ჩემი შეხების მნიშვნელობა უზეშთაესი სიწმინდის სიმაღლეებამდე... ქორწინების რიტუალის სიმაღლეებამდე...

ერთი გაბედოს ვინმემ და მუხლებზე არ დაეცეს! გაბედეთ ერთი, არ წმიდაჰყოთ ეს ცერემონია თქვენი დაჩოქებით! ახლა კი წინ, წინ და კიდევ უფრო წინ, კვლავ წინ და ასე შემდეგ, ოჰ, ჰენრიკ, ჰენრიკ, ჰენრიკ!

მეფის კარი

ჰენრიკ, ჰენრიკ, ჰენრიკ!

წინ, წინ და ასე შემდეგ, ოჰ, ჰენრიკ, ჰენრიკ, ჰენრიკ!

ჰენრიკი

საერთოდ არ მაინტერესებს, თქვენ

რას იფიქრებთ! თუმცა... მაინტერესებს, კი, რას ფიქრობთ, აბა?.. (ბანოვანს) შენ რას ფიქრობ?

ბანოვანი

არაფერს არ ვფიქრობ.

ჰენრიკი

ფიქრობ და თქვენც, ყველანი, კი, ყველანი ფიქრობთ!

ლაქია

პორტუს ღვინო!

კანცლერი

ფიქრობენ.

პოლიციის უფროსი

ფიქრობენ, კი. თან ყველანი.. .

ჰენრიკი *(ჩაფიქრებული)*

ფიქრობენ... *(სტუმრებს დაუვლის და მათ სახეებს აკვირდება; ვლაჯოს სახეს წააწყდება მზერით)*

ა, ვლაჯიო, როგორ ხარ?

ვლაჯიო

კარგად.

ჰენრიკი

ახალი რა ხდება შენკენ?

ვლაჯიო

არაფერი.

ჰენრიკი

კარგი. *(ერთმანეთის პირისპირ რჩებიან)*

კანცლერი

რაღაც უცნაურადაა ჩაფიქრებული

ჩვენი ბატონი..

პოლიციის უფროსი

კი, ჩაფიქრებულია ჩვენი ხელმწიფე....

ჰენრიკი *(თავისთვის)*

აღარ მინდა არაფრის დალევა ...

მეტს აღარაფერს დავლევ ...

(ყველას)

შეიძლება ჩემზე ფიქრობთ, ტახტზე მხოლოდ იმიტომ ვზივარ

რომ ესენი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები .. გგონიათ, ვერ ვბრძანებდი, ესენი ერთმანეთისგან განენასკვათ?...

(კანცლერს)

ამიტომ ვუბრძანებ:

სასწრაფოდ უნდა გაუხსნა ხელ-ფეხი პატიმრებს!

მერე ვნახოთ, ეყოფათ თუ არა გამბედაობა, რომ დაგვესიონ!

კანცლერი

ბატონო!

პოლიციის უფროსი

ბატონო!

ჰენრიკი *(ვლაჯიოს)*

იცი,

რასაც მოველი შენგან.

(ხმამაღლა)

გაუხსენით ხელ-ფეხი! გაირკვეს აქ, ბოლოს და ბოლოს, ვინ გასცემს ბრძანებებს!

(მამა და დედა წამოდგებიან)

(მხოლოდ ახლა ჩანს, რა საზიზღარი წყვილია; სახეები დაღლილი აქვთ და დასისხლიანებული)

ჰენრიკი

ნეტარება!

ხელოვნურობა რა საშინელებაა! არა, ხელოვნურობა რა საშინელი რამეა!

კანცლერი

გეგონება, სარდაფში ეყარნენ!

ჰენრიკი

არ გინდათ, შემაშინოთ?...

თავს რატომ არ მესხმით?

არ გინდათ?

კანცლერი

არ უნდათ.

პოლიციის უფროსი

არა.

მოღალატე მოხელე

არა.

(მოღალატეების ჯგუფი მას ბოროტი განზრახვით უახლოვდება)

ჰენრიკი

ჩემკენ, მცველებო!

(დაცვა ზურგს უკან უდგება)

მე თუ მეტაკებიან, თქვენ ამათ ეტაკეთ, მაგრამ

რატომ არ იძვრიან ნეტავი ადგილიდან?

კანცლერი

არ იძვრიან.

პოლიციის უფროსი

არ იძვრიან.

მოღალატე მოხელე

არა.

კამერგერი

არა.

ჰენრიკი

სულაც არ მრცხვენია და არც მეშინია თქვენი,

არ თანაგრძნობთ,

არა, არა... თუმცა, უნდა დაგტოვოთ,

ვითონ მეშინია ან მრცხვენია...

ვითომ ცდილობენ, რაღაცას მიგვახვედრონ?

კანცლერი

არა.

პოლიციის უფროსი

არა.

კამერგერი

არა.

ჰენრიკი

ოო, შეტევაზე გადმოდიან!

რა გინდა? რა გინდა?

(მამამისთან მიირბენს, მაგრამ მის შეხებას ვერ ბედავს)

ღორო!

ლოთი *(აგრესიულად, გვერდიდან)*

ღორო!

ჰენრიკი *(ლოთს)*

ღორო!

(ჰენრიკი და ლოთი სცენაზე წინ გამოვარდებიან)

ლოთი

ღორო!

შე ღორის მწყესო ღორის ტილ კახპის

ღორღრუტუნა გამოღრუტუნებულო

ჰენრიკი

ღორიდრუნჩა!

ლოთი

ღორო!

ჰენრიკი

ღორო!

მამა

რა უბედურებაა, რა ღორობაა!

ლაქიები

ოჰ, ბურგუნდიული, ბურგუნდიული, ბურგუნდიული!

ლოთი

ღორო ღორის ტილ კახპ

ღრუტუნა გამოღრუტ.. ღრუტ! ღრუტ! ღრუტ!

ჰენრიკი

შენ თვითონ ხარ ღორი!

შე ღორო, ღორო, ღორო!

სტუმრები

ოჰ, მართლაც რა ღორია!

ლაქიები

ო, ბურგუნდიული, ბურგუნდიული, ბურგუნდიული!

ჰენრიკი

იდიოტო

იდიოტი ხარ!

ლოთი

შენ თვითონ იდიოტო

იდიოტო ღორის კუდო!

ჰენრიკი

ღორის დრუნჩო!

ლოთი

ღორღრუტუნა

ღრუტღორუნა, გაღორგაღრუტუნებლო

ნაძირალა, ნაძირალა ბურვაკო, ღრუტ ღრუტ ღრუტ!

ჰენრიკი

ღორო!

დედა

როგორ ააღორა აქაურობა!

პოლიციის უფროსი

დადორბლა სულ აქაურობა!

მამა

ო, რა ღორია, მართლა ღორი, ღორი!

ლაქიები

ო რა ბურგუნდიულია, რა ბურგუნდიული!

ჰენრიკი

შე ტახო შენა

სცადე, შემეხე!

ლოთი

ააა, მე თუ შენ არ შეგეხო!

მე თუ შენ თითი არ გდურთო, თუ არ გდურო,

მერე გატაკებ, გატაკებ,

გაფურთხებ- გადმოგაფურთხებ - ხომ სიმართლეს ვამბობ, პანნა მანჩუ?

(სიჩუმე)

ლოთი

ამ თითს ხედავთ?

ჰენრიკი

თქვი, რის თქმა გინდა?

მე არ მეშინია...

ლოთი

ბატონო მოქალაქეებო!

დაღორწინებული

მე შეიძლება ერთი უსწავლელი კაცი ვარ... ვხედავ, ქორწილს იხდიან დიდის ამბით, ... მაგრამ მაინტერესებს, როგორ გამოდის ახლა ეს ამბავი, ნ ქორწინებას ვგულისხმობ, თუ ქალი, პატარაძალი უკვე სხვასთანაა დაღორწუნებული, ე.ი. დაქორწინებული?

ამ თითს ხედავთ?

გამოხედეთ ერთი ამ თითს.

მარტო ჩემს თითს უყურეთ.

ჰენრიკი

როგორ მიშლის ნერვებს!

ლოთი

მარტო ჩემი თითისკენ გეჭიროთ-მეთქი თვალი!

ჰენრიკი

კანი სულ დამებურძგლა..

ლოთი

მარტო ჩემს თითს უყურეთ ყურადღებით. იგი იქით, იმ მიმართულებით მიგითითებთ..

ჰენრიკი

მეცინება...

ლოთი

შეხედეთ, საით მივანიშნებ თითით, რაღაცაა იქ, იმ ხალხის ზურგს უკან... იქ ერთი ახალგაზრდა იმყოფება.... შეხედე,თ როგორ მივანიშნებ მისკენ თითით... მალე მოეფინება ნათელი მეფის სირცხვილ და თავის მოჭრას!

ჰენრიკი

შემეხე, მიდი, შემეხე

უნამუსო...

ლოთი *(ყვირილით)*

მეფეს რქები ადგას,

რადგან საცოლემ აიგდო მასხრად!

გაიწ-გამოიწით და ჰკითხეთ

ამ კაცს

ამ ქალთან ერთად რას გზას ადგა!

აი, სტუმრების უკან დგას!

(სტუმრები გაიწ-გამოიწევიან)

(გამოჩნდება ვლაჯიოს გვამი)

კანცლერი

მოუკლავს ვიღაცას!

პოლიციის უფროსი

გვამია.

მამა

გვამი.

დედა

მკვდარი.

კამერგერი

გვამი.

ლოთი *(გაოგნებული)*

გვამი!

დანითაა მოკლული, ამის დედა ვატირე.. ...

დანა ვინ გაუყარა?

ერთ-ერთი სტუმარი *(ჰენრიკს)*

ბატონო!

ამ დანით სულ ერთი წუთის წინ

თავად მოიკლა თავი!

ლოთი

თავი მოიკლაო? თავი რატომ უნდა მოეკლა?

ჰენრიკი

ჩემი ბრძანებით!...

ყველანი ერთად

მეფევ, მეფეო!

ჰენრიკი

მაგრამ.. ეს რა, სერიოზულად ქნა?

(ერთი წუთის შემდეგ)

რამე ამოუდეთ თავქვეშ.

ყველანი ერთად

მეფევ, მეფეო!!

ჰენრიკი

ამას ვინ წარმოიდგენდა და დაიჯერებდა? მხოლოდ სიზმარია ეს. ეს ალბათ გამორჩეულად ხელოვნური რამე მოხდა. მაგრამ ფაქტია, რომ აგერ წევს.

მანია იქვე დგას.

მე კი აქ ვარ...

(ერთი წუთის შემდეგ)

ახლა უკვე შემიძლია დაქორწინება!

ყველანი ერთად

მეფევ, მეფეო! ო, ჰენრიკ, ჰენრიკ, ჰენრიკ!

ლაქიები

ო, ბურგუნდიული, ბურგუნდიული, ბურგუნდიული!

ჰენრიკი

ამას ვინ დაიჯერებდა? სიზმარია ეს მხოლოდ. გამორჩეულად ხელოვნურიც კი. და მაინც, აგერ წევს.

მანია იქვე დგას...

(ჩუმად) ახლა მივალ მანიასთან და იმას ვიზამ, რაც მინდა, ისეთად ვაქცევ, როგორიც მინდა.. მოვკიდებ ხელს და ცოლად მოვიყვან... მთელი ჩემი ძალით...

მაგრამ რის თქმა მინდოდა?

რაღაცის თქმა ვაპირებდი და დამავიწყდა.

მოიცა, ეს რა არის... აჰა! როგორც ჩანს, არაფერი გამოვა, რადგან...

უკვე აღარ მინდა... *(მანიას) მაპატიე...*

კანცლერი *(სიღრმეში, ვლაჯიოს თავზე ადგას)*

პერანგი დაისვარა.. ...

მამა

მაგრამ სიცოცხლეს უკვე ვეღარავინ დაუბრუნებს.

დედა

შეიშალა ალბათ! თავიდან მეგონა, რომ ხუმრობით იყო, მაგრამ ახლა ვუყურებ და .. წევს, არ ინძრევა...

ლოთი

რა საწყენია. Szlus. დამთავრდა კაცი.

ჰენრიკი

ოო,ზუსტად ვიცი, რომ ეს სიმართლე ვერ იქნება!

თუმცა ...

ბატონებო

ქალბატონებო

მუხლი მოიყარეთ, მოდირიკეთ თავები,

სადაც ქორწილი მზადდებოდა, დაკრძალვა მოეწყობა!

კანცლერი

დაკრძალვა.

მამა

აჰა, ნუ.. დაკრძალვა თუა, იყოს დაკრძალვა.

ჰენრიკი

აქეთ მომიყვათ. *(მანიას)* აქ დაუდექი.

ჩემს სინდისზეა ეს ამბავი,

მაგრამ ამბავია თავად გაუგებარი...

ბუნდოვანი...

ბნელი...

ჩემზე მეტი ძალა აქვს ამ ამბავს და

შეიძლება, უცხოა ჩემთვის!

სამგლოვიარო პროცესია შეადგინეთ!

კანცლერი

სამგლოვიარო მარში!

მამა

სამგლოვიარო მარში!

ჰენრიკი

არა! არაფერზე ვარ მე აქ პასუხისმგებელი!

თავად არ მესმის ჩემი სიტყვები!

საკუთარ ქცევასაც კი ვერ ვიმორჩილებ!

არ ვიცი არაფერი, არაფერი ვიცი, არც არაფერი მესმის!

ხოლო ვინც თქვენში იტყვის, რომ გაიგო რამე, ცრუა!

თქვენც არაფერი გესმით

ისევე, როგორც მე!

ჩვენ მხოლოდ ერთმანეთთან დაკავშირებით ვქმნით ახალ ფორმებს

და ეს ფორმები ქვემოდან ზემოთ მიედინება. უცნაურია ეს კვამლი!

გაუგებარია მელოდია! შლეგური ცეკვა! მარში გაუგებარი!

და მიწიერი ეკლესია ადამიანის,

რომლის მსახური მე ვარ!

ლოთი

რომლის მსახურიც მე ვარ...

მამა *(რბილად)*

ჰენდრიშ...

დედა *(რბილად)*

ჰენდრიშ...

ჰენრიკი

მე ბრალი არ მიმიძღვის ამაში.

გიცხადებთ, მე ამბავში ბრალი არ მაქვს, უდანაშაულო ვარ ბავშვივით, მე არაფერი ჩამიდენია და არაფერი ვიცი.

არავინ არის ამ ამბავზე პასუხისმგებელი!

პასუხისმგებლობა საერთოდ არ არსებობს!

მაგრამ თუ არის გვამი, მაშინ დაკრძალვაც უნდა მოეწყოს. ამიტომ ოთხი თქვენთაგანი დაუდგეს აქეთ-იქიდან ჩემს ნიშანზე ასწიეთ მაღლა..

პასუხისმგებლობა არ არსებობს, მაგრამ ფორმალური მხარე უნდა მოგვარდეს.

(ოთხი მოხელე ორივე მხრიდან უდგება ცხედარს)

თუ ოთხი თქვენგანი მიუდგა მას, მაშინ კიდევ ოთხი კაცი აქეთ შემომეშველეთ, აქ დამიდექით .

მე და მას.. იქ და აქ...

დედა

შვილო, ნუ განიცდი ასე, შეეშვი აქ ყველაფერს, ჰენრიშ, დედა ვარ შენი, მე გეუბნები. ნუთუ ჩვეულებრივად ლაპარაკი, ჩვეულებრივად ჩემი კოცნა აღარ შეგიძლია?

ჰენრიკი

არა. ჩვეულებრივად ვერავინ ვეღარავისთან ილაპარაკებს.
ამაოდ მეძახი, მიყვირი მე, მე კი
შენ
ამაოა ჩემი სურვილი, თავს გამოვეხსნა და თქვენთან მოვიდე
ტყვეობაში ვარ, ჰო..

ტყვეობაში ვარ და.. რის თქმა მინდოდა?
როდესაც აქ ვდგავარ ასე
და ვლაპარაკობ
მინდა, თქვენი ხელები
შემეხონ მე..

(ოთხი მცველი მხრებზე ხელს ადებს)
ახლავე.
ეს ყვეალფერი არ არის ჯერ.

აქ თუ მომიმწყვდევენ, მაშინ, იქ, იქ შორს აღმალდეს ჩემი საქმე
(ვლაჯიოს ცხედარს მაღლა სწევენ)

დაე, დაგძრათ, აგამოძრავოთ თქვენმა
მარშმა სამგლოვიარომ!

(პროცესია. ფარდა)